საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№42 (466)
21 - 27 ნოემბერი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**გერმანიის ყოფილმა კანცლერმა ამერიკის ელჩი საოკუპაციო ჯარის სარდალს შეადარა** 24



ამ სამხედროების სამარცხვინო გამოხდომას შეიარაღებული ძალების ვეტერანებმა ღირსეულად უპასუხეს




# მიშას «კურიერის» გენერლები 2

«ნაციონალური მოძრაობა» ყოველდღიურად «რუტინულად» გაიძახის — «კრემლის აგენტებო!», «სამშობლოს მოღალატეებო». ამაზეა ნათქვამი: «ჩემი შენ გითხარით»

## 20 ნოემბერს იმედი გაგვიჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილმა რეალობა დაინახა 8

## ათათურქი თსუ-ში. 3

**მუსტაფა ქემალ ათათურქი იყო ადამიანი, რომელიც რუსეთისგან ითხოვდა, რომ აჭარის ტერიტორია გადასცემოდა თურქეთს**




## როდის შეცდა ბიძინა ივანიშვილი? 8

«ქართული ოცნების» ყველაზე ერთგული ამომრჩეველიც კი აშკარად დაიბნა და, ალბათ, იკითხა: რა უნდა ამ კაცს ჩემგან?

## ხმა ხალხისა, ხმა ერისა «ქართული ოცნების» და პირადად ბიძინა ივანიშვილის გასაგონად! 5



## «ჰამასის» შეტევა ისრაელზე, რუსეთი და საქართველო 10



## პოლონეთი რუსეთის კვალზე გეიპროპაგანდის აკრძალვას აპირებს. ევროკავშირი წინააღმდეგია 14



## იტალიასა და ევროკავშირს შორის უფსკრული ღრმავდება 14



## ფრაგმენტები ჭაბუა ამირეჯიბის ახალი წიგნიდან «ჩემი ქართლის ცხოვრება» 16

ბაქურ სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც ტელეეთერში ჩნდებიან სამხედროფორმიანი ადამიანები, რომლებიც სწორედ თავის „გენერლობას“ თუ „პოლკოვნიკობას“ ან „ომის ვეტერანობას“, ანუ იმას უსვამენ ხაზს, რომ „სამხედრო პირები“ არიან და ამ ჭრილში გველაპარაკებიან და, როდესაც ასეთი ადამიანები აკეთებენ პირდაპირ და აშკარა მოწოდებებს, რომ პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი არის სამშობლოს მოღალატე, ეს სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ ისინი, ფაქტობრივად, მოუწოდებენ მოსახლეობას — თუკი მოღალატე არჩევნებს მოიგებს, ხელში იარაღი აიღონ და ამ ამბავს არ უნდა შეეგუონ**

# მიშას «კურიერის» გენერლები

**ჩემს ბავშვობაში ძალიან ცნობილ და პოპულარულ კინოფილმ „ქვიშის კარიერის გენერლებს“, რომელიც ცნობილი ბრაზილიელი მწერლის, ჟორჟი ამადუს ნაწარმოების მიხედვით არის გადაღებული, დღევანდელ საგაზეთო სტატიასთან შინაარსობრივად საერთო არაფერი აქვს. იმ ფილმის სახელწოდება და ამ სტატიის სათაური ფონეტიკურად ემთხვევა მხოლოდ და კიდევ ისიცაა, რომ ამჯერად, ფილმის გმირებისგან განსხვავებით, მართლა გენერლებთან გვაქვს საქმე. დიახ, შეიარაღებული ძალების გენერლებზე ვსაუბრობთ, რომელთა ზეპოლიტიზებულ ვიდეომიმართვებსაც ლამის უკვე დღეში ათჯერ ატრიალებს მიშას პირადი ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „კურიერი“. სამხედროფორმიანი მამაკაცების მონოლოგების ძირითადი ფრაზაა „სალომე ზურაბიშვილი სამშობლოს მოღალატეა და ის არ შეიძლება იყოს საქართველოს პრეზიდენტი“.**





არ დავიწყებთ იმის გარჩევას, ვინ არის რეალურად სამშობლოს მოღალატე — ყოფილი ფრანგი დიპლომატი **სალომე ზურაბიშვილი** თუ მოქმედი საბჭოთა-რუსი „კაგე-ბეშნიკი“ **გრიგოლ ვაშაძე.** უბრალოდ, ამ წერილის არსი არის ის, რომ საქართველოში ცნება „სამშობლოს მოღალატე“, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ, ძალიან გააუფასურეს და ისე, ყოველდღიურ, საყველპურო სიტყვად აქციეს!

არადა, სამშობლოს ღალატი იურიდიული დეფინიციაა და სისხლის სამართლის კოდექსით მკაცრი სასჯელი და ხანგრძლივი პატიმრობა ელის ასეთი ქმედების ჩამდენს. თუნდაც მხოლოდ ამიტომ ეს ბრალდება ადამიანებმა, მით უფრო პოლიტიკაზე პასუხისმგებელმა მოღვაწეებმა, ძალიან იშვიათად და ძალიან დასაბუთებულად უნდა წაუყენონ ხოლმე ერთმანეთს.

ჩვენთან კი ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სრულიად უმნიშვნელო პერსონის „ნატლიკინებზე“ ტეხენ ერთ ამბავს, ხოლო ქვეყნის ძალიან სოლიდური საგანმანათლებლო ცენტრის მიერ მოწყობილ ღონისძიებაზე, რომელსაც მართლა აქვს მნიშვნელობა და რომელსაც მართლაც ასდის სამშობლოს ღალატის სუნი, ყველა დუმს და კრინტსაც არავინ ძრავს.

ასე მოხდა, მაგალითად, გასულ კვირაში ფოტოგრაფ **იური მეჩითოვის** მიმართ, რომელმაც ტელეკომპანია „ალჯაზირას“ ინტერვიუ მისცა და, რომ არა საქართველოში დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური, ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა. უბრალოდ, ამ შემთხვევაში ნაცებს დასჭირდათ კიდევ ერთი სკანდალი და კონკრეტული ფოტოგრაფის ნათქვამს ზოგად-ეროვნული მნიშვნელობა მისცეს. „რუსთავი 2“-ის ნაპროკურორალმა „ცირკაჩმა“, გენერალურმა დირექტორმა **ნიკა გვარამიამ** ნევრასთენიით შეპყრობილი დედაკაცებისთვის დამახასიათებლი კიდევ ერთი სანახაობა დადგა და ასაკოვან კაცს პირდაპირ ეთერში ტელევიზორიდან დედის გინებით მიმართა. იური მეჩითოვმა საბოლოოდ ბოდიშიც მოიხადა მის მიერ 9 აპრილის მოვლენებზე გამოთქმული არასწორი მოსაზრებების გამო, მაგრამ „სამშობლოს მოღალატის“ იარლიყს, ალბათ, კარგა ხანს ვერ მოიშორებს, რადგან სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერია და ნიკა გვარამიას სურს, რომ ზურაბიშვილს რაც შეიძლება მეტი „სამშობლოს მოღალატე“ უჭერდეს მხარს. იური მეჩითოვსვე მიუძღვნა სპეციალური გადაცემა **ინგა გრიგოლიამ** „ტვ პირველზე“. მოკლედ, **ერთი ჩვეულებრივი ფოტოგრაფის არასწორი, მაგრამ პირადი აზრი ყველა ტელევიზიამ ლამის საუკუნის მოვლენად გამოაცხადა. სამაგიეროდ, ყურიც არავის გაუბარტყუნებია, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.** ოფიციალური საინფორმაციო სააგენტოების ცნობა: **„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების 80 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე საქართველოს ოფიციალური უწყებების, დიპლომატიური კორპუსისა და თურქული თემის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. გამოფენის გახსნამდე, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღავნელმა ნუნუ ოვსიანიკოვამ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ საქართველოსა და თურქეთის ურთიერთმეგობრობა მრავალ წელს ითვლის და ის ძალიან მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნისთვის“.**

მაშ ასე! ჩვენი **„მრავალწლიანი მეგობრისა და კეთლისმყოფელის“,** ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრის, თურქეთის სახელმწიფოსა და მისი ყველაზე გაიძვერა მმართველის **მუსტაფა ქემალ ათათურქის** ხსოვნის ღონისძიება მოვაწყვეთ. **ეს ის ქემალ ათათურქია, რომელმაც საქართველოს ისტორიული ტერიტორიის თითქმის ნახევარი ოფიციალურად და საბოლოოდ დაუნარჩუნა ოსმალეთის იმპერიას, ანუ თურქეთს. ამ პიროვნებას პომპეზურ ღინისძიებას უძღვნის ჩვენი ქვეყნის მთავარი საგანმანათლებლო კერა და ამაზე არავის არანაირი რეაქცია არ აქვს. ხოლო ერთი ჩვეულებრივი ფოტოგრაფის, კონკრეტული პიროვნების, მაპატიეთ და, „ბჟუტურს“ 5 ტელევიზია მთავარ თემად აშუქებს!**

**სამარცხვინო გამოხდომას იმ სამხედროებისა, რომლებიც მართლაც მიშასა და მისი «კურიერის» გენერლებად შეიძლება ჩავთვალოთ, შეიარაღებული ძალების ვეტერანებმა ღირსეულად უპასუხეს. ასეთი გენერლები, ოფიცრები და ჯარისკაცები, საბედნიეროდ, გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე მიშას «კურიერის» გენერლები და მათნაირები!**

რა გაეწყობა, უკვე თითქმის მიგვაჩვიეს, რომ „სამშობლოს ღალატი“ მხოლოდ რუსეთის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება, თუნდაც მათთან მოლაპარაკებების დაწყების სურვილია, ხოლო თურქეთს მათთვის ხელიდან ძლივს გამოღლეტილი აჭარაც რომ უკან გადავცეთ, ეს, ალბათ, „მრავალწლიანი ძმობის“ აღნიშვნა იქნება და მეტი არაფერი!

სამაგიეროდ, „ანტისაოკუპაციო ტაქსებით“ დავშლიგინებთ შიდა ქართლში და გვიხარია. სამხედროფორმიანი ადამიანები კი, რომლებიც თავს „გენერლებს“ უწოდებენ, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომისკენ მოგვიწოდებენ და თავი პატრიოტებად მოაქვთ.

სწორედ ასეა და არავინ თქვას, რომ რამეს ვაჭარბებ და ამ სამხედროფორმიან პროვოკატორებს სამოქალაქო ომისკენ არ მოუწოდებიათ. როდესაც ტელეეთერში ჩნდებიან სამხედროფორმიანი ადამიანები, რომლებიც სწორედ თავის გენერლობას თუ პოლკოვნიკობას ან ომის ვეტერანობას, ანუ იმას უსვამენ ხაზს, რომ სამხედრო პირები არიან და ამ ჭრილში გველაპარაკებიან და, როდესაც ასეთი ადამიანები აკეთებენ პირდაპირ და აშკარა მოწოდებებს, რომ პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი არის სამშობლოს მოღალატე, ეს სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ ისინი, ფაქტობრივად, მოუწოდებენ მოსახლეობას — თუკი მოღალატე არჩევნებს მოიგებს, ხელში იარაღი აიღონ და ამ ამბავს არ უნდა შეეგუონ.

შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოს უახლოეს წარსულში პოლიტიკაში სამხედროები ჩაერივნენ და ჩემი თაობისა და ჩემზე ცოტა უმცროს ადამიანებსაც კარგად გვახსოვს, ამან რაც მოიტანა. ჩვენს შვილებს კი ძალიან ხშირად უნდა შევახსენოთ ეს!

საზოგადოდ, მაშინაც იმით დაიწყო ეს საშინელება, რომ მხარეებმა ერთმანეთს „სამშობლოს მოღალატისა“ და „კრემლის აგენტის“ იარლიყის მიწებებება დაუწყეს. ისიც სათქმელია, რომ ასეთი რადიკალური მიდგომები მაშინდელმა ხელისუფლებამ დაამკვიდრა და მიიღო კიდეც სავსებით ლოგიკური შედეგი — ოპოზიციის საპასუხო რადიკალიზაცია, სამხედრო ავანტიურისტებისთვის ნოყიერი ნიადაგის შექმნა და სამოქალაო ომის დაწყება.

**ედუარდ შევარდნაძის** ხელისუფლებაზე რაც უნდა ცუდი ვთქვათ, ის მაინც არ იყო დამახასიათებელი, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის კრემლის აგენტი და სამშობლოს მოღალატე ეწოდებინა წამდაუწუმ.

**მიხეილ სააკაშვილის** ხელისუფლებამ კი ეს „ტრადიცია“ ისევ აღადგინა და საკმარისი იყო, ვინმეს „ნაციონალური მოძრაობის“ ოდნავ საწინააღმდეგო რამ ეთქვა, იმწამს კრემლის აგენტად და სამშობლოს მოღალატედ იყო შერაცხილი. ასე განსაჯეთ, პარლამენტის სხდომაზეც კი, სადაც ოპოზიციონერმა დეპუტატებმა და სახალხო დამცველმა საკანონმდებლო ორგანოში მოწვეულ პრეზიდენტს საპატიმრო ადგილებში არსებულ გაუსაძლის პირობებზე და პატიმართა არაადამიანური წამების ფაქტებზე მიაწოდეს ინფორმაცია, მათ პირადად პრეზიდენტმა უწოდა „პუტინის დავალების შემსრულებლები“.

საბედნიეროდ, ამას პირდაპირ ვიტყვი — ბიძინა ივანიშვილის წინდახედულმა მოქმედებებმა იმ ეტაპზე სამოქალაქო ომი აგვარიდა. არადა, 2012 წელს ქვეყანა აშკარად იდგა ამ საფრთხის წინაშე. სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა ჭკუა მაინც ვერ ისწავლეს და დღეს უკვე ყველაფერი პირიქითაა — ხელისუფლება ერიდება სიტუაციის დაძაბვას, „კოაბიტაციასაც“ კი ცდილობს და მაქსიმალურად იკავებს თავს „კრემლის აგენტების“ თუ „სამშობლოს მოღალატეების“ იარლიყების დარიგებისგან. სამაგიეროდ ოპოზიცია, კერძოდ კი, „ნაციონალური მოძრაობა“, გარდა ყოველდღიური „რუტინული“ ძახილისა — „კრემლის აგენეტებო!“, „სამშობლოს მოღალატეებო“ (ამაზეა ნათქვამი: „ჩემი შენ გითხარი“-ო) და ა.შ., თავისი საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიასაც კი მხოლოდ კონკურენტისთვის „მოღალატისა“ და „პუტინის დავალებების შემსრულებლის“ იარლიყის მიწებებით აწარმოებს.

რაც მთავარია, რითაც დავიწყეთ კიდეც ეს საგაზეთო სტატია, მიმდინარე საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, განსაკუთრებით კი მეორე ტურის წინ, „ნაციონალური მოძრაობა“ უკვე ვა-ბანკზე წავიდა და საქმეში გადამდგარი თუ სამსახურიდან გაშვებული სამხედროები ჩართო. როდესაც ადამიანი სამხედრო ფორმაშია და აცხადებს, რომ ის არის სხვადასხვა ომის ვეტერანი, მეომარი გენერალი ან პოლკოვნიკი, და გეუბნება, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენებული ესა და ეს პიროვნება არის სამშობლოს მოღალატე და მტრის შემოგზავნილი, დამეთანხმებით, ეს ჩვეულებრივ ობივატელზე ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. თავისას აკეთებს „დამოუკიდებელი და თავისუფალი“ ჟურნალისტების მათთან ხმაშეწყობილი რიტორიკაც, რომ „ყველა მოღალატე უმკაცრესად უნდა დაისაჯოს“ და „მოღალატეების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს!“ (ნიკა გავრამიას საავტორო ფრაზა), ასევე, ჟურნალისტებთან ერთად საქმეში ასე აქტიურად ჩართული ნაპროკურორალი გენდირექტორი, რომელიც ტელეეკრანიდან საჯარო და სამარცხვინო ბილწსიტყვაობით გამოირჩევა — ყოველივე ეს სწორედ იმაზე მიანიშნებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, არჩევნების წაგების შემთხვევაში, ყველაფრისთვის, მათ შორის, სამოქალაქო ომის გაჩაღებისთვისაც არის მზად!

სამარცხვინო გამოხტომას იმ სამხედროებისა, რომლებიც მართლაც მიშასა და მისი „კურიერის“ გენერლებად შეიძლება ჩავთვალოთ, შეიარაღებული ძალების ვეტერანებმა ღირსეულად უპასუხეს. ასეთი გენერლები, ოფიცრები და ჯარისკაცები, საბედნიეროდ, გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე მიშას „კურიერის“ გენერლები და მათნაირები! შეფარდება, შეიძლება ითქვას, 99 პროცენტი 1 პროცენტზეა და პირდაპირ ვიტყვი — ღირსეულ ჯარისკაცს მართლაც კარგად აქვს შეგნებული, რა არის კარგი, რა არის დამღუპველი არა მიშასთვის ან ბიძინასთვის, არამედ მისი სამშობლოსთვის! ღირსეული ჯარისკაცი არც სამშობლოს მოღალატეს უწოდებს ვინმეს წარამარა და საყველპუროდ, რამეთუ ნამდვილმა ჯარისკაცმა ყველაზე უკეთ უწყის ამ ყველაზე საშინელი ბრალდების ფასი.

**ათათურქის გარდაცვალების დღის აღნიშვნა, თანაც ზუსტად იმ დღეს, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 100 ათასი მოწამის თავისკვეთის დღეს აღნიშნავდა და მეტეხის ხიდთან მილეთის ხალხი იყო შეკრებილი, უბრალო დამთხვევა არ არის, ეს შეგნებულად გაკეთებული მზაკვრობაა.**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ქართველი ხალხი შეურაცხყო»

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე საქართველოს ოფიციალური უწყებების, დიპლომატიური კორპუსისა და თურქული თემის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. როგორც გამოფენის გახსნამდე თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ნუნუ ოვსიანიკოვამ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, საქართველო-თურქეთის მეგობრობა მრავალ წელს ითვლის და მნიშვნელოვანია, რომ სწორედ თსუ-ში გაიხსნა გამოფენა. ეს მაშინ, როდესაც 2016 წელს წინასაარჩევნო ბატალიები მოიმიზეზეს და საქართველოს ხელისუფლებამ სათანადოდ არ აღნიშნა შოთა რუსთაველის 850 წლისთავი; შარშან არ აღინიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლისთავი, 8 ნოემბერს არავის გახსენებია ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე, არც გალაკტიონი გაახსენდათ 17 ნოემბერს. სამაგიეროდ, გაახსენდათ მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების დღე...**

„2018 წელი საიუბილეოა ჩვენი ქვეყნისთვისაც. წელს ჩვენ აღვნიშნავთ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპულიკის ასი წლისთავს. ჩვენ შევიკრიბეთ, რათა პატივი მივაგოთ თურქეთის რესპუბლიკის დამფუძნებელსა და პირველ პრეზიდენტს — მუსტაფა ქემალ ათათურქს. მნიშვნელოვანია, რომ გასულ წელს საქართველოსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 25 წლისთავი ვიზეიმეთ. ამ წლების განმავლობაში საქართველომ და თურქეთმა ჩამოაყალიბეს სამაგალითო ურთიერთობა და თანამშრომლობა რეგიონისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებებით; ასევე, ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო პროექტების კუთხით", — განაცხადა ოვსიანიკოვამ.

საქართველოს მთავრობის მიერ ღიად გაცხადებული „თურქეთ-საქართველოს ისტორიული და საუკუნოვანი მეგობრობის" ფონზე მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების აღნიშვნა, ერთი შეხედვით, გასაკვირი და გამაღიზიანებელი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქმე ის არის, რომ სწორედ ამ დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 100 ათასი მოწამის თავისკვეთის დღეს აღნიშნავდა... „ასი ათასი ქართველი შეეწირა ამ დღეს წმიდა ხატების თაყვანისცემასა და სარწმუნოების დაცვას, ასი ათასი მოჭრილი თავი და ასი ათასი თავწარკვეთილი სხეული გაატანეს უსჯულოებმა მდინარე მტკვარს. იმ დღიდან ასი ათასი მფარველი შეემატა საქართველოს, რომელთა ხსენება ყოველთვის „ქებით აღესრულების".

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მზაკვრულ ჩანაფიქრზე, რაც შემთხვევითობად არ გვეჩვენება, პარტია „ქართული იდეის" თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა გვესაუბრება.**

— ათათურქის გარდაცვალების დღის აღნიშვნა, თანაც ზუსტად იმ დღეს, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 100 ათასი მოწამის თავისკვეთის დღეს აღნიშნავდა და მეტეხის ხიდთან მილეთის ხალხი იყო შეკრებილი, უბრალო დამთხვევა არ არის, ეს შეგნებულად გაკეთებული მზაკვრობაა. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ქართველი ხალხი შეურაცხყო.**

მუსტაფა ქემალ ათათურქი ლენინის მეგობარი იყო, ადამიანი, რომელიც ბოლშევიკური **რუსეთისგან ითხოვდა, რომ აჭარის ტერიტორია, ბათუმის ჩათვლით, გადასცემოდა თურქეთს.**

საქართველოს მარიონეტი ხელისუფლება თავს იმართლებს, თურქეთთან პარტნიორობა გვაქვს და ისინი ჩვენს ჯარს ეხმარებიანო, მაგრამ უნივერსიტეტელების საქციელს მაინც არ აქვს გამართლება, **თუ თურქები ერთი ხელით ვითომ რაღაცაში გვეხმარებიან, მეორე ხელით გვანადგურებენ.**

თურქეთში იბეჭდება წიგნები და რუკები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ტერიტორია მათ შემადგენლობაში შედის. ამ საკითხზე ჩვენ სოციალურ ქსელში გამოვაქვეყნეთ მასალა და ვაჩვენეთ წიგნები, რომლებიც თურქეთის განათლების სამინისტროს მიერ არის გრიფირებული. ამ **წიგნებში წერია, რომ რუსებმა თურქებს აჭარა და ბათუმი საქართველოსთვის წაართვეს.** როდესაც თურქეთში ასეთი პროპაგანდაა გაჩაღებული, თურქეთიდან დელეგაციები ჩადიან არაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ღონისძიებებში მონაწილეობენ, ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ათათურქის ასეთი პატივისცემა, მსუბუქად რომ ვთქვათ, ანტისახელმწიფოებრივია. **ხელისუფლებას წარმოდგენა არ აქვს, რა არის ჩვენი ეროვნული ინტერესები.**

**— როგორც ჩვენთვის ცნობილია, როდესაც დიდგორობის აღნიშვნა გვინდოდა, თურქეთის ელჩი წინააღმდეგი წავიდა და საქართველოს ხელისუფლებამაც მაშინვე გადაიფიქრა...**

— ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ უშუალოდ მქონდა შეხება ამ საკითხთან — ვიყავი ორგანიზატორი ბათუმში. იქაურმა ეპარქიამ, **მღვდელმთავარმა მისცა მოსახლეობას კურთხევა, აჭარის დედასამშობლოსთან შემოერთების წლისთავის აღსანიშნავად დადგმულიყო მემორიალი ბათუმის მთავარ ტაძარსა და მთავარ ქუჩას შორის, ადგილიც გამოყოფილი იყო, პროექტი — გაკეთებული, მონუმენტიც ჩამოსხმული გვქონდა, მაგრამ თურქეთის ელჩმა დაურეკა ბათუმის მერს და მონუმენტი არ დაიდგა. მერიის თანამშრომლებმა დაუფარავად გამოგვიცხადეს, თურქეთის ელჩი წინააღმდეგია მონუმენტის დადგმის და თურქული მხარის განაწყენება არ გვსურსო.** ჩვენ საპროტესტო აქცია გავმართეთ და ამის ამსახველი ვიდეოებიც არსებობს.

უნივერსიტეტის მეორე კორპუსზე ჰკიდია სარეკლამო ბანერი — ამერიკულ განათლებას სთავაზობენ თბილისში. ეს რომ ივანე ჯავახიშვილს დაენახა, საფლავში გადატრიალდებოდა — ესაა უნივერსიტეტი, ქართული განათლების ტაძარი? თუ იქ ამერიკულ განათლებას იძლევიან, მაშინ რას მიკეთებენ უნივერსიტეტის რექტორატი, პროფესორმასწავლებლები? რატომ ამაყობენ (თუ ამაყობენ), რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქვიათ? ესეც მიუთითებს, რომ მარიონეტული ხელისუფლება გვყავს. ცოდნა, განათლება, კულტურა არავისგან არ გვესწავლება. როდესაც ჩვენ ეს ყველაფერი გვქონდა, ამერიკა არ არსებობდა, არც სხვა ბევრი ევროპული სახელმწიფო. ასე რომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესვეურები ბევრს სცოდავენ, დედაუნივერსიტეტიც იმ ერთი დიდი ჯაჭვის რგოლია განათლების სისტემასთან ერთად, უცხოეთის დირექტივის შემსრულებელი, მარიონეტი ხელისუფლებისა. ისინიც იმ მარიონეტულ პოლიტიკას ატარებენ, რომელსაც ხელისუფლება მისდევს.


ლევან ჩაჩუა

„ნაციონალურ მოძრაობასა" და „ქართულ ოცნებას" შორის, ამ ორ ოდიოზურ ძალას შორის მუდმივად არჩევნის გაკეთების სურვილი არ გვაქვს. ქვეყანაში არსებული ეს ორი ძალა ოდიოზური რომ არის, საპრეზიდენტო არჩევნებში არმისულმა ამომრჩევლის 65%-მაც დაადასტურა. ამის გამო დასავლეთმა „ნაცქოცურ" ძალას საყვედური გამოუცხადა, საყვედური გამოუცხადა იმისთვის, რომ საარჩევნო უნებთან ხალხი არ იდგა. სწორედ ეს აწუხებთ დღეს და ამიტომ იხვეწებიან არჩევნებზე ხალხის მისვლას, თორემ რეალურად რატომ არ მიდის ბოლო წლებში მოსახლეობა საარჩევნო ყუთებთან, ეგ არ აფიქრებთ. ხელისუფლებისთვის მთავარია, საარჩევნო ყუთებთან ხალხი მივიდეს, თუნდაც ყველა გადახაზონ, ოღონდ ხალხი მივიდეს, დასავლეთმა შენიშვნა რომ არ მისცეს.

**— იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის" სასწავლო პროგრამიდან ამოღებას დიდი პროტესტი მოჰყვა. ძალიან დიდი ძალისხმევა გამოიჩინა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებამ „დედა ენის" სკოლაში დასაბრუნებლად... სამაგიეროდ, უნივერსიტეტში ათათურქის გარდაცვალების დღე აღინიშნა დიდი ზარ-ზეიმით. რატომ არის განათლების ყოველი მომდევნო მინისტრი წინაზე უარესი?**

— ჯერ მინდა, საგანგებოდ აღვნიშნო, რომ თქვენი გაზეთი ერთადერთია ქართულ მედიასივრცეში, რომელმაც პრინციპული ეროვნული პოზიცია დაიკავა და გოგებაშვილის „დედა ენის" ამოღებაზე განგაში ატეხა. თქვენც მიგიძღვით წვლილი „დედა ენის" სკოლებში დაბრუნებაში. შემდეგ: ყველაფერი პოლიტიკის ბრალია. განათლების მინისტრების დეგრადაცია იმის მიზეზია, რომ უცხოური დაკვეთების შემსრულებელი ხელისუფლება გვყავს. ეს ყველა რგოლზე მოქმედებს, ყველა უწყებასა და სტრუქტურაში. ჩვენს ქვეყანას იდეოლოგია არ გააჩნია. ბოლო 30 წელიწადია, თავს გვახვევენ დასავლურ ლიბერალიზმს, მაგრამ ლიბერალიზმი იმავე დასავლურ ქვეყნებში არავის მოსწონს — ევროპის ქვეყნები აპროტესტებენ ლიბერალიზმს. **რამდენიმე დღის წინათ ევროპარლამენტში გამოსვლისას რუმინეთის პარლამენტის ვიცესპიკერმა შუა თითი აჩვენა ევროპარლამენტს, არ მისცა მათ თავისი ქვეყნის სასამართლო სისტემაში ჩარევის უფლება და განუცხადა: ჩვენს ქვეყანას თვითონვე მივხედავთო. იზამს ამას ჩვენი მთავრობა, შეეპასუხება ვინმე ევრო ან ამერიკელ ჩინოვნიკს?**

ახლა ბევრს საუბრობენ ახალ ძალაზე, რომელმაც ეროვნული პოლიტიკა უნდა გაატაროს, მაგრამ ამ ძალასაც ისევ ოდიოზური ფიგურები ეპოტინებიან, ისინი, ვისაც ცუდი წარსული აქვთ; ისინი, ვინც მოქალაქეთა კავშირის ფესვებზე აღმოცენდნენ. როდესაც ახალზე ვსაუბრობთ, ახალი სახეები უნდა ვიგულისხმოთ. საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებიც არ არიან გასვრილნი პოლიტიკაში და წარსულში ცუდს ვერაფერს აღმოუჩენთ. არიან ადამიანები, რომლებსაც ტერიტორიების დაკარგვაში წვლილი არ მიუძღვით და ივანიშვილის მარიონეტ ხელისუფლებასთან არ არიან ანგარიშვალდებულნი.

**— ჩვენმა გაზეთმა შეკითხვები დაუსვა ბიძინა ივანიშვილს... თუ გაეცანით მათ და თქვენ თუ გაქვთ მასთან შეკითხვები?**

— სიმართლე გითხართ, სურვილიც არ მაქვს, რამე ვიკითხო. ძალიან ბევრი კითხვაც დაისვა, ბევრი რეკომენდაციაც გაიცა, მაგრამ **ბიძინა ივანიშვილს** მისი გარემოცვა არ აძლევს საშუალებას, საღი აზრი მოისმინოს, მას უვარგისი გარემოცვა ჰყავს. თქვენ წარმოიდგინეთ, იმაზეც კი დაითანხმეს ეს კაცი, რომ მისი სახე ბილბორდზე დაბეჭდეს და ქვეშ სალომე ზურაბიშვილის, ანუ ქალის სახელი მიაწერეს. ასე გააკეთა ყველამ: კობახიძემ, ძიძიგურმა და ა.შ. კაცებმა თავიანთ ფოტოს ქალის სახელი მიაწერეს. წარმოიდგინეთ, რა გახარებულები იქნებიან საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერები ამ ბილბორდების დანახვით. ივანიშვილს არაფერი შეუძლია, ის თავისი მილიარდების მძევალია. ერთ რამეს კი დავუმატებ თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებს: როდემდე აპირებს ხალხის მოტყუებას? როდემდე გაგრძელდება ეს მარაზმი, როდემდე უნდა ვუყუროთ ერთეულების კეთილდღეობას? როდემდე უნდა იყოს ქართველი უცხო ქვეყანაში გადახვეწილი ლუკმაპურის საშოვნელად? **ქვეყანა ჩაფლულია პროსტიტუციაში, ნარკომანიაში, სიღატაკეში და მხოლოდ ორი პროცენტი ცხოვრობს განცხრომაში, არც ღმერთის ეშინიათ და არც კაცის რცხვენიათ.** ვკითხავდი ივანიშვილს: როდემდე უნდა იყოს მილიარდების მძევალი და როდემდე უნდა უყუროს ხალხის გაჭირვებას?

**— მან ახლახან მილიარდ-ნახევარი ლარი გადაიხადა ხალხის ვალების დასაფარავად...**

— ამაზე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ასეთი კეთილი საქმეები არჩევნების გამო კი არა, ისე, გულწრფელად უნდა გააკეთო.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**თურქეთში იბეჭდება წიგნები და რუკები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ტერიტორია მათ შემადგენლობაში შედის. ამ საკითხზე ჩვენ სოციალურ ქსელში გამოვაქვეყნეთ მასალა და ვაჩვენეთ წიგნები, რომლებიც თურქეთის განათლების სამინისტროს მიერ არის გრიფირებული. ამ წიგნებში წერია, რომ რუსებმა თურქებს აჭარა და ბათუმი საქართველოსთვის წაართვეს**

**მღვდელმთავარმა მისცა მოსახლეობას კურთხევა, აჭარის დედასამშობლოსთან შემოერთების წლისთავის აღსანიშნავად დადგმულიყო მემორიალი ბათუმის მთავარ ტაძარსა და მთავარ ქუჩას შორის, ადგილიც გამოყოფილი იყო, პროექტი — გაკეთებული, მონუმენტიც ჩამოსხმული გვქონდა, მაგრამ თურქეთის ელჩმა დაურეკა ბათუმის მერს და მონუმენტი არ დაიდგა. მერიის თანამშრომლებმა დაუფარავად გამოგვიცხადეს, თურქეთის ელჩი წინააღმდეგია მონუმენტის დადგმის და თურქული მხარის განაწყენება არ გვსურსო**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თქვენმა გაზეთმა ბიძინა ივანიშვილს უამრავი შეკითხვა დაუსვა, ყველა ამ შეკითხვის პასუხი მეც მაინტერესებს და თქვენთან ერთად მეც ველოდები პასუხებს. ძირითადად ყურადღება გამახვილებული გქონდათ იდეოლოგიურ საკითხებზე, თუმცა მინდა ვიკითხო: აქვს კი ამ ხელისუფლებას იდეოლოგია? იდეოლოგია უნდა იყოს ერის ტრადიციებზე დაფუძნებული, მომავალზე ორიენტირებული, რასაც ვერ ვხედავ.**



## ტარიელ სუხიაშვილი:

# პოლიტიკოსობის ამბიცია თუ გაქვს, უნდა ხვდებოდე, რომ, მესამე ძალა კი არა, მეორე ძალაა საჭირო

**უკვე მეორე ნომერია, „საქართველო და მსოფლიო“ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ საქართველოს რიგითი მოქალაქეებისგან ისმენს იმ მიზეზებს, რომლებმაც „ოცნების“ ხელისუფლება არჩევნებში კრახამდე მიიყვანა. საზოგადოებაში გახშირდა საუბარი ახალი ძალის შექმნაზე და ხშირად ამ ძალას მესამე ძალად მოიხსენიებენ. ჩვენი გაზეთის დღევანდელი სტუმარია „საქართველო და მსოფლიოს“ აქტიური მკითხველი, თბილისელი ტარიელ სუხიაშვილი, რომელსაც განსხვავებული თვალსაზრისი აქვს.**

— ის, რაც საპრეზიდენტო არჩევნებზე მოხდა, მოულოდნელი არც ჩემთვის ყოფილა და არც ბევრი ჩემნაირი ქართველისთვის. **არ გამკვირვებია ხელისუფლების კრახი, რადგან საზოგადოების დიდმა ნაწილმა იცის, რომ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ერთი და იგივე ძალაა, ოღონდ სხვადასხვა გუნდით წარმოდგენილი.**

საკმაოდ ცნობილი ადამიანები, მათ შორის, პოლიტიკოსებიც, გამუდმებით საუბრობენ ორ ძალაზე, რაც ძალიან მიკვირს, რადგან ორი ძალა არ არსებობს. რამდენიმე ხნის წინათ წავიკითხე პოლიტიკოს **კახა კუკავას** ინტერვიუ, სადაც ის მესამე ძალის გამოჩენის აუცილებლობაზე საუბრობდა. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, რადგან, თუ პოლიტიკოსობის ამბიცია გაქვს, უნდა ხვდებოდე, რომ, მესამე ძალა კი არა, მეორე ძალაა საჭირო. ქვეყანას ერთი ძალა მართავს, ეს უნდა ვაღიაროთ, ეს პრინციპული საკითხია, რადგან, როდესაც ქვეყანაში ერთი ძალა დომინირებს, დიქტატურაა; თუ ორი ძალა — მაშინ დემოკრატიაა და შეკითხვებიც აღარ ჩნდება და არც უკმაყოფილებაა. აუცილებელია, ვაღიაროთ, რომ ამ ქვეყანას ერთი ძალა მართავს, ოღონდ სხვადასხვა სახელწოდებით. ქვეყნის მმართველი ეს ერთი ძალა დაფინანსებულია დასავლეთიდან, არის მეორე მხარეც — ურაპატრიოტების, რომლებიც განდიდების მანიით არიან შეპყრობილნი და იმდენიც ვერ მოიფიქრეს, რომ შიდა კვლევები ჩაეტარებინათ, ერთი საერთო კანდიდატი დაესახელებინათ და არჩევნებს ყველა ვარიანტში მოიგებდნენ — პირველივე ტურში გაიმარჯვებდნენ.

ამ ვითარების შემხედვარეს, არაფრის იმედი არ მაქვს. ახლა 2020 წლის არჩევნებს ელოდებიან და ფიქრობენ, რამე შეიცვლება, თანაც სასიკეთოდ, მაგრამ ასე არ არის... **თუ 2020-ისთვის არ გამოჩნდა ახალი, მეორე ძალა, ძალა, რომლის გამოჩენისაც ასე ეშინიათ და გააფთრებით ეწინააღმდეგებიან ჩვენი დასავლელი პარტნიორები და მოქმედი ხელისუფლება ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობით, არაფერი გვეშველება.**

**— რა პრეტენზიები გაქვთ ხელისუფლებასთან, რა უნდა გაეკეთებინათ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ასე არ ჩატარებულიყო?**

— პიარსამსახურებია მობილიზებული იმისთვის, რომ სახელისუფლო კანდიდატი, უფრო ზუსტად, ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი **სალომე ზურაბიშვილი** გაიყვანონ; ქალი, რომელიც არის ძალიან აქტიური, ძალიან ლიბერალი. ზურაბიშვილის გამარჯვება ვითარებას დაარეგულირებს, საქმე ის არის, რომ, თუ მთავრობა დირექტივებს დასავლეთიდან იღებდა, სალომე ზურაბიშვილის პირობებში ეს აღარ დასჭირდება, რადგან პრეზიდენტი დირექტივებს თვითონვე გასცემს. ინიციატივებს თვითონ პრეზიდენტი მიაწვდის მთავრობას ან უპირობო მხარდამჭერი იქნება ყველანაირი დირექტივისა, რომელიც დასავლეთიდან წამოვა.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ძალიან მაწუხებს მეც და საზოგადოების დიდ ნაწილსაც — **რატომ გვიხატავენ აპოკალიფსურ სურათს, რომ, თუ ვაშაძე გაიმარჯვებს, დავიღუპებით? მაინტერესებს: ეს სახელმწიფო აღარ არის? რას ჰქვია, მიშა დაბრუნდება? ქვეყანა დაიქცევა? ჩვენ სახელმწიფო არ გვაქვს?**

მიშას დაბრუნების, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად მთავრობას ეშინია, რადგან, ალბათ, გადანაწილებული ბიზნესწილების დაბრუნება მოუწევთ, თორემ ხალხს, რაც ჰქონდა, იგივე დარჩება.

ნაციონალების მიმართ ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება თქვენმა გაზეთმა კარგად იცის, მაგრამ ახლა ერთი რამ აუცილებლად უნდა ვთქვა, რაც ძალიან მადარდებს: ნაციონალების მმართველობის პერიოდში უკმაყოფილო ხალხი რუსთაველის გამზირზე გარბოდა და პროტესტს იქ გამოხატავდა. დღეს პროტესტის გამოსახატად გამოსული ვინმე დაგინახავთ, გარდა არასამთავრობოებისა, დასავლეთის ფულებით გადაგვარებული ადამიანებისა? ხალხი პროტესტს აღარ გამოხატავს, რადგან დამშეულია და ერთადერთი, რასაც აკეთებენ, ისაა, რომ უკანმოუხედავად ტოვებენ ქვეყანას. პროტესტის გრძნობის გაქრობა ყველაზე საშიში მოვლენაა ქვეყნისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ეს დასაფიქრებელი მომენტია, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს.

„მტერი მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესიაო“, — ნათქვამია. **„ოცნების“ საქციელი მოყვრულად მოსული მტრის საქციელს მაგონებს.** პროტესტი ჩაქრა, დამშეული ადამიანისთვის ყველაფერი სულერთია. პროსესტთან ერთად ღირსებაც გაქრა. ქვეყანა ნელი სიკვდილით კვდება, რაც ძალიან ცუდია.

**— პრემიერმა ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაგვაცნო. 600 ათას მოქალაქეს, რომლებსაც ბანკის ვალი ჰქონდათ, ვალი გაუნულდათ და ე.წ. შავი სიებიც გაუქმდა. თანხა ფონდმა „ქართუმ“ დაფარა.**

— ერთი შეხედვით ცუდი არ არის ეს საქმე, მაგრამ ასე ჩამოჭრილი ფული, სხვისი გადახდილი ფული, კარგი არ არის, რადგან ხვალ, შესაძლოა, ძმრად გვადინონ. უკეთესი იქნებოდა, შეღავათიანი სესხები მიეცათ ხალხისთვის ვალების გადასაფარად და ნორმალური მუშაობისა და ცხოვრების პირობები შეექმნათ. რატომ გააკეთეს ეს ახლა და არა 2012 წელს?

„ქართუ ბანკს“ 2011-12 წლებში ვსტუმრობდი, სესხის აღება მინდოდა, მაგრამ მიპასუხეს, რომ მხოლოდ მსხვილ ბიზნესს აფინანსებდნენ, თანხა 50 ათასზე მეტი უნდა ყოფილიყო, რომ მოეცათ. მაშინ ვუთხარი, რომ მსხვილი ბიზნესი მხოლოდ ნაციონალებს ჰქონდათ, რომ უბრალო მოქალაქეებს მსხვილი ბიზნესის საშუალება არ აქვთ. მხრები აიჩეჩეს და ხელცარიელი გამომიშვეს. უკვე გამარჯვებულები რომ იყვნენ, მაშინაც ასეთი პასუხი გამცეს და ვკითხე: ისევ ნაციონალებს აფინანსებთ-მეთქი?

**— რას იტყვით ხელისუფლების იდეოლოგიაზე? რა აქვთ შესაცვლელი?**

— თქვენმა გაზეთმა ბიძინა ივანიშვილს უამრავი შეკითხვა დაუსვა, ყველა ამ შეკითხვის პასუხი მეც მაინტერესებს და თქვენთან ერთად მეც ველოდები პასუხებს. ძირითადად ყურადღება გამახვილებული გქონდათ იდეოლოგიურ საკითხებზე, თუმცა მინდა ვიკითხო: აქვს კი ამ ხელისუფლებას იდეოლოგია? იდეოლოგია უნდა იყოს ერის ტრადიციებზე დაფუძნებული, მომავალზე ორიენტირებული, რასაც ვერ ვხედავ.

იდეოლოგიაზე ვერ დაელაპარაკები ადამიანს, რომელიც ლუკმაპურის შოვნაზეა გადართული, მშიერ ადამიანს ეროვნული ფასეულობები არ აწუხებს. მშიერს ერთადერთი იდეოლოგია აქვს — საჭმელი იშოვოს.

**— არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას ხალხმა საკმაოდ მძლავრად შემოულაწუნა, რაც კარგი გაკვეთილია, და ამის გათვალისწინებით ბევრი რამ შეიძლება სასიკეთოდ შეიცვალოს?**

— მეეჭვება, რამე შეიცვალოს, პირიქით, მგონია, რომ ვითარება უფრო გამძაფრდება, უფრო დაიძაბება და, თუ გვინდა, რომ მართლაც რამე შეიცვალოს 2020 წლისთვის, მეორე ძალა უნდა შეიქმნას. ამისთვის ახლა საუკეთესო პერიოდია, მაგრამ რატომღაც ყველა გვერდს უვლის ამ საკითხს. მხოლოდ თქვენს გაზეთში წავიკითხე **დიმიტრი ლორთქიფანიძის** ინტერვიუ, რომელშიც ამბობდა: ჩვენდა სავალალოდ, ვერ შევძელით ახალი ძალის შექმნა, ვერ ჩამოვყალიბდით ვერაფერზეო.

**— რა იდეოლოგიის უნდა იყოს მეორე ძალა?**

— დღეს არსებული პოლიტიკური პარტიებიდან ზოგი ამერიკისკენ იშვერს ხელს და ზოგიც — რუსეთისკან. არადა, მნიშვნელოვანია, რომ პირველ ადგილზე ქვეყანაში დოვლათის შექმნა იყოს. თუ ეკონომიკურად არ დავდექით ფეხზე, უფრო დიდ საქმეებზე ვერ ვიზრუნებთ. მშიერ ადამიანს არაფერი აინტერესებს, ეს უნდა გვახსოვდეს. როდესაც ყოფითი პრობლემები მოგვარებულია, ღირებულებებსა და ფასეულობებზე ფიქრი მერე იწყება. არავის შეურაცხყოფ, ამ გაჭირვებულ ადამიანებს შორის ჩემს თავსაც ვგულიხმობ.

თუ ქვეყნის მოწყობა გვინდა, დოვლათის შექმნაზე უნდა ვიზრუნოთ. ბანკებს აგინებენ. არადა, ბანკი უნდა არსებობდეს, რათა ხალხს სესხებით დაეხმაროს, ამ ხალხმა კი, თავის მხრივ, დოვლათის შექმნაზე უნდა იზრუნოს, სახელმწიფომ — ბაზრის პოვნაზე.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, ამიტომ აქ მოსავლის მოყვანა უფრო ძვირი ჯდება, ჩვენ ვერც ერთ მეზობელს კონკურენციას ვერ გავუწევთ. თურქეთიდან შემოდის სოფლის პროდუქტები იაფად, რადგან საბაჟო მათ ბარიერებს არ უქმნის, ადგილობრივი პროდუქტი გაცილებით ძვირია, რადგან სწორედ მცირემიწიანობის გამო მოსავლის მოყვანა ძვირი გვიჯდება. **სახელმწიფო არ იცავს თავის ბაზარს და არც სხვა ქვეყნების ბაზრის მოპოვებაზე ფიქრობს. რუსეთს აგინებენ, თითს იშვერენ მისკენ, მაგრამ იმაზე არავინ ფიქრობს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე სასურველი ბაზარი რუსეთშია. მათგან ჩვენც შეგვიძლია შევიძინოთ იაფად პროდუქტები და ჩვენიც გავყიდოთ.**

ქვეყანას არ აქვს უსაფრთხოების სათანადო ზომები მიღებული, სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულება დოვლათის შექმნა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვაა. ქვეყანა კოლოსალურ თანხებს იხდის იარაღსა და ჯარის გაწვრთვნაში, მაგრამ არავისგან და არაფრისგან დაცული არ ვართ.

თქვენმა გაზეთმა სწორი შეკითხვები დაუსვა ბიძინა ივანიშვილს, მეც ვუერთდები ამ შეკითხვებს და აქვე დავამატებ: ბავშვებს უფასო მგზავრობის ბარათები აქვთ, მაგრამ მასწავლებელს ხელფასს არ უმატებენ. ასეთივე პრობლემაა ჯანდაცვის სფეროშიც. ოპერაციებს აფინანსებენ, მაგრამ ვის ჯიბეში მიდის ბიუჯეტიდან გასული ეს თანხები?

გული მტკივა ყველაფერზე, სპეციალისტები არაფერს ამბობენ, არ ინტერესდებიან, მე კი დილეტანტი ვარ და მხოლოდ შეკითხვების დასმა შემიძლია. ეს ქვეყანაც მეცოდება და ეს ხალხიც.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**მნიშვნელოვანია, რომ პირველ ადგილზე ქვეყანაში დოვლათის შექმნა იყოს. თუ ეკონომიკურად არ დავდექით ფეხზე, უფრო დიდ საქმეებზე ვერ ვიზრუნებთ. მშიერ ადამიანს არაფერი აინტერესებს, ეს უნდა გვახსოვდეს. როდესაც ყოფითი პრობლემები მოგვარებულია, ღირებულებებსა და ფასეულობებზე ფიქრი მერე იწყება**

**სახელმწიფო არ იცავს თავის ბაზარს და არც სხვა ქვეყნების ბაზრის მოპოვებაზე ფიქრობს. რუსეთს აგინებენ, თითს იშვერენ მისკენ, მაგრამ იმაზე არავინ ფიქრობს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე სასურველი ბაზარი რუსეთშია. მათგან ჩვენც შეგვიძლია შევიძინოთ იაფად პროდუქტები და ჩვენიც გავყიდოთ**

**თუ გვინდა, რომ მართლაც რამე შეიცვალოს 2020 წლისთვის, მეორე ძალა უნდა შეიქმნას. ამისთვის ახლა საუკეთესო პერიოდია, მაგრამ რატომღაც ყველა გვერდს უვლის ამ საკითხს. მხოლოდ თქვენს გაზეთში წავიკითხე დიმიტრი ლორთქიფანიძის ინტერვიუ, რომელშიც ამბობდა: ჩვენდა სავალალოდ, ვერ შევძელით ახალი ძალის შექმნა, ვერ ჩამოვყალიბდით ვერაფერზეო**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც ჭაბუა ამირეჯიბი ამბობდა: „ადამიანები, პიროვნებები თითქმის ყოველთვის ტყუიან; ხალხი, ერი ყოველთვის მართალია“, ხალხი, რომელიც თქვენ არაფრად ჩააგდეთ, როგორც კი სამთავრობო სკამებში მოიკალათეთ. არის ასეთი გამონათქვამი: „მთავრობა რომ გამოგეკიდება, წახვალ, ხალხში დაიმალებიო; მაგრამ, ხალხი თუ გამოგეკიდა, ვერსად ვერ დაიმალებიო“. რატომ გაიხადეთ დასამალად საქმე? არადა, დასამალი კი არა, დასაკარგები ხართ. მთავრობას ხალხის მაჯაზე უნდა ედოს ხელი და ხალხს უსმენდეს. თქვენ კიდევ, ხალხის ნაცვლად, ვიღაც გადამთიელებს შესციცინებთ თვალებში ურცხვად და უთავმოყვარეოდ.**

# ხმა ხალხისა, ხმა ერისა «ქართული ოცნების» და პირადად ბიძინა ივანიშვილის გასაგონად!

## 30 წელიწადია, ერთი და იმავე წრეზე ვტრიალებთ, ერთსა და იმავე სახეებს ვუყურებთ, სხვის დაკრულზე ვცეკვავთ, ვერ ველირსეთ ნორმალური, პატრიოტული მთავრობის ჩამოყალიბებას

**ყოველი დიდი საქმის წინ, განსაკუთრებით, როცა წარმატება გაურკვეველია, დაფიქრება, გააზრება, განსჯა და შეფასებაა საჭირო. ამ ისტორიულმა კატაკლიზმებმა საფიქრალი ბევრი რამ გაგვიხადა, გასააზრებელიც ბევრი გვაქვს, განსასჯელიც და შესაფასებელიც და, თუ არ გავითვალისწინებთ, შეცდომა გარდაუვალია. მაგრამ არის შეცდომა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია და დღეს ღმერთმა კიდევ ერთხელ მოგვცა ამ შეცდომის გამოსწორების შანსი, რათა იგი ცოდვაში არ გადაიზარდოს. ქართული ანდაზაა: „ცოდვა გამხელილი სჯობსო“. არადა, რამდენი ცოდვა გვადევს კისერზე ამ 15 წლის განმავლობაში...**

როგორც წმინდა ანტონი დიდი იტყოდა: „როცა ადამიანში ცოდვის ბუნება განქარდება, მის სულს ღმერთი ეცხადება და განწმენდს სხეულთან ერთად, ხოლო, თუკი მის სხეულში კვლავ ბატონობს ცოდვა, მაშინ ადამიანს არ ძალუძს ღმერთის დანახვა“. არადა, რამდენი ხანია, ქადაგებს ჩვენი **უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე,** რომ განვიწმინდოთ ამ ცოდვებისგან, მაგრამ არ ისმენთ მის შეგონებებს და რჩევებს. **როგორი წინააღმდეგი იყო ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების, მარიხუანის კულტივირების და სხვა უამრავი მავნებლური გადაწყვეტილების, მაგრამ ვერ დაგანახვათ სიმართლის გზა. ახლა, როცა გაგიჭირდათ, კარგად ეახელით და მოსმენას დაჰპირდით. მოუსმენთ კი?**

ბევრი რამ უარყოფითი დაგვანახვა ამ არჩევნებმა — გამოამზეურა ყველა სიბილწე და სიბინძურე, ძალადობა ფულის მეშვეობით, როცა ხდება ამომრჩევლების მოსყიდვა. ძალადობა ხომ ძალადობას შობს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნაციონალები. მე არაერთხელ აღვნიშნე „ნაციონალური მოძრაობის“ სისხლიანი რეჟიმი, „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“ მათზეა ზედ გამოჭრილი. ერთი ინგლისური ანდაზისა არ იყოს: „კაცისა ნამდვილი საცდელი ქვა უბედურებაა“. **ჩვენ კი არც ნამდვილმა საცდელმა — „ცოცხმა“ გვასწავლა ჭკუა. ჩვენთვის ეს გავლილი უბედურება არც გონებით და არც დროით არ განიკურნება, ხოლო წამალი — „სამართლიანობის აღდგენა“ — „ოცნებამ“ დაგვიმალა და ამ უბედურების თმენაში კოაბიტაციაში გვამყოფებს და ვართ მისი შემყურე.** როდემდის, ჩემო ქვეყანავ?! მაგრამ არის ასეთი ბიბლიური შეგონება: „ღმერთი სამუდამოდ არც უბედურებაში ტოვებს ადამიანებს, რათა სრულად უღონონი არ შეიქნან“. როდემდე უნდა ვიყოთ ამ მაფიოზური კლანების, პარტიებისა თუ მთავრობის შემხედვარე, რომლებიც ასეთ სიდუხჭირეში ამყოფებენ ხალხს? **მთავრობავ, ამ არჩევნების შემდეგ მაინც თუ შეისმენ ხალხის გასაჭირს?**

**ქართველი კაცი არ გამოვა პროტესტით ქუჩაში, შიმშილითაც რომ კვდებოდეს. ძალზე თავმოყვარეა. ის კი არა, ქუჩაში დადგმულ სანაგვეში რომ იქექება, ასე გაუხადეთ საქმე, აქეთ-იქით იყურება არ შემნიშნონო, ხოლო მეტროსა და ქუჩაში რომ დგას სამათხოვროდ, ან თავი აქვს ჩაღუნული, ან თვალებზე ხელი აფარებული. „ქართულო ოცნებავ“, თქვენ სად დაკარგეთ თავმოყვარეობა ან რამ დაგიბრმავათ თვალები, ყოველივე ამას რომ ვერ ხედავთ?!** ეხლა მაინც დაინახეთ, რომ 60%-ზე მეტი ამომრჩეველი არ გაძლევთ ხმას და ვინც მოგცათ, ისიც გაიყავით 17 პროცენტებად...

როგორც ჭაბუა ამირეჯიბი ამბობდა: „ადამიანები, პიროვნებები თითქმის ყოველთვის ტყუიან; ხალხი, ერი ყოველთვის მართალია“, ხალხი, რომელიც თქვენ არაფრად ჩააგდეთ, როგორც კი სამთავრობო სკამებში მოიკალათეთ. არის ასეთი გამონათქვამი: „მთავრობა რომ გამოგეკიდება, წახვალ, ხალხში დაიმალებიო; მაგრამ, ხალხი თუ გამოგეკიდა, ვერსად ვერ დაიმალებიო“. რატომ გაიხადეთ დასამალად საქმე? არადა, დასამალი კი არა, დასაკარგები ხართ.

მთავრობას ხალხის მაჯაზე უნდა ედოს ხელი და ხალხს უსმენდეს. თქვენ კიდევ, ხალხის ნაცვლად, ვიღაც გადამთიელებს შესციცინებთ თვალებში ურცხვად და უთავმოყვარეოდ.

ხალხმა უნდა გადაწყვიტოს რეფერენდუმის საშუალებით ქვეყნის ყველა საჭირბოროტო საკითხი. რა შეიქმნა ერთი რეფერენდუმის ჩატარება, გვინდა თუ არა ნატო. ხალხის სახელით რომ სპეკულირებთ, თითქოს მისი სიყვარულით დღედაღამე არ გძინავთ და როცა გძინავთ, მაშინაც ნატო გესიზმრებათ.

უნდა გადაიხედოს ცხრავე მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, ყველა ჩოხასავით თავის-თავზე რომ ირგებდა; შეფასდეს მათი ღვაწლი, ხალხმა, ისტორიამ უნდა იცოდეს მათი სახელები და ნამოქმედარი. რა შეიქმნა ერთი ნორმალური კონსტიტუციის მიღება?! **30 წელია, ერთი და იმავე წრეზე ვტრიალებთ, ერთსა და იმავე სახეებს ვუყურებთ, სხვის დაკრულზე ვცეკვავთ, ვერ ველირსეთ ნორმალური, პატრიოტული მთავრობის ჩამოყალიბებას.** რამდენი პარტია, რამდენი არასამთავრობო ორგანიზაცია, რამდენი მუქთა მჭამელია ამ ქვეყანაში, რომლებიც თქლაფენ ამ ჩვენს ბიუჯეტს, გრანტებსა და სხვადასხვა დახმარებას. საგარეო ვალმა 15 მილიარდს გადააჭარბა. სად წაიღეთ ეს ფული ან ვის უტოვებთ გადასახდელად? ან კი დარჩება ვინმე საქართველოში მისი გადამხდელი?

„ოცნების“ წარმომადგენლები ახლა გაიძახიან: ხალხს უნდა მოვეფეროთ და მოვუსმინოთო, რადგან ჩვენს შეცდომებზე მკაფიო გზავნილები მივიღეთო, მაგრამ ჯერ გასარკვევია: რაა მათი შეცდომები და რა დანაშაული. პენსიონრებს რომ პენსია მოუმატოთ, იმისთვის ვერ მოიცალეთ, ხელფასებსა და დანამატებს ხომ მალ-მალე იმატებთ და იღებთ? არადა, 700 ათასი პენსიონერის ზურგზე დგახართ, რომლებიც ხმას გაძლევენ და მათ უნდა გადაგარჩინონ? ახალგაზრდები თქვენი უნიათობით დაკარგეთ, ისეთ სწავლა-განათლებას აძლევთ.

ამას წინათ ერთმა მეგობარმა დამირეკა თბილისიდან, — **როგორ ხართ გურულებიო. როგორ და საფლავები გათხრილია, გურულები გამზადებული შიგ ჩასალაგებლად, მაგრამ მიწის დამყრელი არაა არავინ, რადგანაც ყოველი მეორე სახლი დაკეტილია და პატრონი გადახვეწილია ლუკმაპურის საშოვნელად, ვინ იცის, სად. ყოველი მეორე სახლი იყიდება, ყოველ მეორეში სიღარიბე და სილატაკე სუფევს. ქვეყნის საფუძველთა საფუძველი — ოჯახი მოშლილია. გადარდებთ კი ეს ვინმეს მთავრობაში?**

საქართველოს ბევრჯერ ჰქონია ძნელბედობის ჟამში. ეს არჩევნებიც ჩვენი ბედისწერაა, ღმერთმა ინება. ახლა ჩვენი ბედი ჩვენივე გადასაწყვეტია და არა რომელიმე სხვა ქვეყნის. როგორც კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა: „ურმით დადის ბედისწერა, რაც არ უნდა ირბინო, ბოლოს მაინც წამოგეწევა“ და წამოგვეწია კიდეც.

იყო ასეთი გამონათქვამი: „კადრები წყვეტენ ყველაფერს“. სამწუხაროდ, გაივსო, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური სახელისუფლო შტოები უნიათო, უპასუხისმგებლო და უვიცი კადრებით. **ახლა „ოცნება“ გვიხმობს იმ ადამიანებს, რომლებიც მათ გვერდით ვიდექით და ვიბრძოდით. ეს იმ დროს თავგანწირვა იყო, ვინაიდან, წაგების შემთხვევაში, დანდობას არავინ ველოდით. სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი გამოიყენეთ და მიატოვეთ. ეს იყო თქვენი შეცდომაც და დანაშაულიც, რომლის მოსავალსაც დღეს იმკით.**

ეს წერილი იმ ჩემი ხალხის გამოძახილიცაა, რომლებიც უსამართლოდ იჩაგრებოდნენ და იჩაგრებიან.

მიუხედავად ყველაფრისა, დღეს შურისძიების დრო არ არის. გვერდით უნდა დავუდგეთ „ოცნებას“, გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა, რათა კვლავ უსამართლობისა და ბოროტების ჭაობში არ ჩავეფლოთ. მოვუწოდებ ყველას, ვისაც აწუხებს და ადარდებს ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბალი, ხმა მივცეთ სალომე ზურაბიშვილს!

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მრცხვენია და თანაც მეტირება, ეს ჩემი ლამაზი, მშვენიერი, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა რა დღეშია, რამ მიგვიყვანა აქამდე, ვინ ჩაგვაგდო ამ დღეში.

კარგად უთქვამს ვაჟას: **„იმედი ბევრად სჯობია უაზრო ბედისწერასა“.**

მე მგონი, ქართველ ხალხს ეყოფა იმდენი ჭკუა და გონება, რომ ჩვენი ბედისწერა აზრიანი და საიმედო გავხადოთ, თავისუფლებასაც მაშინ მივიღებთ, როცა უზენაეს ძალაუფლებას ხალხი განკარგავს. ამ გამარჯვებით კი გვეძლევა შანსი მისი დაუფლების, ხოლო ბედნიერება ბრძოლისა და კეთილი სურვილების გარეშე არ მოდის, თუ გვინდა ვიცხოვროთ თავმოყვარეობის ქვეყანაში.

ვიყოთ ბაირახტარი ამ საბოლოო გამარჯვების. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**პატივისცემით,**
**ჯონი ციცნაძე,**
**ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი**




**მიუხედავად ყველაფრისა, დღეს შურისძიების დრო არ არის. გვერდით უნდა დავუდგეთ «ოცნებას», გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა, რათა კვლავ უსამართლობისა და ბოროტების ჭაობში არ ჩავეფლოთ. მოვუწოდებ ყველას, ვისაც აწუხებს და ადარდებს ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბალი, ხმა მივცეთ სალომე ზურაბიშვილს! როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მრცხვენია და თანაც მეტირება — ეს ჩემი ლამაზი, მშვენიერი, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა რა დღეშია. რამ მიგვიყვანა აქამდე? ვინ ჩაგვაგდო ამ დღეში?**

**მთავრობავ, ამ არჩევნების შემდეგ მაინც თუ შეისმენ ხალხის გასაჭირს?**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნორჩ ქართველ ფეხბურთელებს ისიც უნდა ვასწავლოთ, რომ, თუ ბრაზილიელებს გარინჩა ჰყავდათ — ჩვენ მიშა მესხი გვყავს; თუ იმათ პლატინი — ჩვენ ყიფიანი და ა.შ. სხვა მრავალი ზემოთ ჩამოთვლილი ქართველი მეგავარსკვლავი, რომელთა იმედად ქართველ გულშემატკივრებს არავისი გვეშინოდა და მართლაც იმ ბედნიერ პერიოდში თბილისში ჩამოსული არც ერთი გუნდი დინამოსთან თამაშისას ფავორიტი არ იყო.**

# იგი სხვაა, რაგბი სხვაა, შუა უზის დიდი მგლვარი

## ქართული ფეხბურთის დონე ისე დაეცა, რომ გრიგოლ ვაშაძის საქილიკო გახდა

**სპორტი პოლიტიკის გარეშე იმთავითვე მკვდრადშობილი თეზაა, რადგან რეალურად პირიქითაა — სადაც დიდი სპორტია, იქვეა დიდი პოლიტიკაც. ეს რომ ასეა, დასტურად ჩვენს მეზობელ რუსეთში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი და მის ირგვლივ ახლო წარსულში განვითარებული მოვლენების ანალიზიც კმარა.**

ვლადიმერ პუტინის მიერ 2007 წელს მიუნხენში გაკეთებული განცხადების შემდეგ რუსეთი ტრიუმფით დაბრუნდა გეოპოლიტიკაში. რუსეთის პრეზიდენტმა ამ ტრიუმფის სპორტული ლეგიტიმაციისთვის (თუ ასე თქმა მართებულია) დაიწყო ზრუნვა და შედეგმაც არ დააყოვნა — მოსკოვმა ჯერ „ფორმულა-1“-ის ტრასა ააშენა სოჭში (რომელიც ტოლს არ უდებს მსოფლიოს სხვა ქალაქების ავტორბოლებს პრესტიჟულობისა თუ ფულადი პრიზების თვალსაზრისით), შემდეგ, აქაოდა, ოლიმპიადის მიმდინარეობისას რუსეთი ვერ გაბედავსო, დაუსჯელობის იმედად უკრაინამ სწორედ 2014 წელს წამოიწყო საომარი მოქმედებები დონბას-ლუგანსკში, მაგრამ რუსეთმა პროვოკატორ კიევსაც საკადრისად უპასუხა და სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაც უმაღლეს დონეზე ჩაატარა.

**წელს კი, ფხენჩხანის (სამხრეთ კორეა) ზამთრის ოლიმპიადის წინ, მსოფლიო ლიბერასტულმა ძალებმა გაუგონარი მასშტაბისა და ასეთივე უსამართლობის ე.წ. დოპინგ-სკანდალი შეუთითხნეს რუსებს, რომლის შედეგადაც რუსეთის ფედერაციის ნაკრების ლამის ნახევარს დისკვალიფიკაცია მისცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, ხოლო მეორე ნახევარს ასპარეზობის ნება დართეს, ოღონდ ეროვნული ფორმისა და, გამარჯვების შემთხვევაში, რუსეთის ჰიმნის აჟღერების გარეშე.**

ეს უკვე არა მხოლოდ სპორტული ნაკრების, არამედ რუსეთის, როგორც სახელმწიფოს, შეურაცხყოფა-დამცირების მცდელობა იყო იმის იმედად, რომ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საკუთარ სპორტსმენებს კორეაში წასვლას აუკრძალავდა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ, მართლაც ოლიმპიური სიმშვიდით აიტანა ეს პროვოკაცია და ნაკრები მაინც გაემგზავრა კორეაში.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის იმ ვერდიქტს სპორტთან კავშირი რომ არ ჰქონდა და ეს სამარცხვინო აქტი წმინდა წყლის პოლიტიკა იყო, საიდუმლოს არ წარმოადგენს, რაც კიდევ ერთი დასტურია ჩვენ მიერ ზემოთქმულისა — სადაც დიდი სპორტია, იქვეა დიდი პოლიტიკაც.

ამ აშკარა პოლიტიკურ მიზეზთა გამო ფხენჩხანის ზამთრის ოლიმპიადაზე რუსეთის ეროვნულმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში, მართალია, მისთვის ჩვეული პირველი ადგილისთვის ვეღარ იბრძოლა (სულ რამდენიმე ოქროს მედალი აიღო), მაგრამ, რომ იტყვიან, სამართალმა პური ჭამა და ღმერთმა არ მიატოვა მსოფლიო ნეოლიბერალებთან (სატანისტებთან) სამხედრო-პოლიტიკურად მარტოდმარტო მებრძოლი მართლმადიდებელი რუსეთი და იმ რამდენიმე ოქროს მედლიდან ერთი ზამთრის ოლიმპიადებზე ყველაზე პრესტიჟულ სპორტის სახეობად მიჩნეულ ჰოკეიში გამარჯვებისთვის ერგო რუსეთს. ამ გამარჯვებას ისიც მატებდა მნიშვნელობას, რომ ფინალში რუსებმა გერმანიის ნაკრები დაამარცხეს; იმ გერმანიის, რომელიც ერთ-ერთი აქტორი იყო სოკ-ის მიერ გამოტანილ ვერდიქტის საქმეში და ყველაზე მნიშვნელოვანი — ტრიბუნებზე მყოფმა ათასობით რუსმა გულშემატკივარმა ( და არა მხოლოდ) სოკ-ის მიერ აკრძალული რუსეთის ეროვნული ჰიმნი ააჟღერეს ცოცხალი შესრულებით — ყოფილი სსრკ-ის ჰიმნის მელოდია, რომლის ჰანგები დღესაც შიშის ზარს სცემს მსოფლიო ნეოლიბერასტებს.

ფხენჩხანის ოლიმპიადის ფარდის ამგვარი დაშვება მორალური გამარჯვების ტოლფასი იყო რუსეთის ფედერაციისთვის!..

„ფორმულა-1“ და ოლიმპიადა, რა თქმა უნდა, უდიდესი სპორტული ფორუმებია, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ახლოსაც ვერ მივა პოპულარობით თუ ფინანსებით ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატთან და, აჰა, 2018 წელს მოსკოვმა საფეხბურთო ჩემპიონატიც ჩაატარა; ჩემპიონატი, რომლის ბოიკოტი ვერ შედგა, მიუხედავად აშშ-ევროპის ლიბერასტული პოლიტისტებლიშმენტის ისტერიკული მცდელობებისა, და მოსკოვის მუნდიალი ფიფამ საუკეთესოდ აღიარა წარსულში ჩატარებულ მუნდიალთა შორის, როგორც სანახაობრივი-ორგანიზება-უსაფრთხოების, ასევე ფინანსური სარგებლის თვალსაზრისით, მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო — მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან რუსეთში ჩასული მილიონობით ტურისტი მოხიბლული დარჩა რიგითი რუსების მასპინძლობით. იმ რუსებისა, რომლებსაც დასავლეთის ნეოლიბერალური მედია მუნდიალის წინ სისხლისმსმელ ველურ დათვებად სახავდა და მოსახლეობას მოუწოდებდა, მოსკოვის მუნდიალზე არ წასულიყო...

წინამდებარე წერილის შექმნის მიზეზ-საბაბი, რუსეთი კი არა, მიშარასტების საპრეზიდენტო კანდიდატის, ამხანაგ **გრიგოლ ვაშაძის** მიერ გაკეთებული ტუტუცური განცხადება იყო, რომლის მიხედვით, 260 მილიონით დაფინანსება ქართული ფეხბურთისა, რომელიც ფიფა-ს სარეიტინგო სიაში ასეულს მიღმა იმყოფება, წყალში გადაყრილი ფულია და იმის დაფინანსებას, რასაც „ქართული ოცნება“ ფეხბურთს ეძახის, ჯობია, წარმატებული რაგბი დავაფინანსოთო. არადა, ფეხბურთი სპორტის სხვა სახეობებზე პოპულარულია სრულიად მსოფლიოში და, მით უმეტეს, საქართველოში, რადგან ახლო წარსულში დიდი ფეხბურთიც გვქონდა და მასთან წილნაყარი დიდი პოლიტიკაც.

სწორედ დიდ პოლიტიკას უკავშირდება გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, 80-იანი წლების დასაწყისამდე ქართული ფეხბურთის აღმავლობა და პირიქით, სსრკ-ის დაშლიდან დღემდე ქართული ფეხბურთის დაცემა და განადგურება იქამდეც კი, რომ ერთ რამეში, ძნელია, არ დაეთანხმო ამხანაგ ვაშაძეს — **მართლაც რთულია იმას ფეხბურთი უწოდო, რასაც საქართველოს ჩემპიონატი ჰქვია...**



**ქართული ფეხბურთის დაფინანსება არათუ უნდა შეწყდეს, არამედ უნდა გაიზარდოს იმ მიმართულებით, რომელსაც ბავშვთა ფეხბურთი ჰქვია...**

1930-იანი წლების ბოლოს **გრიგოლ გაგუას, ბორია პაიჭაძისა** და სხვა „პირველი მერცხლების“ თბილისის „დინამო“ მოსკოვის არმიელთა გუნდს ხვდებოდა, პირველი ტაიმი 0-4 წააგეს ქართველებმა, მაგრამ საბოლოოდ ეს მატჩი 5-4 მოიგეს და რა, მატჩის შემდგომი საყოველთაო ზეიმი პოლიტიკურ კომპონენტს არ შეიცავდა — „დინამომ“ ხომ იმ წითელარმიელებს სძლია, რომლებმაც 1921 წელს საქართველო გაასაბჭოეს?

**ბასა ღოღობერიძის, ავთანდილ ჭკუასელის** ომისშემდგომი თბილისის „დინამო“ 1959 წელს მოსკოვში იქაურ გუნდთან გამარჯვების შემდეგ ადგილობრივმა დიქტორმა სსრკ-ის ჩემპიონად გამოაცხადა, რადგან პარალელურად მიმდინარე სხვა მატჩში თბილისელთა კიდევ ერთი კონკურენტი დამარცხდა. მაგრამ მეორე დღეს იმ დამარცხებულმა წაგება გააპროტესტა და გადათამაშებისას მოაგებინეს — ასეთი „უსტანოვკა“ ჰქონდათ ფედერაციას და შესაბამისად — მსაჯებს: სსრკ-ის ჩემპიონი რომელიმე მოსკოვური გუნდი უნდა გამხდარიყო, მით უმეტეს ქართველთმოძულე **ნიკიტა ხრუშჩოვის** დროს და ეს პოლიტიკა არ იყო? ბედის ირონიით, ხრუშჩოვის სახელთან არის დაკავშირებული თბილისის „დინამოს“ პირველი დიდი წარმატებაც — 1964 წლის ნოემბერში ნიკიტა ჩამოალაბორანტეს, კრემლს ფეხბურთისთვის აღარ ეცალა და მიშას, სლავას, სიომას, ჟორას, შოთას (აი, ასე, დიდი მწერლების მსგავსად, ქართული ფეხბურთის მეგავარსკვლავებსაც სახელებით მოიხსენიებდა გულშემატკივარი) და ა.შ. თბილისის „დინამომ“ 1964 წლის 18 ნოებერს ტაშკენტში მოსკოვის ტორპედოს 4-1 სძლია და პირველად მოიპოვა სსრკ-ის ჩემპიონობა. იმ ე.წ. ოქროს მატჩს ძმები ლაზიშვილების, ნემსაძეებისა და სხვა ე.წ. დელეცების დაფინანსებით ტაშკენტის „ფახთაქორის“ სტადიონზე რამდენიმე ათასი ქართველიც ესწრებოდა, მათ შორის მამაჩემიც და მისგან ვიცი იმ საყოველთაო საზეიმო ატმოსფეროს შესახებ, რომელიც მატჩის შემდეგ იქ, ტაშკენტში და შემდეგ აქ, სრულიად საქართველოში სუფევდა.

ბოლოს „დინამოს“ უკანასკნელი გაბრწყინება: ყიფოს, ვიტალას, საშას, ვოვას, მანუჩარას და ა.შ. თბილისის „დინამომ“ სსრკ-ის ჩემპიონატებში ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა და შემდეგ ჯერ მაშინდელი მსოფლიოს უძლიერესი გუნდი, ინგლისის „ლივერპული“ გაანადგურა 3-0 და შემდეგ ევროპის თასების თასიც ჩამოიტანა დიუსელდორფიდან. და, რაც იმხანად ხდებოდა თბილისში, მხოლოდ სპორტული ზეიმი იყო? **კოტე მახარაძის ცნობილი ფრაზა — „ПРЕДСТАВЛЯЮ, ЧТО ТВОРИТСЯ В ТБИЛИСИ, ЛИКУЕТ СТОЛИЦА ГРУЗИИ!“, ეს მხოლოდ „დინამო“-„კარლ ცაისი“ — 2-1 მშრალი არითმეტიკა იყო და პოლიტიკა არაფერ შუაშია?**

ჩემი საყვარელი „დინამოს“ ტკბილ მოგონებებზე წერტილს აქ დავსვამ და ახლა თანამედროვე ქართული ფეხბურთის დაცემის პოლიტიკურ შემადგენელზე...

1990 წელს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ჟამს, ურაპატრიოტთა დაჟინებით, ქართული ფეხბურთი, მათი გაგებით, „იმპერიულ“ ფეხბურთს გამოეყო და საქართველოს ჩემპიონატის დაარსება გამოცხადდა. თბილისის საბჭოური „დინამო“, თბილისის „იბერიად“ მონათლეს და...

კარგად მახსოვს საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნითი მატჩი თბილისის „იბერიასა“ და ფოთის „კოლხეთს“ შორის, რომელიც 80 ათასი ფეხბურთის გულშემატკივრის თვალწინ თბილისის „იბერიამ“ 0-1 წააგო და მას შემდეგ ტრიბუნებზე კანტიკუნტად მოჩანს მაყურებელი.

რამდენიმე წლის შემდეგ თბილისის „იბერიას“ კვლავ დაუბრუნდა დინამოს სახელი, მაგრამ, თუ არ ჩავთვლით **არველაძეების, ქინქლაძეების, ცხადაძე-ნემსაძეების** დროებით გამონათებას, ქართული ფეხბურთის დონე ისე დაეცა, რომ გრიგოლ ვაშაძის საქილიკო გახდა.

ქართული ფეხბურთის დაფინანსება არათუ უნდა შეწყდეს, არამედ გაიზარდოს იმ მიმართულებით, რომელსაც ბავშვთა ფეხბურთი ჰქვია. ფეხბურთის ვარსკვლავები, როგორც წესი, მოსახლეობის ღარიბ ფენებში იბადებიან. ასეთი ოჯახებიდან იყვნენ მიშა მესხი და სლავა მეტრეველი, ვოვა გუცაევი თუ ვიტალი დარასელია და ა.შ. ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ სიღარიბეც შედარებითია.

საბჭოეთის პერიოდის სიღარიბე შიმშილს არ ნიშნავდა. დღეს კი ბავშვების უმრავლესობა ხორცს თვეში ერთხელ-ორჯერ თუ ხედავს და ამიტომ უცხოეთის თანატოლებს თუ ტექნიკაში უგებენ, ე.წ. ფიზიკაში მაძღარი ევროპელი მოზარდები პირწმინდად ჯაბნიან ქართველებს და ამიტომ დაფინანსება სწორედ ამ კუთხით უნდა გაიზარდოს, რათა ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს ჰქონდეთ საშუალება, ნიჭიერ ბავშვებს სკოლა-ინტერნატებში აჭამონ და ისე ავარჯიშონ. მოკლედ, 24-საათიან რეჟიმში უპატრონონ ისე, როგორც წარმატებულ საფეხბურთო ქვეყნებში ხდება.

გული მიკვდება, როდესაც ქართველმა ბავშვებმა **მესის, ზიდანის, რონალდოსა** და სხვა მეგავარსკვლავების შესახებ ყველაფერი იციან და არაფერი სმენიათ არანაკლებ კაშკაშა ქართული ფეხბურთის ვარსკვლავებზე.

დიახ, ფეხბურთის ანა-ბანასთან ერთად ნორჩ ქართველ ფეხბურთელებს ისიც უნდა ვასწავლოთ, რომ, თუ ბრაზილიელებს **გარინჩა** ჰყავდათ — ჩვენ მიშა **მესხი** გვყავს, თუ იმათ პლატინი — ჩვენ ყიფიანი და ა.შ. სხვა მრავალი ზემოთ ჩამოთვლილი ქართველი მეგავარსკვლავი, რომელთა იმედად ქართველ გულშემატკივრებს არავისი გვეშინოდა და მართლაც იმ ბედნიერ პერიოდში თბილისში ჩამოსული არც ერთი გუნდი „დინამოსთან“ თამაშისას ფავორიტი არ იყო.

სწორედ ამას ვუსურვებ ქართულ ფეხბურთს მომავალში და საკუთარ თავსაც, ვინძლო ამ სიბერეში სტადიონზე მისვლის სურვილი კვლავ გამიჩნდეს.

**დავით მხეიძე**

**P.S. ყველა ქართული გუნდის გულშემატკივარი ვარ, მაგრამ ნურავის ეწყინება და იმგვარ სიხარულს, რომელიც ქართველ ერს მოჰგვარა ფეხბურთმა ჯერ 1964 წლის 18 ნოემბერს და შემდეგ — 1981 წლის 13 მაისს, სხვა ვერაფერი განაცდევინებს, რადგან ფეხბურთი მართლაც სხვა ფენომენია.**

**არ ვამბობთ, რომ სპორტს ფული უნდა მოაკლდეს, მაგრამ, პრიორიტეტები უკეთესად რომ განისაზღვროს, ძალიან კარგი იქნება. არც ის იქნება ურიგო, თუ სახელმწიფო გამოყოფილ ფულს გააკონტროლებს, თორემ სულ რაღაც 2-3 წლის წინათ იყო, სპორტის სამინისტროში აუდიტი რომ შევიდა და ისეთი დარღვევები აღმოაჩინა, მაშინდელი მინისტრი ლევან ყიფიანი თანამდებობიდან უხმაუროდ წავიდა. ჰოდა, 2-3 წელიწადში კი არა, ყოველწლიურად ყველა სამინისტრო რომ გადაამოწმოთ და დაკარგულ თუ გამქრალ ფულზე კონკრეტული კითხვები დასვათ, დამნაშავეებს პასუხი აგებინოთ, ეგებ რამდენიმე წელიწადში ბეისბოლის სტადიონის ასაშენებელი ფული გამოჩნდეს არსაიდან.**

სპორტი და ფინანსები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გვჭირდება თუ არა 63 ფედერაცია სპორტში და რისთვის იხარჯება მათთვის გამოყოფილი ფული

**წინასაარჩევნოდ კანდიდატები თუ მათი მხარდამჭერები უამრავ სისულელეს ამბობენ. არის შემთხვევები, როცა კანდიდატები რადიკალური განცხადებებით გამოირჩევიან და ეს არჩევნების შედეგზე უდიდეს გავლენას ახდენს.**

თუნდაც **გიორგი ვაშაძე** ავიღოთ, გრიგოლ ვაშაძის შტაბის უფროსი, რომელმაც ამაყად განაცხადა, ხელისუფლებაში რომ მოვალთ, ონკოლოგიურ დაავადებებზე ფინანსებს დავზოგავთ, აღარ ვუმკურნალებთ ადამიანებს, რადგან მხოლოდ ექვსი თვით სიცოცხლის გახანგრძლივება არაფერს ნიშნავს, ის ადამიანები მაინც განწირულები არიან და აჯობებს, ეს თანხები სხვა მხარეს მივმართოთო. რამდენად დაიწერა ამ განცხადებით ქულები ვაშაძემ ვაშაძისთვის, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ ის ადამიანები, რომელთა ოჯახის წევრი ონკოლოგიური დაავადებით არის ავად, ტაშს ნამდვილად არ დაუკრავდნენ და ასეთები ათასობით ოჯახია. თავად დაფიქრდით, მიმოიხედეთ ირგვლივ და აღმოაჩენთ, რომ სამეგობროში, სამეზობლოში, სანათესაოში არაერთი ადამიანია, რომელიც სიმსივნეს ებრძვის და სახელმწიფოსგან გამოყოფილი ათიათასლარიანი ლიმიტი დიდ შეღავათს აძლევს.

ახალგაზრდა მოგვარეს არც პრეზიდენტობის კანდიდატი ჩამორჩა. **გრიგოლ ვაშაძემ** განაცხადა, ფეხბურთის განვითარების პროგრამაში 265 მილიონი ჩაიდო და ეს მაშინ, როცა საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ბოლო ადგილზეა. **ასე მეც ვიმუშავებ მთავარ მწვრთნელად, რად მინდა დიდი ფული, ას ლარადაც წავაგებ ყველა შეხვედრასო.** როგორც ჩანს, ვაშაძე ბოლო პერიოდში ფეხბურთს აღარ უყურებს, რადგან ერთა ლიგაზე გამართული ხუთი მატჩიდან საქართველოს ნაკრებმა ოთხი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და ევროპის 2020 წლის ჩემპიონატზე მოხვედრის სერიოზული შანსიც აქვს. ისე არ გაიგოთ, თითქოს ტაშს ვუკრავდეთ 265 მილიონს, რომელიც ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ჩაიდო, რადგან... პირდაპირ ვიტყვით — **ეს ფული არ ხმარდება ბოლომდე იმ საქმეს, რომლისთვისაც გამოყოფილია, და დეტალებით თუ დაინტერესდება ფეხბურთის ფედერაცია, სულ კაპიკ-კაპიკ დავუთვლით და დავუთვლით არამარტო სახელმწიფოს მიერ გაღებულ მილიონებს, არამედ უეფასა და ფიფასგან მიღებულ მილიონობით გრანტს, რომლის დიდი ნაწილიც ასევე არასწორი მიმართულებით დაიხარჯა.**

ეს — კონკრეტულად ფეხბურთს რაც შეეხება. რაც უნდა იყოს, ქართველების დიდი უმრავლესობა ფეხბურთისა და პოლიტიკის ცოდნას იბრალებს და **ვერ გეტყვით, რამდენი ათეული წელი უნდა გავიდეს, ქართველმა რომ დაიჯეროს, ფეხბურთის თამაში არ შეგვიძლიაო. შეგვიძლია, მაგრამ სწორი მიმართულება უნდა ამ ყველაფერს და მონდომება. ახლა კი არც ერთი გვაქვს და არც მეორე, რადგან... ძალიან დიდი ფულია იმისთვის, რომ ვიღაცებს რაღაცებზე ხელი წაუცდეთ.**

ახლა — სახელმწიფოს მიდგომას რაც შეეხება. ვაშაძეს შეუძლია, ეს სტატია წაიკითხოს და ფეხბურთს კი ნუ ეცემა, — არიქა, ეს რამდენ ფულს ვხარჯავთო, სპორტის იმ სახეობებსა და თანხებზე გაამახვილოს ყურადღება, რომლებზეც ახლა ვისაუბრებთ.

2017 წლის მონაცემებით, საქართველოში ოფიციალურად **63 ფედერაციაა** აღიარებული, ანუ ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ, ჰყავთ თანამშრომლები, დადიან (ან არ დადიან) შეჯიბრებებზე, მუშაობენ, შრომობენ, ხელფასს იღებენ (პრემიებსაც) და არსებობენ იმ გადასახადების ხარჯზე, რომლებსაც ჩვენ ვიხდით. **სპორტში ძალიან გათვითცნობიერებულ ადამიანსაც კი გაუჭირდება 63 ფედერაციის ჩამოთვლა, რადგან სპორტის ის სახეობები, რომელთა წარმომადგენლობაც საქართველოში გვაქვს, შესაძლოა, გაგონილიც არ ჰქონდეს. უფრო ზუსტად, გაგონილი, შესაძლოა, ჰქონდეს, მაგრამ ვერ წარმოიდგინოს, რომ, მაგალითად, ჩვენთან ბალახისა და ყინულის ჰოკეის ფედერაციები ცალ-ცალკე ფუნქციონირებს. აბა, გაიხსენეთ, რამდენჯერ გინახავთ საქართველოს ჩემპიონატი ბალახის ან ყინულის ჰოკეიში;** ან ის გაიხსენეთ, თქვენი ან თქვენი ახლობლის, მეზობლის, ნათესავის შვილი თუ დადის ჰოკეიზე. ვერ იხსენებთ? სამაგიეროდ, ყინულის ჰოკეის ფედერაციას წელიწადში 40 ათასი ლარი აქვს, ბალახის ჰოკეისას — 136 083 ლარი (ეს სპორტის სამინისტროდან მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციაა).

48 285 ლარად ვაფინანსებთ საქართველოს **ბადმინტონის** ფედერაციას. მართალია, ცნობილი ბადმინტონელები არ გვყავს და არც ის გაგვიგია, ქართველ ბადმინტონელს საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე ესახელებინოს, მაგრამ იყოს, რას გვიშლის, არც 50 ათას ლარამდე თანხაა ბიუჯეტისთვის დიდი დანაკლისი.

მაგრამ რაში ჰყოფნის **აფროსნობის** ფედერაციას წლიურად ხუთი ათასი ლარი, ვერ გეტყვით, მაგრამ ამ ფედერაციას პრეზიდენტიც ჰყავს, ვიცეპრეზიდენტიც, გენერალური მდივანიც და, მოკლედ, მთელი სტრუქტურაა. ქართული აფრა ბოლოს როდის აეშვა თუ დაეშვა საერთაშორისო ტურნირზე, ვერ გეტყვით, თუმცა იყოს ესეც, ხუთი ათას ლარად ტრაგედიას ნუ შევქმნით.

მართლა ვერ გეტყვით, რას ნიშნავს (ვერც თქვენ მეტყვით), მაგრამ არსებობს საქართველოს **სპეციალური ოლიმპიადის** ფედერაცია. ჰო, სწორედ ასე წერია — საქართველოს სპეციალური ოლიმპიადის ფედერაცია და წლიურად 38 200 ლარიც ერიცხებათ თანამშრომელთა ხელფასებისთვის. იმის გამო, რომ არ ვიცით, სპეცოლიმპიადაში რა იგულისხმება, ამიტომ ვერც იმას გეუბნებით, უნდა იყოს თუ არა, მაგრამ... მოვიძიეთ მეზობელ ქვეყნებში და... სპეციალური ოლიმპიადის ფედერაცია მხოლოდ ჩვენ გვაქვს (ხომ ვაჯობეთ მეზობლებს!).



**465 114 ლარი რომელი ფედერაციის ანგარიშზე შეიძლება ირიცხებოდეს?! ვერ გამოიცნობთ — «საქართველოს ეროვნული ფედერაცია სპორტი ყველასათვის», ანუ ხომ გვაქვს 63 ფედერაცია და კიდევ გვაქვს ფედერაცია სპორტი ყველასათვის, რომელიც, სავარაუდოდ, რაც იმ 63-ეულში ვერ მოხვდა, ამაშია გაერთიანებული და კაი ნახევარ მილიონ ლარამდეც გვიჯდება მათი შენახვა. სპორტი ისედაც ყველასთვის არის და, ამას თუ ფედერაცია შევუქმენით, მაშინ შევქმნათ ფედერაცია «წყალი ყველასთვის, ჰაერი — უფასოდ!»**

**465 114 ლარი რომელი ფედერაციის ანგარიშზე შეიძლება ირიცხებოდეს?! ვერ გამოიცნობთ — „საქართველოს ეროვნული ფედერაცია სპორტი ყველასათვის“. ხომ გვაქვს 63 ფედერაცია და კიდევ გვაქვს ფედერაცია სპორტი ყველასათვის, რომელშიც, სავარაუდოდ, რაც იმ 63-ეულში ვერ მოხვდა, ამაშია გაერთიანებული და კაი ნახევარ მილიონ ლარამდეც გვიჯდება მათი შენახვა. სპორტი ისედაც ყველასთვის არის და, ამას თუ ფედერაცია შევუქმენით, მაშინ შევქმნათ ფედერაცია „წყალი ყველასთვის, ჰაერი — უფასოდ!“**

**ბეისბოლს** ამერიკის შეერთებულ შტატებში მაყურებელთა დასწრების მხრივ რეკორდები აქვს მოხსნილი. უამრავი ადამიანი გიჟდება ბეისბოლზე ოკეანის გაღმა, მაგრამ საქართველოში ბეისბოლის სტანდარტული სტადიონიც კი არ გვაქვს. თუმცა არა უშავს, სამაგიეროდ ფედერაცია გვაქვს, ბეისბოლისა და სოფტბოლის გაერთიანებული ფედერაცია, რომელსაც სახელმწიფო ყოველწლიურად 40 ათას ლარს ურიცხავს. გავა დრო და საქართველოს ბეისბოლისტთა ნაკრები გაიჭრება საზღვრებს გარეთ, ამერიკას დაიპყრობს და იქაურებს გავაოცებთ ჩვენი ნიჭით. მაგრამ მანამდე აუცილებლად ავაშენებთ რამდენიმე სტადიონს, მოვაწყობთ ინფრასტრუქტურას... ისე, ბოლოს ამერიკაში ბეისბოლის თანამედროვე სტადიონი რომ აშენდა, 690 მილიონი დოლარი დაჯდა. ეს ისე, ცნობისთვის.

სრული სერიოზულობით ვამბობთ — საქართველოს უძლიერეს მამაკაცთა ფედერაციაში მომუშავე ადამიანებსაც ვიცნობ, იმ ადამიანებს, სპორტის ამ სახეობას რომ მისდევენ, ტურნირებზეც რომ დადიან და მეტ-ნაკლები წარმატებებიც რომ აქვთ, მაგრამ იცით, რა არ მესმის? სახელმწიფო უძლიერეს მამაკაცთა ფედერაციას წლიურად 2 966 ლარით აფინანსებს, ანუ სამი ათას ლარსაც ვერ იმეტებს და იმ ბიჭებს ეს თანხა ერთი კვირა ჭამის ფულად არ ეყოფათ. რა აზრი აქვს ასეთ გადარიცხვას ან არსებობას?! ფედერაცია, რომელშიც 50 უძლიერესი მამაკაცია გაერთიანებული, თვეში 247 ლარს როგორ ანაწილებს ან რაში ხარჯავს, კითხულობს ვინმე?!

ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს — საქართველოს **კარატეს ეროვნულ ფედერაციას** წლიურად 155 252 ლარი აქვს, **კონტაქტური კარატეს** ფედერაციას — 417 143 ლარი (უკონტაქტო კარატე აგვიხსნას მერე თავისუფალ დროს ვინმემ როგორია). **ტაეკვონდოს** ფედერაციას წლიურად 232 949 ლარი ერიცხება, **კიოკუშინკაი კარატეს** ფედერაციას — 75 000 ლარი, **უშუს** ფედერაციას — 91 705 ლარი. ამით საბრძოლო ხელოვნება არ ამოიწურა — აგერ, **საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაცია** ცალკე გვქონია და 30 ათასი ლარი იმათი ბიუჯეტია. **ჯომარდები** 238 147 ლარით ფინანსდებიან, **ნარდის ფედერაცია** მხოლოდ 5 365 ლარს იღებს, 1 392 757 ლარით ფინანსდება **მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია.** აი, ვიხსენებ და ვერ გავიხსენე, ბოლო ათ, გნებავთ ოც, წელიწადში, რომელიმე ქართველი მძლეოსანი თუ გამოჩენილა საერთაშორისო ასპარეზზე, საპრიზო სამეულში თუ არა, ხუთეულში მაინც...

ყველაზე მეტი დაფინანსება წლიურად (13 510 249 ლარი) **რაგბის კავშირს** აქვს, შემდეგ მოდის **კალათბურთის ფედერაცია** (7 654 807 ლარი), შემდეგ — **ფეხბურთის ფედერაცია** (7 645 660 ლარი), **ჭიდაობის ფედერაცია** (6 104 092 ლარი) და ა.შ.

რა თქმა უნდა, არ ვამბობთ, რომ სპორტს ფული უნდა მოაკლდეს, მაგრამ პრიორიტეტები უფრო უკეთესად რომ განისაზღვროს, ძალიან კარგი იქნება. არც ის იქნება ცუდი, თუ სახელმწიფო გამოყოფილ ფულს გააკონტროლებს, თორემ სულ რაღაც 2-3 წლის წინათ იყო, სპორტის სამინისტროში აუდიტი რომ შევიდა და ისეთი დარღვევები აღმოაჩინა, მაშინდელი მინისტრი ლევან ყიფიანი თანამდებობიდან უხმაუროდ წავიდა. ჰოდა, 2-3 წელიწადში კი არა, ყოველწლიურად ყველა სამინისტრო რომ გადაამოწმოთ და დაკარგულ თუ გამქრალ ფულზე კონკრეტული კითხვები დასვათ, დამნაშავეებს პასუხი აგებინოთ, ეგებ რამდენიმე წელიწადში ბეისბოლის სტადიონის ასაშენებელი ფული გამოჩნდეს არსაიდან.

**ბესო ბარბაქაძე**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ქართული ოცნების“ ყველაზე ერთგული ამომრჩეველიც კი აშკარად დაიბნა, როდესაც იხილა 2018 წლის პირველი ნახევრის კრიზისი და ამის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა წინასაარჩევნოდ ასე მიმართა: „დემოკრატიული განვითარებისთვის უფრო კარგი იქნება, რომ ჩვენ ღირსეულ დამოუკიდებელ კანდიდატს დავუჭიროთ მხარი, თუ არ იქნება, არც არავის არ დავუჭიროთ და ოპოზიციამ გაინაწილოს ეს ინსტიტუტი“. ამომრჩეველი, ალბათ, იკითხავს: რა უნდა ამ კაცს ჩემგან?**

# როდის შეცდა ბიძინა ივანიშვილი?

## 20 ნოემბერს იმედი გაგვიჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილმა რეალობა დაინახა

**ბოლო დღეებში მედიასა და სოცქსელებში გამოქვეყნდა უამრავი წერილი, რომლებშიც ჩამოთვლილია ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ შეცდომები, რომელთა გამო მათ მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მოსალოდნელზე 15-20%-ით ნაკლები ხმა მიიღო. თითქმის ყველა ეძებს ერთ დიდ, მთავარ შეცდომას, მაგრამ, შესაძლოა, ის არც არსებობს და გაცილებით მნიშვნელოვანია საუბარი წინაპირობებზე, რომლებმაც მმართველი პარტიის პოლიტიკა სისტემური ხარვეზებით დატვირთა და შეცდომების მუდმივი გენერაცია უზრუნველყო.**

ხშირად წერენ, რომ **ივანიშვილი** მაშინ შეცდა, როდესაც პოლიტიკური და საიმიჯო თვალსაზრისით ესოდენ სუსტი კანდიდატი შეარჩიაო. ხელისუფლებასთან დაახლოებული კომენტატორები მიანიშნებენ, რომ ის ამ ვარიანტს იმიტომ მიემხრო, რომ გავლენიან ჯგუფებს მმართველ პარტიაში პრეზიდენტის პოსტზე თავიანთი კანდიდატების გაყვანა სურდათ, რამაც სერიოზული დაპირისპირება გამოიწვია. სახელდება სხვა მიზეზებიც, მათ შორის, დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერა „დემოკრატიული ფასადის“ შესალამაზებლად, ერთგვარი რევერანსი ფრანგი პარტნიორების წინაშე და ა.შ., თუმცა, ალბათ, აჯობებს სწორედ შიდაპარტიულ დაპირისპირებას შევეხოთ, რომელმაც თითქოს ხელი შეუწყო **ზურაბიშვილის** შერჩევას.

ის, რომ სიტუაცია „ქართულ ოცნებაში“ პათოლოგიურია, ნათლად დადასტურდა მიმდინარე წლის აპრილში, როდესაც უმრავლესობის დეპუტატების ნაწილი პარლამენტის თავმჯდომარეს დაუპირისპირდა (და პირიქით), შემდეგ კი — ივნისში, **კვირიკაშვილის** გადადგომის პერიოდში, როდესაც საუბარმა პარტიულ კრიზისზე, გავლენის სფეროების განაწილებაზე, „ბანკირების შეთქმულებაზე“ და ა.შ. საყოველთაო ხასიათი მიიღო. როგორც ჩანს, პოლიტიკური გაერთიანების ნაცვლად, ივანიშვილმა ერთმანეთთან დაპირისპირებული დაჯგუფებების ფორმალური კონფედერაცია შექმნა.

მას შემდეგ, რაც ივანიშვილი პოლიტიკიდან „წავიდა“, პარტიაზე ზრუნვა პრემიერ-მინისტრს (ჯერ ღარიბაშვილს, შემდეგ კვირიკაშვილს) გადააბარა, როგორც დამატებითი საქმე, ერთგვარი „საზოგადოებრივი დატვირთვა“, რომელმაც მთავრობისა და ქვეყნის მართვასთან შედარებით მეორეხარისხოვანი, დაქვემდებარებული მნიშვნელობა შეიძინა. ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომა იყო, რადგან პარტიული აღმშენებლობა განსხვავდება აღმასრულებელი ვერტიკალის მართვისგან, ის სხვა მეთოდებისა და უნარების გამოყენებას მოითხოვს.

ორივე პრემიერის მოქმედებას პარტიული ხაზით „ოცნების“ „პოლიტბიუროს“ სხვა წევრები უყურებდნენ, როგორც გავლენის სფეროს გაფართოებას და მას, წინააღმდეგობით თუ არა, ჩუმი საბოტაჟით პასუხობდნენ. მნიშვნელოვანი როლი ბანალურმა არაკვალიფიციურობამაც შეასრულა. ხშირად გვგონია, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა აპრიორი იციან, როგორც უნდა შექმნან პოლიტიკური პარტია, შეიმუშაონ მრავალსვლიანი კომბინაციები და ა.შ. რეალურად, მათი დიდი ნაწილი იმაზე ფიქრობს, როგორ მოიპაროს, თანაც ამისთვის არ დაისაჯოს და მხოლოდ შესაბამისი უნარ-ჩვევები აქვს.

კვირიკაშვილის გადადგომის შემდეგ ივანიშვილმა მთავრობისა და პარტიის ხელმძღვანელის როლები ერთმანეთისგან გამიჯნა. მას შემდეგ, რაც „ქართულ ოცნებას“ სათავეში პირადად ჩაუდგა, ზოგიერთი რომანტიკოსი „ბიძინისტი“ მისგან „დიდი წმენდის“ ჩატარებას ელოდა, მაგრამ ყველაფერი შემოიფარგლა კვირიკაშვილთან დაახლოებული ზოგიერთი პირის გაშვებით, უპირველესად, აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებიდან. ამას მოჰყვა ზურაბიშვილის შერჩევა პრეზიდენტობის კანდიდატად — გადაწყვეტილება, რომელსაც თითქოს უნდა დაემშვიდებინა ერთმანეთთან დაპირისპირებული ჯგუფები. გამორიცხული არაა, რომ პრობლემა მხოლოდ **კალაძის** ჯგუფის (თუ გნებავთ, კალაძე-კობახიძის ტანდემის) პოზიციამ შექმნა, რადგან კვირიკაშვილის დაცემის შემდეგ მისი გავლენა არაპროპორციულად გაიზარდა. თუ ის „საკუთარ პრეზიდენტსაც“ მიიღებდა, ბალანსი მმართველი პარტიის შიგნით, სავარაუდოდ, საბოლოოდ დაირღვეოდა, რაც ივანიშვილს, ფაქტობრივად, ამ ჯგუფის პოლიტიკურ მძევლად გადააქცევდა.

ამგვარად, ივანიშვილმა რატომღაც ჩათვალა, რომ შეიძლება გადააბაროს მმართველი პარტიის განვითარება არაკომპეტენტურ, ამასთანავე, სხვა მნიშვნელოვანი საქმეებით დაკავებულ პირებს; შესაძლოა, ის ვერ აცნობიერებდა პროცესის მნიშვნელობას. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნებამდე, ივანიშვილთან საუბრის შემდეგ, ერთმა ცნობილმა პოლიტოლოგმა თქვა: **„მართვა ნამდვილად ეხერხება, მაგრამ პოლიტიკის არაფერი ესმის“.**

დღეს ბევრს წერენ რვაწლიან ციკლზე, რომლის განმავლობაში მმართველი პარტიები ჯიუტად მიიწევენ წინ, შემდეგ კი დეგრადაციის ჭაობში იძირებიან. „ქართული ოცნებისთვის“ „მწვერვალი“, ალბათ, 2016 წლის არჩევნები იყო, თუმცა აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ: შევარდნაძის, სააკაშვილისა და ივანიშვილის პარტიებს „დეგრადაციის ეტაპზე“ ერთი და იგივე პრობლემა შეექმნათ — ობიექტური ინფორმაცია პირველ პირთან თითქმის არ ხვდებოდა. სახელისუფლო დაჯგუფებები იყენებდნენ მას, როგორც გავლენის გაფართოებისა და მანიპულაციის ინსტრუმენტს, და ეუბნებოდნენ მმართველს იმას, რის მოსმენაც სურდა. გამორიცხული არ არის, ივანიშვილს მართლა ეგონა, რომ ზურაბიშვილი პირველ ტურში დაახლოებით 55%-ს აიღებდა და შესაბამისი მონაცემების გადამოწმების არა მხოლოდ სურვილი, არამედ შესაძლებლობაც არ ჰქონდა.



**ნაციონალები წარმატებასთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე ოდესმე ბოლო 6 წლის განმავლობაში და შეიძლება ჩათვალონ, რომ მეორედ ასეთ მობილიზაციას ვეღარ უზრუნველყოფენ, მათ შორის, ივანიშვილისა და «ოცნების» სხვა ლიდერების «გამოფხიზლების» გამო. ამიტომ, როგორც ვაშაძის გამარჯვების, ისე მისი მარცხის შემთხვევაში, სააკაშვილი, დიდი ალბათობით, ვა-ბანკზე წავა**

**როგორც ჩანს, არავინ შესულა ივანიშვილის კაბინეტში სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებით და ანალიტიკური მოხსენებით, მაგალითად, იმაზე, რომ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე „მარიხუანის კანონპროექტის“ გამომზეურება „კონსერვატიული უმრავლესობის“ გადამტერების ტოლფასია; არ აუხსნა, როგორ შეიძლება იმუშაოს მის წინააღმდეგ „ფარცხალაძის ფაქტორმა“ და ა.შ. არ არსებობდა დამცავი მექანიზმი, რომელსაც ამ და სხვა მსგავსი საფრთხეების მოახლოებაზე რეაგირება უნდა მოეხდინა ან, თუ არსებობდა, გაფუჭდა, გადაიწვა**.

ასეთ დროს ლიდერები, როგორც წესი, ცდილობენ, მიკრომენეჯმენტი საკუთარ თავზე აიღონ, ტაქტიკური წინასაარჩევნო საკითხები ყოველდღიურ თათბირებზე გადაწყვიტონ (ასე იქცეოდა „მოქკავშირი“ — 2003-ში და „ნაცმოძრაობა“ — 2012-ში), მაგრამ სიტუაციის გაუმჯობესებას ვერა და ვერ ახერხებენ. **„ქართული ოცნების“ მოქმედებამ პირველი ტურის ჩატარებიდან დღემდე ნათლად აჩვენა, რომ მის ლიდერებს, შესაძლოა, სურთ სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ აშკარად ვერ გრძნობენ, რა აღელვებს ზურაბიშვილის პოტენციურ მხარდამჭერებს და რა ენაზე უნდა ესაუბრონ მათ. ეს გასაკვირი არაა, მაშინ, როდესაც პარტია, როგორც ორგანიზმი, ავადმყოფობს, დაყრუვდა და თითქმის დაბრმავდა, ხოლო სამთავრობო სტრუქტურებს შესაბამისი ფუნქციების დუბლირება, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლიათ.**

„ქართული ოცნების“ ყველაზე ერთგული ამომრჩეველიც კი აშკარად დაიბნა, როდესაც იხილა 2018 წლის პირველი ნახევრის კრიზისი და ამის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა წინასაარჩევნოდ ასე მიმართა: „დემოკრატიული განვითარებისთვის უფრო კარგი იქნება, რომ ჩვენ ღირსეულ დამოუკიდებელ კანდიდატს დავუჭიროთ მხარი, თუ არ იქნება, არც არავის არ დავუჭიროთ და ოპოზიციამ გაინაწილოს ეს ინსტიტუტი“. საშუალოსტატისტიკურ ამომრჩეველს, როგორც წესი, კარგად ესმის ლიდერის, რომელიც მისი მოტივაციის ამაღლებას ცდილობს და ბრძოლისკენ, გამარჯვების მიღწევისკენ მოუწოდებს. მან (გაჭირვებით, მაგრამ მაინც) შეიძლება გაუგოს ლიდერს, რომელიც ეტყვის, რომ ამ ეტაპზე საჭიროა უკანდახევა და ძალთა გადაჯგუფება, მაგრამ ის ვერასოდეს გაიგებს ბიძინა ივანიშვილის ზემოთ ციტირებულ განცხადებას — უბრალოდ, დაიბნევა და, ალბათ, იკითხავს: **რა უნდა ამ კაცს ჩემგან?**

ასეთ პარტიას არ შეეძლო შეექმნა კარგი საარჩევნო შტაბი, რომელიც, მაღალტექნოლოგიურად და კრეატიულად თუ არა, საღ გონებაზე დაყრდნობით მაინც იმოქმედებდა. ივანიშვილის მხარდამჭერები გრძნობენ კამპანიის არაადეკვატურობას (ეს კარგად ჩანს სოცქსელებში) და ბევრ მათგანს მხოლოდ „ჯოკერის“, ანუ მომაკვდინებელი კომპრომატის გამოყენების იმედი აქვს, რაც სასოწარკვეთის დადასტურებაა.

კონკრეტული მაგალითი იმისა, რომ დღესაც კი, კრიტიკულ ვითარებაში, პარტიის შიგნით ერთიანობის მიღწევა ვერ ხერხდება:

„ვთვლი, რომ სალომე ზურაბიშვილი „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის კანდიდატი არ უნდა ყოფილიყო და პარტიას არჩევნებში საკუთარი კანდიდატი უნდა წარედგინა, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა **რევაზ არველაძემ,** — როდესაც აღნიშნული საკითხის განხილვა მიმდინარეობდა, მე ჩემი აზრი გამოვხატე, ვთქვი, რომ პარტიას ღირსეული ხალხი ჰყავდა და მხარს არც დამოუკიდებელ კანდიდატს უნდა უჭერდეს და არც სხვა პარტიის მიერ წარდგენილს. ცხადია, საბოლოოდ, მხარი დავუჭირე იმას, რაც უმრავლესობამ გადაწყვიტა“. მისივე თქმით, სალომე ზურაბიშვილი უფრო აქტიურად უნდა ჩანდეს და საზოგადოების წინაშე თავად წარადგენდეს, რის გაკეთებას აპირებს იმ უფლებამოსილებების ფარგლებში, რომელიც პრეზიდენტს გააჩნია. ყოველივე თქმული შეიძლება სრული ჭეშმარიტება იყოს, მაგრამ „ოცნების“ ამომრჩეველს შეიძლება გაუჩნდეს მარტივი კითხვა: ახლა ამის დროა?

შესაძლოა, მეორე ტურში სააკაშვილის მოწინააღმდეგეთა მასა ზურაბიშვილის გამარჯვებას უზრუნველყოფს, მაგრამ პოლიტიკური ბრძოლის ეს რაუნდი ამით არ დასრულდება. მთელი რიგი ფაქტორების თანხვედრის გამო, ნაციონალები წარმატებასთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე ოდესმე ბოლო 6 წლის განმავლობაში და შეიძლება ჩათვალონ, რომ მეორედ ასეთ მობილიზაციას ვეღარ უზრუნველყოფენ, მათ შორის, ივანიშვილისა და „ოცნების“ სხვა ლიდერების „გამოფხიზლების“ გამო. ამიტომ, როგორც ვაშაძის გამარჯვების, ისე მისი მარცხის შემთხვევაში, სააკაშვილი, დიდი ალბათობით, ვაბანკზე წავა, მით უმეტეს, რომ 2013 წლის პირველი ნახევრისგან განსხვავებით, როდესაც ნაციონალები ამაზე პირველად დაფიქრდნენ, დღეს მისი პირადი უსაფრთხოება სრულად დაცულია. „ქართული ოცნება“ ამ გამოწვევას დაახლოებით იმ მდგომარეობაში ხვდება, როგორშიც **იანუკოვიჩის** „რეგიონების პარტია“ 2014 წლის კიევის „მაიდანს“.

**ივანიშვილის შეცდომები, რაოდენ მძიმეც უნდა იყოს, შექმნილი პრობლემების მთავარი მიზეზი არ არის. გაცილებით მეტი დააშავა მან, ვინც ჩათვალა, რომ „ბატონმა ბიძინამ უკეთ იცის“, მას ღვთაებრივი გამჭრიახობა მიაწერა და საკუთარი პასიურობა ასე გაამართლა: „მოდი ვაცადოთ“. შესაძლოა, მთავარი მიზეზი იმისა, რომ დღეს ქვეყანა სააკაშვილის სადისტური რეჟიმის რესტავრაციის საფრთხის წინაშე დგას, სწორედ ეს სამოქალაქო იმპოტენციაა.**

**P.S. 20 ნოემბერს იმედი გაგვიჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილმა რეალობა დაინახა.**

**ოპოზიციაც კი ამბობს, რომ, სულ ცოტა, ხუთი წელი უნდა, პენსიის მნიშვნელოვნად გაზრდას. აქ არ არის საუბარი გრანდიოზულ თანხებზე, არ არის საუბარი ევროპულ პენსიაზე, საუბარია იმაზე, რომ პენსიონერმა ადამიანად იგრძნოს თავი და თვიდან თვემდე იმაზე კი არ იფიქროს, როგორ მოიკლოს საკვები, არამედ ის მაინც ეიმედებოდეს, დღეს ერთი ლუკმით მეტი რომ გადამცდეს, პენსიამდე შიმშილი არ მომიწევსო.**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე უნდა გესაუბროთ. ვერ გეტყვით, ამას რა შეიძლება დავარქვათ: დაცინვა, ფეხებზე დაკიდება თუ სხვა რამ, მაგრამ ეს არის ფაქტი, რომელსაც ვერსად გავექცევით ვერც ჩვენ და ვერც სახელმწიფო, ის სახელმწიფო, რომლის მთავარი საზრუნავი ადამიანი უნდა იყოს.**

# ქართველთ შიმშილით გაქრობა ემუქრება

სანამ უშუალოდ ციფრებსა და ოფიციალურ მონაცემებზე გადავალთ, ეროვნული ვალუტის კურსზე ვთქვათ. ფინანსთა მინისტრმა **ივანე მაჭავარიანმა** წინა კვირას საინტერესო განცხადება გააკეთა — აღნიშნა, ლარის კურსის მერყეობა სპეკულაციური იყოო, თუმცა არ დაუკონკრეტებია, ვინ „ისპეკულიანტა“ და ვინ ნახა სარგებელი ამ ყველაფრით. მოსახლეობას სარგებელი რომ არ უნახავს, ფაქტია; ფაქტია ისიც, როგორც კი მოინდომა, ხელისუფლებამ წინასაარჩევნოდ გაქცეულ კურსს ყულფი ჩამოაცვა და უკან დაახევინა. შესაძლებელი ყოფილა გაკონტროლება. მანამდე გვიმტკიცებდნენ, ეროვნული ვალუტა ცოცხალი ორგანიზმია და თავისუფალ ცურვაშია გაშვებულიო. ისიც ვთქვათ, რომ, მაგალითად, 16 ნოემბერს, როცა „ბლუმბერგზე“ ვაჭრობა დასრულდა, ჩვენი ვალუტის კურსი **2,66** იყო, ეროვნულმა ბანკმა **2,68** დაადგინა, ხოლო ჯიხურებში დოლარის ყიდვა **2,67**-ად იყო შესაძლებელი. არავინ გვიხსნის, რატომ არის, რომ სხვა ქვეყნების ვალუტის კურსი „ბლუმბერგის“ მონაცემებს ასიდან ას შემთხვევაში სრული სიზუსტით ემთხვევა, ჩვენთან კი ცდომილებაა ხოლმე.

ახლა მთავარი — სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ოქტომბერში **3,60** ლარით გაზრდილი საარსებო მინიმუმიც ვერ გასცდა პენსიას და **173,80** ლარი შეადგინა. შესაბამისად, ეს მაჩვენებელი სექტემბერში **170,20** ლარი იყო, თუმცა...

იმავე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ოქტომბრის მონაცემებით, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი საქართველოში **153,90** ლარია. აქვე გეტყვით, რომ საარსებო მინიმუმი მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე დგინდება. **მინიმალური სასურსათო კალათა კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული კალათაა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისთვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების რაოდენობას, მისი შემადგენელი ელემენტების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) და კალორიულობის მინიმალურ ოდენობას, ანუ ადამიანი შიმშილით რომ არ მოკვდეს, ამაზეა საუბარი.**

ახლა განვაგრძოთ — ეს არის ის, საკვებად რაც სჭირდება ადამიანს, თორემ იმავე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საშუალო თვიური ხარჯი ერთ სულ მოსახლეზე **210,50 ლარია.** სამომხმარებლო ფულად ხარჯებში შედის სასმელი, თამბაქო, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, განათლება, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, სასმელი წყალი, საოჯახო მოხმარების საქონელი... დავანებოთ საარსებო მინიმუმს თავი და ავიღოთ საშუალო თვიური ხარჯი და ვთქვათ, რომ **ოთხსულიან ოჯახს სჭირდება 842 ლარი.**

მერამდენედ გვიწევს გამეორება, რომ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოს მოქალაქის თვიური შემოსავალი საშუალოდ **252,50** ლარია, ანუ ოთხსულიანმა ოჯახმა აუცილებელ 842 ლარს რომ მიაღწიოს, ოჯახში უნდა მუშაობდეს ოთხივე წევრი, მაგრამ თუ მხოლოდ ორი (მშობლები) მუშაობს, გამოდის, რომ მინიმალური თვიური ხარჯის გადახდა არ შეუძლიათ.

როცა ამბობენ პენსია საარსებო მინიმუმზე მაღალიაო, იმას გულისხმობენ, რომ პენსიონერები შრომისუნარიანი ადამიანების რიგში არ შედიან და შესაბამისად, 210,50 ლარი კი არა, სწორედ რომ 173,80 ლარი სჭირდებათ. სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. **გუშინ კაცი 64 წლის რომ იყო, დღეს 65-ის რომ გახდა და პენსიაზე გავიდა, იმას ნიშნავს, რომ საჭმელზე დაახლოებით 40 ლარი სასწრაფოდ უნდა მოიკლოს, იმავე თვეს უნდა მოიკლოს, იმიტომ, რომ იმ ერთ დღეში შრომისუუნარო გახდა. ეს — პენსიონერის შემთხვევაში, თორემ 14-15 წლის მოზარდები ხომ არ არიან შრომისუნარიანი კაცის მონაცემების და იმათ ის 173,80 ლარი უნდა ეყოთ, მაგრამ რა გამოდის: თუ ოთხსულიან ოჯახში მხოლოდ მშობლები მუშაობენ და აქვთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დადგენილი 252,50 ლარი, თვეში შემოსავალი 505 ლარი გამოდის, გავყოთ ოთხ სულზე და მივიღებთ, რომ ოთხსულიან ოჯახს საარსებო მინიმუმი არ აქვს.**

შევეცადე, მაქსიმალურად გასაგებად ამეხსნა, როგორ გვატყუებენ და როგორ გვიბნევენ თავგზას ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორ გვატყუებს ოპოზიციაც, როცა ამბობს: პენსიას 400 ლარამდე გავზრდითო... გვატყუებს იმიტომ, რომ თვითონ „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარე **რომან გოცირიძემ დეტალურად განიხილა ეს დაპირება და ახსნა, რომ პენსიის 400 ლარამდე გაზრდა მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ისინი ხელისუფლებაში მოვლენ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 2-3 წელში გაზრდიან ბიუჯეტს და ამ დაპირებას 2023 წლისთვის აასრულებენ.** თუ ხვდებით მაინც, რა ხდება?! **ოპოზიციაც კი ამბობს, რომ, სულ ცოტა, ხუთი წელი უნდა პენსიის მნიშვნელოვნად გაზრდას. აქ არ არის საუბარი გრანდიოზულ თანხებზე, არ არის საუბარი ევროპულ პენსიაზე, საუბარია იმაზე, რომ პენსიონერმა ადამიანად იგრძნოს თავი და თვიდან თვემდე იმაზე კი არ იფიქროს, როგორ მოიკლოს საკვები, არამედ ის მაინც ეიმედებოდეს, დღეს ერთი ლუკმით მეტი რომ გადამცდეს, პენსიამდე შიმშილი არ მომიწევსო.**



**ზოგიერთი პარლამენტარისა თუ მთავრობის წევრის ერთი თვის ხელფასი 1500 ლარით აღემატება პენსიონერთა წლიურ შემოსავალს. ჰო, ერთ თვეში ზოგიერთი 1500 (მინიმუმ) ლარით მეტს იღებს, ვიდრე პენსიონერი მთელი წლის განმავლობაში, და რასაც ოთხი წლის განმავლობაში მიიღებს (სუფთა ხელფასის სახით, პრემია-დანამატების გარეშე), პენსიონერს იმდენის მისაღებად პენსიაზე გასვლიდან 82 წელი სიცოცხლე დასჭირდება**

ამ ყველაფრის ფონზე, ცუდი მოსასმენია წინასაარჩევნო კამპანიის დროს დახარჯული მილიონების ოდენობა. ცუდი მოსასმენია ის, რომ ვიღაც სახელმწიფო მოხელეს ხელფასს იმიტომ უზრდიან სამიდან შვიდი ათას ლარამდე, ბიუჯეტის ფულის მოპარვის ცდუნება არ ჰქონდეს. **არადა, ზოგიერთი პარლამენტარისა თუ მთავრობის წევრის ერთი თვის ხელფასი 1500 ლარით აღემატება პენსიონერთა წლიურ შემოსავალს?! ჰო, ერთ თვეში ზოგიერთი 1500 (მინიმუმ) ლარით მეტს იღებს, ვიდრე პენსიონერი მთელი წლის განმავლობაში, და რასაც ოთხი წლის განმავლობაში მიიღებს (სუფთა ხელფასის სახით, პრემია-დანამატების გარეშე), პენსიონერს იმდენის მისაღებად პენსიაზე გასვლიდან 82 წელი სიცოცხლე დასჭირდება.** ანუ, ქალებს თქვენი ოთხწლიანი ჯამარიგის ოდენობის თანხის მისაღებად 142 წლამდე მოუწევთ ცხოვრება, კაცებს — ხუთი წლით მეტხანს. იმას თუ ხვდებით, რომ თქვენ ირგვლივ ადამიანები სახლიდან ადრე იმიტომ გადიან, რომ დასუფთავების სამსახურმა ნაგვის ურნების დაცლა არ მოასწროს ან სხვებმა, მათნაირად გასჭირვებულებმა, ნაგვის გაქექვა, მშივრები რომ არ დაიხოცონ...



ისევ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს დავუბრუნდეთ. თურმე **ყველაზე ღარიბად საქართველოში რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მოსახლეობა ცხოვრობს.** ოფიციალური მონაცემებით, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მოსახლეობა 30 246 ადამიანია. ცალკე თემაა ის, რომ ეს მხარე, პრაქტიკულად, დაცლილია. ჰოდა, ამ 30 246 ადამიანიდან სოციალურ დახმარებას 12 413 იღებს, რაც საერთო რაოდენობის 41 პროცენტია. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუ ასე გაგრძელდება (და რატომ არ უნდა გაგრძელდეს), სულ რაღაც 1-2 წელიწადში პროცენტული მაჩვენებელი 50-ს გადააჭარბებს.

მართლა ვერ ვხვდებით, რატომ იქცევა ასე ხელისუფლება. მართლა ვერ ვხვდებით, რატომ ათამაშებს თავის ნებაზე ეროვნულ ვალუტასაც და ადამიანის ნერვებსაც. ფაქტია, რომ რეალურად **საარსებო მინიმუმი იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე გვეუბნებიან.** ფაქტია, რომ ერთ ადამიანზე დაანგარიშებული შემოსავალი ოთხსულიან ოჯახს არ სწვდება, ვერ ყოფნის და ბედის ანაბარაა ხალხი მიტოვებული. რეგიონების განვითარებაზე ვზრუნავთ თურმე და **რაჭა-ლეჩხუმში ლამის ყოველი მეორე სოციალურ დახმარებაზეა დამოკიდებული და მერე გვიკვირს, — მთა რატომ იცლება, ტურისტულ ინფრასტრუქტურას ვავითარებთო. და იქ ჩასულ ტურისტს სოციალური დახმარების ფულით უმასპინძლოს ადგილობრივმა თუ სოციალურად დაუცველებს გრძელვადიან და შეღავათიან კრედიტს მისცემს ბანკი, ისიც სასტუმროს გამართავს და სულს მოითქვამს... არა, ბატონებო, არა! თვითონ დაჯექით, დათვალეთ და, თუ არ შეგრცხვებათ, სისულელეები მაინც არ თქვათ, სპეკულიანტები არ ეძახოთ საკუთარ თავს და ამომრჩეველს არ უკიჟინოთ, კარგად ცხოვრობთ, ფული გაქვთ, უბრალოდ, ვერ ხვდებითო...** სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც ხომ თქვენია და, ჩვენი თუ არ გჯერათ, მათ დაუჯერეთ — ლამის ნახევარი ერი შიმშილობს!

**ბატონებო, დაჯექით, დათვალეთ და, თუ არ შეგრცხვებათ, სისულელეები მაინც არ თქვათ, სპეკულიანტები არ ეძახოთ საკუთარ თავს და ამომრჩეველი არ დაარწმუნოთ: კარგად ცხოვრობთ, ფული გაქვთ, უბრალოდ, ვერ ხვდებითო... სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც ხომ თქვენია და, ჩვენი თუ არ გჯერათ, მათ დაუჯერეთ — ლამის ნახევარი ერი შიმშილობს!**

**ბესო ბარბაქაძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წინა კვირას რამდენიმე ვიგინდარამ გორთან შარვალი ჩაიხადა (ვითომ რუსეთი შეურაცხყვეს) და ხელისუფლებას, არა თუ არ დაუსჯია ისინი (თუმცა საამისოდ ყველანაირი სამართლებრივი მექანიზმი არსებობს), სიტყვიერადაც არ დაუგმია მათი საქციელი. შედეგად, მეორე დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიწვიეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და საერთაშორისო ასპარეზზე ყოველნაირი მხარდაჭერა აღუთქვეს. ვინმეს სჯერა, რომ ეს ორი მოვლენა, უბრალოდ, დაემთხვა ერთმანეთს?**

# «ჰამასის» შეტევა ისრაელზე, რუსეთი და საქართველო

**ბოლო რამდენიმე დღე ისრაელისთვის ძალიან რთული იყო. ომი, რომელიც წამოიწყო თელ-ავივმა ღაზას სექტორთან, მის ტერიტორიაზე გადმოვიდა. ქვეყნის სამხრეთი ნაწილი საშინელებამ მოიცვა, ისრაელელმა ჯარისკაცებმა კი ხელი მოაწერეს თავიანთ უუნარობას, დაიცვან მოსახლეობა. ღაზის სექტორის ჰამასელებმა პრაქტიკულად დაამტკიცეს არაეფექტიანობა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემისა „რკინის გუმბათი“, რომელსაც ცოტა ხნის წინათ ყველა აქებდა.**



ორი დღის განმავლობაში, 12-13 ნოემბერს, ღაზის სექტორის სხვადასხვა არაბული დაჯგუფების რადიკალებმა, ძირითადად, ჰამასელებმა ისრაელის მიმართულებით გაისროლეს 500-მდე რეაქტიული ჭურვი („გრადის“ სისტემის 122 მმ-იანი), მათგან მხოლოდ 150-ის ჩამოგდება შეძლო ნაქებმა „რკინის გუმბათმა“, დანარჩენმა 300-ზე მეტმა რაკეტამ რამდენიმე ისრაელელის სიცოცხლე შეიწირა, ასამდე კი დაიჭრა ან კონტუზია მიიღო, მასიურად გაჩნდა ხანძრები, მაგრამ დაბომბვის ყველაზე საშინელი შედეგი ისრაელელებისთვის ეს არ ყოფილა — მათ დაკარგეს უსაფრთხოების განცდა. მათი რწმენა „რკინის გუმბათისადმი“, რომ „ყველას დაიცავს“, ახლა განადგურებულია და კვლავ დაუბრუნდათ მივიწყებული განცდა სრული დაუცველობისა. ამ განცდით ისინი კიდევ დიდხანს იცხოვრებენ.

სიტუაცია ისრაელში შიდასახელმწიფოებრივ კრიზისში გადაიზარდა, ისეთში, რომ ისრაელის პრემიერმა **ნეთანიაჰუმ** „ჰამასს“ (რომელსაც აქამდე ისრაელის დაუძინებელ მტრად მიიჩნევდა და კატეგორიულ უარს ამბობდა მასთან მოლაპარაკებაზე) ზავი შესთავაზა, ხოლო თავდაცვის მინისტრი **ლიბერმანი** გადადგა.

როგორია ამ ყველაფერში რუსეთის როლი? საქმე ის არის, რომ აქამდე რუსეთი შუამდგომლობდა ისრაელს, პროტექციას უწევდა ირანთან და ახერხებდა, რომ პროირანულ „ჰამასს“ მასობრივი შეტევები არ მიეტანა ისრაელზე, მაგრამ ისრაელმა არ დააფასა რუსეთის ეს ჟესტი. რამდენიმე თვის წინათ ისრაელის ავიაგამანადგურებლები სირიის საჰაერო სივრცეში შეიჭრნენ და სირიელი სამხედროების პოზიციები დაბომბეს, ხოლო უკან დახევისას რუსულ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავს ამოეფარნენ, რამაც ამ რუსული თვითმფრინავის კატასტროფა გამოიწვია, დაიღუპა 15 სამხედრო მოსამსახურე.

ისრაელის მტრული ნაბიჯის (ასე შეაფასეს რუსმა პოლიტიკოსებმა და სამხედროებმა ისრაელის მოქმედება) პასუხად რუსეთი, უბრალოდ, განზე გადგა და აღარ გაუწია პროტექცია ისრაელს. შედეგი ამ უკანასკნელისთვის თითქმის კატასტროფულია.

ვინმემ შეიძლება იკითხოს, რაშუაშია აქ საქართველო? — ბატონებო, ჩვენი ხელისუფლება და ოპოზიცია რუსეთის ლანძღვაში ათენ-ალამებენ და ერთხელაც ჩვენს ირგვლივაც რომ შეიქმნას კრიზისული ვითარება? მაგალითად, როცა ყარსის ხელშეკრულების ვადა გავა? **ზოგიერთი ინფორმირებული წყაროს ცნობით, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს მეთაურები ორჯერ ჩასულან მოსკოვში, რათა პუტინი საქართველოს დანაწევრებაზე დაეყოლიებინათ, მაგრამ კატეგორიული უარი მიუღიათ.**

აგერ, წინა კვირას რამდენიმე ვიგინდარამ გორთან შარვალი ჩაიხადა (ვითომ რუსეთი შეურაცხყვეს) და ხელისუფლებას, არათუ არ დაუსჯია ისინი (თუმცა საამისოდ ყველანაირი სამართლებრივი მექანიზმი არსებობს), სიტყვიერადაც არ დაუგმია მათი საქციელი. შედეგად მეორე დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიწვიეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და საერთაშორისო ასპარეზზე ყოველნაირი მხარდაჭერა აღუთქვეს.

ვინმეს სჯერა, რომ ეს ორი მოვლენა, უბრალოდ, დაემთხვა ერთმანეთს?

**მოამზადა**
**ნოდარ გავაშელმა**

**ზოგიერთი ინფორმირებული წყაროს ცნობით, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს მეთაურები ორჯერ ჩასულან მოსკოვში, რათა პუტინი საქართველოს დანაწევრებაზე დაეყოლიებინათ, მაგრამ კატეგორიული უარი მიუღიათ**

# ჟან კლოდ იუნკერი ოფიციალურ ღონისძიებაზე ცალ-ცალი ფეხსაცმლით გამოცხადდა

**ევროკავშირის კომისიის თავმჯდომარე ჟან-კლოდ იუნკერი ოფიციალურ პრესკონფერენციაზე ცალ-ცალი ფეხსაცმლით გამოცხადდა. ევროპელი მაღალჩინოსნის უცნაური გამოსვლა სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა.**



პრესკონფერენცია ტარდებოდა სამხრეთი აფრიკის ლიდერ **სირილ რამაფოსასა** და ევროკავშირის თავმჯდომარე **დონალდ ტუსკის** შეხვედრის შედეგებზე.

საზოგადოების წინაშე **ცალ-ცალი** ფეხსაცმლით გამოსული იუნკერი ასისტენტმა ქალმა სასწრაფოდ მოაშორა ჟურნალისტების თვალს.

იუნკერთან დაკავშირებულია ოფიციალურ ღონისძიებებზე მომხდარი სხვა კურიოზული ეპიზოდებიც:

* 2018 წელს ნატოს სამიტზე ევროპული კომისიის თავმჯდომარე კინაღამ ზედ დაეცა უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს. მასმედიამ ეჭვი გამოთქვა, რომ იუნკერი მთვრალი იყო;

* 2017 წელს სხვა სამიტზე ჟენევაში შენიშნეს, რომ იუნკერი ადამიანებსა და ავეჯს ეჯახებოდა.

* 2015 წელს „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სამიტზე იუნკერი ამაღლებულ განწყობაზე იყო: ცეკვავდა, ჰალსტუხს უსწორებდა სხვა სტუმრებს და მხარზე ხელს უტყაპუნებდა.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# უკრაინაში «ეკლესიების გაერთიანების» საქმე კარგად ვერ მიდის

**ე.წ. უკრაინის ავტოკეფალიური ეკლესიის გამაერთიანებელი კრება, რომელიც 22 ნოემბერს იყო დანიშნული, არ გაიმართება, — განაცხადა როგორც უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს პრესსამსახურის წარმომადგენელმა, ასევე კონსტანტინოპოლის პრესსამსახურის უფროსმა და თვით უკრაინის პარლამენტის სპიკერმა ანდრეი პარუბიიმ, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს „ტომოსის მინიჭების“ საკითხთან.**



პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ „ისტორიული ღონისძიების ჩატარების თარიღი დამოკიდებულია უკრაინელ ეპისკოპოსებს შორის მოლაპარაკების დასრულებაზე“. ამჟამად მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, რადგან მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსების 13 ნოემბრის კრებაზე გადაწყდა, რომ ეს ეკლესია უარს ამბობს გაერთიანებაზე. ეკლესიის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „ტომოსის მინიჭება“ გარედან თავსმოხვეული ხელოვნური პროცესია, რომელიც გააღრმავებს მართლმადიდებლებაში წარმოქმნილ განხეთქილებას.

უკრაინის პრეზიდენტ **პეტრე პოროშენკოს** მცდელობა, „უკრაინის სახლში“ (ყოფილი ლენინის მუზეუმი) მოლაპარაკებები გაემართა მოსკოვის საპატრიარქოს იერარქიებთან, წარუმატებლად დასრულდა. შეხვედრაზე მივიდა მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მხოლოდ ორი ეპისკოპოსი, ამიტომ გადაწყდა, გადაეწიათ „დამფუძნებელი კრების“ თარიღი, რადგან გაერთიანების მსურველი არავინ ჩანდა.

უკრაინის უშიშროების სამსახური ამჟამად „გასაუბრებაზე“ იბარებს მოსკოვის საპატრიარქოს ეპისკოპოსებს. ეს წნეხში მოქცევაა ეკლესიის იერარქებისა და მათი იძულება „ავტოკეფალიურ შეკრებაში“ მონაწილეობაზე.

პარალელურად, პრეზიდენტისადმი მორჩილმა მედიამ დაიწყო იმ ეპისკოპოსების დისკრედიტაციის კამპანია, რომლებიც უარს ამბობენ გაერთიანებაზე, ქვეყნდება სტატიები იერარქების მანქანებზე, უძრავ ქონებაზე, მათ დასვენებაზე პრესტიჟულ კურორტებზე და ა.შ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ „გამაერთიანებელი კრება“ დანიშნულია 9-10 დეკემბერს, თუმცა ამას ოფიციალურად არავინ ადასტურებს. ეს გასაგებიცაა: როგორც ჩანს, ამ წელს უკრაინისთვის „ტომოსის მინიჭებას“ ვერ შეძლებენ.

**მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

ევროპული არმიის შექმნის პერსპექტივის კომენტირებისას საფრანგეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ სამხედრო სფეროში ამერიკის შეერთებული შტატებზე საფრანგეთის დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს... საფრანგეთის პრეზიდენტის აზრით, აუცილებელია დამოუკიდებლობა ისეთ სფეროში, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება და ყველა სამხედრო შემადგენელში — ხმელეთზე, ზღვაზე, ჰაერსა და კოსმოსში.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მაკრონი: კმარა აშშ-ის ვასალად ყოფნა, ევროპას თავისი არმია უნდა ჰყავდეს!

**აშშ — ეს არის ჩვენი ისტორიული მოკავშირე და კვლავაც ასე იქნება. ეს არის მოკავშირე, რომელთანაც ჩვენ ვიღებთ ყველა რისკს განსაკუთრებით რთული ოპერაციების ჩატარებისას, მაგრამ იყო მოკავშირე, არ ნიშნავს, რომ იყო ვასალი", — განაცხადა ტელეარხ TF1-ის ეთერში ავიამზიდ „შარლ დე გოლის" ბორტზე მყოფმა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა.**



ევროპული არმიის შექმნის პერსპექტივის კომენტირებისას საფრანგეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ სამხედრო სფეროში ამერიკის შეერთებული შტატებზე საფრანგეთის დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს. მაკრონს მტრები პირდაპირ არ დაუსახელებია, მაგრამ ილაპარაკა ხმელთაშუა ზღვაში რუსეთისა და ჩინეთის ხომალდების ყოფნაზე.

საფრანგეთის პრეზიდენტის აზრით, აუცილებელია დამოუკიდებლობა ისეთ სფეროში, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება და ყველა სამხედრო შემადგენელში — ხმელეთზე, ზღვაზე, ჰაერსა და კოსმოსში. მან აღნიშნა: **„ეს რომ გავაკეთოთ, ჩვენ არ უნდა ვიყოთ დამოკიდებულები, მათ შორის, არც აშშ-ზე. ზოგიერთ სფეროში ჩვენ ძალიან დამოკიდებულები ვართ და ეს კარგი არ არის".**

შეგახსენებთ, რომ ნოემბერში რადიო Europe1-ისთვის მიცემულ ინტერვიუში საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა** განაცხადა: **„შეუძლებელია ევროპელების დაცვა, თუ არ შევქმნით ნამდვილ ევროპულ არმიას"...** მაკრონის აზრით, ევროპამ თავი თვითონ უნდა დაიცვას. ევროპა დამოკიდებული არ უნდა იყოს ვაშინგტონზე და უნდა შეეძლოს, დაუპირისპირდეს ჩინეთს, რუსეთსა და აშშ-საც კი. ანალოგიურ განცხადებებს მაკრონი აკეთებდა 2018 წლის განმავლობაში. ამავე აზრისაა გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელიც.**

**მაკრონის აზრით, ევროპამ თავი თვითონ უნდა დაიცვას. ევროპა დამოკიდებული არ უნდა იყოს ვაშინგტონზე და უნდა შეეძლოს, დაუპირისპირდეს ჩინეთს, რუსეთსა და აშშ-საც კი. ანალოგიურ განცხადებებს მაკრონი აკეთებდა 2018 წლის განმავლობაში. ამავე აზრისაა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელიც**



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ამ ინიციატივას „შეურაცხმყოფელი" უწოდა.

# «ოაზისი» რუსეთისთვის: ეგვიპტემ რფ-ს 2 მლნ მ²-ზე მეტი ტერიტორია გამოუყო სამრეწველო სივრცის შესაქმნელად



**ეგვიპტის პარლამენტმა 11 ნოემბერს დაამტკიცა შეთანხმება რუსეთის ფედერაციის კაპიტალისთვის ოაზისის შექმნის შესახებ. ეს არის სუეცის არხის სამეურნეო კლასტერში რუსეთის სამრეწველო ზონების შექმნის შესახებ შეთანხმება.**

გარიგება, რომელიც 2017 წლის მაისში გაფორმდა მოსკოვში ორი ქვეყნის მთავრობებს შორის, 7 მლრდ დოლარის ინვესტიციების ჩადებას ითვალისწინებს. **ახმედ სამირმა,** ეგვიპტის პარლამენტის ეკონომიკის საკითხების კომიტეტის ხელმძღვანელმა, განაცხადა, რომ გარიგება ასახავს ეგვიპტისა და რუსეთის ფედერაციას შორის მზარდ პოლიტიკურ და სამეურნეო კავშირებს.

**„ამჟამად რუსეთი და ეგვიპტე თანამშრომლობენ ყველა დონეზე, რომლებიც მოიცავს სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებს",** — განმარტა სამირმა და დასძინა, რომ, **სუეცის არხის ეკონომიკური რაიონის შიგნით ინდუსტრიული ზონის შექმნის გარდა, გარიგების მიხედვით, რუსეთი დაეხმარება ეგვიპტეს 4 ატომური ელექტროსადგურის აშენებაში ალექსანდრიის დასავლეთით, დაბააში.**

სამირმა თქვა, რომ რუსეთის სამრეწველო ზონაში ძირითადი ყურადღება მიპყრობილი იქნება ელექტრონიკაზე, მშენებლობაზე, ქაღალდის დამზადებაზე, ხის გადამუშავებაზე, საავტომობილო მშენებლობასა და სამედიცინო ტექნიკაზე.

„ზონაში გამოყენებული იქნება მაღალი ტექნოლოგიები კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად და არსებული სამრეწველო ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის ასამაღლებლად ეგვიპტეში. ზონა, აგრეთვე, იქცევა რუსული პროდუქციის ექსპორტის კარიბჭედ სრულიად აფრიკაში".

# 13 ქვეყანას სურს, რუსული С-400 შეიძინოს და უარს ამბობს ამერიკული ანალოგის ყიდვაზე

**სულ ცოტა, 13 ქვეყანას სურს რუსეთისგან საზენიტო-სარაკეტო სისტემა С-400-ის შეძენა, — იუწყება ტელეარხი CNBC სადაზვერვო სამსახურთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით. ეს სახელმწიფოები მზად არიან, შეიძინონ რუსული საზენიტო-სარაკეტო სისტემები ანალოგიური ამერიკული იარაღის ნაცვლად, აშშ-ის მხრიდან სანქციების დაწესების მუქარის მიუხედავად.**



CNBC-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საუდის არაბეთმა, ყატარმა, ალჟირმა, მაროკომ, ეგვიპტემ, ვიეტნამმა და ერაყმა უკვე იმსჯელეს შესაძლო გარიგებაზე. პენტაგონმა ტელეარხს ურჩია, ამ საკითხზე მიემართა თეთრი სახლისთვის, მაგრამ იქ კომენტარისგან თავი შეიკავეს.

ზაფხულში ზოგიერთი დასავლური გამოცემა იუწყებოდა, რომ, თუ თურქეთი რუსეთისგან შეისყიდდა С-400-ებს, მაშინ მას უარს ეტყოდნენ 100 ერთეული F-35 გამანადგურებლის მიწოდებაზე 10 მლრდ დოლარად. ზაფხულშივე გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-მა შეიძლება სანქციები დაუწესოს ინდოეთს, თუ ის შეიძენს С-400-ს. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის თანაშემწის — **რენდალ შრაივერის** განცხადებით, თეთრმა სახლმა ინდოეთის მიმართ შეიძლება გამოიყენოს კანონი „აშშ-ის მოწინააღმდეგეების მიმართ სანქციების დაწესების შესახებ".

**სახელმწიფოები მზად არიან, შეიძინონ რუსული საზენიტო-სარაკეტო სისტემები ანალოგიური ამერიკული იარაღის ნაცვლად, აშშ-ის მხრიდან სანქციების დაწესების მუქარის მიუხედავად**



# თეთრ რასას გადაშენება ემუქრება

**100 წლის წინათ გერმანელმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა ოსვალდ შპენგლერმა XXI საუკუნის დასაწყისში ევროპის დაისი იწინასწარმეტყველა. პროცესი დაიწყო: ევროპელების რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა. მაგალითად, პარიზში ფრანგები უფრო ნაკლებნი არიან, ვიდრე სხვა ერის წარმომადგენლები.**

დღეს თეთრკანიანთა რაოდენობა პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით 8 პროცენტია და ეს კატასტროფულად მცირეა გასულ საუკუნეებთან შედარებით. XIX საუკუნის შუა წლებში თეთრკანიანთა რაოდენობა პლანეტაზე 50%-ს შეადგენდა, XX საუკუნის შუა წლებში კი — 22%-ს. თუ თეთრკანიანთა შემცირება ასეთი ტემპით გაგრძელდება, სპეციალისტთა აზრით, XXI საუკუნის ბოლოს თეთრი რასა არსებობას შეწყვეტს.

**გვერდი მოამზადა**
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„სტალინი პატივს სცემს და უყვარს შრომისმოყვარე ხალხი, სძულს ზარმაცები. სტალინის დროს საბჭოთა და პარტიული მაღალჩინოსნების უმრავლესობა საქმის უცოდინარობისა და მუშაობის სურვილის არქონის გამო დაზარალდა. შეცდომებს მიუტევებს, თუმცა მის მიმართ ჩადენილი ბოროტება და შეურაცხმყოფელი სიტყვები არ ავიწყდება. არ უყვარს ყბედები, განსაკუთრებით ტროცკისმაგვარი „თეატრალური ორატორები“. ხელოვანი ადამიანებისა და მეცნიერების წინაშე ქედს იხრის, თუმცა მათი არ შურს. საქმის დასრულებას, მოცემულ მომენტში თუ არის შესაძლებელი, ხვალისთვის არასოდეს გადადებს. იმ საქმის საუკეთესოდ ორგანიზება ეხერხება, რომელიც დიდი ამოცანებისა და პრობლემების გადაწყვეტას მოითხოვს“.

# სტალინის პორტრეტისთვის
## სტალინის ფენომენზე მუშაობის გამო

**სტალინის ფენომენზე მუშაობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ მისი პიროვნება ჰგავს ტრამალებზე დანთებულ კოცონს, რომელსაც, რაც უფრო უახლოვდები, მით უფრო გშორდება. ხან კი მეჩვენება, რომ ის განათებული ცათამბჯენებისა და ფართო პროსპექტების მირაჟია. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მასალა გამოვაქვეყნე, მკითხველისთვის არ მიკადრებია, ჩემი აზრი გამომეთქვა კულტზე („პიროვნების“), რომელიც ჩემთვის ღვთაებრივია, ღმერთია და ღმერთზე ჩემი ენით საუბარი მკრეხელობად მიმაჩნია, მაგრამ გადავწყვიტე, არა სხვისი გამონათქვამებითა და შეფასებებით გაგაკვირვო, მკითხველო, არამედ ჩემი აზრიც მოგაწოდო.**

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში დავასრულე **სტალინისა** და **ნიკოლოზ ბაიბაკოვის** ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის გაცნობა მკითხველისთვის. გაზეთის ყოველი ნომრის გამოსვლის შემდეგ უამრავი ადამიანი მირეკავს, უფრო ხშირად მადლობას მეუბნებიან, მაგრამ აი გასულ პარასკევს ტელეფონზე ჩემმა ახლო მეგობარმა და ძმამ **სიმონ მაჭავარიანმა** დამირეკა:

— გრიშა, გულდასმით წავიკითხე სტატია „სტალინი და ბაიბაკოვი“.

მინდა წინასწარ განვაცხადო, რომ სიმონ მაჭავარიანი ტექსტის ძალიან გულდასმით წამკითხველია და ყოველთვის მაინტერესებს მისი აზრი, ახლაც დიდი ყურადღებით დავიწყე მისი მოსმენა:

— უნდა გითხრათ, რომ შენმა ნაწერმა თითქოს ჯავარი დაკარგა, ტანში აღარ მბურძგლავს, კითხვის დროს აღარ აღვენთები, ან მე დავბერდი და ემოცია აღარ დამრჩა, ანდა შენ მოუკელი წერას“.

— სიმონ, რაში ატყობთ, რომ ნაწერმა ჯავარი დაკარგა? — ვკითხე ოდნავ ნაწყენმა.

— გრიშა, ბაიბაკოვი ჟუკოვსა და ვასილევსკის ეკითხება სტალინის შეფასებას და, ისინი რომ პასუხობენ... შენ ამას არ უნდა წერდე, რადგან უკვე დაწერილი გაქვს, რომ სტალინს ხშირად საყვედურობდნენ მაშინაც და ახლაც, რომ ომის პირველი წარუმატებლობა სწორედ ჟუკოვისა და ვასილევსკის კისერზეა, რადგან გენერალურ შტაბს სწორედ ეს ორი მარშალი განაგებდა. სტალინის ასეთი შეფასება მომგებიანი არ არის მკითხველისათვის. შენ სტატიებს თუ ვკითხულობ, იმიტომ, რომ მიუკერძოებლად ამბობ შენს სათქმელს“. და კიდევ ბევრი რამ მისაყვედურა ბატონმა სიმონმა.

მეორე ჩემი უსაყვარლესი მეგობარი და უფროსი ძმა **ანზორ ბურჯანაძე**, როდესაც ჩემს სტატიას წაიკითხავს, თუ უკმარისობის განცდა დაეუფლება, დამირეკავს და მეუბნება:

— გრიშა, ძალიან ბევრს მუშაობ, გეტყობა, რომ გადაიღალე. სთხოვე რედაქციას, გამოტოვო ორი ნომერი, რათა ძალა მოიკრიბო და, როგორც იცი, წერა ისე გააგრძელო. არ გეგონოს, სტატიას რამე დასაწუნი ჰქონდეს, მაგრამ აშკარად მეტი შეგიძლია“, — მეტყვის ხოლმე ბატონი ანზორი.

მე არ ვწერ შეფასებებს იმ ადამიანებისა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან ჩემი სტატიებითა და მასში მოყვანილი ფაქტებით. მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ ბაიბაკოვზე უამრავ მასალას მოვუყარე თავი, სანამ წერას შევუდგებოდი, გამახსენდა, რომ საგეგმო კომიტეტში ყველაზე საინტერესო ფაქტები ბატონ **ბაკურ გულუას** მოეპოვება და ვიფიქრე: გავესაუბრები, იქნებ სხვა ახალი ფაქტებიც მოვიპოვო ამ შესანიშნავ პიროვნებაზე-მეთქი.

— ბატონო ბაკურ, შენს მეგობარზე ვწერ სტატიას, ნიკოლოზ ბაიბაკოვზე, ვიცი, რომ ბევრი რამ იცი მისი განვლილი ცხოვრების შესახებ. იქნებ ორიოდე ფაქტი მომიყვეთ, რათა მკითხველს უფრო ახლოს გავაცნოთ სტალინის ეს ერთგული თანამებრძოლი.

„გრიშა-ბატონო, შენ მიერ მოძიებულ საარქივო მასალებს ახალს ვერაფერს დავამატებ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მე მასთან მუშაობა არ მომიწია და მისი მუშაობის სტილსა და მეთოდებს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ რამდენჯერმე შევხვედრივარ. ისიც უნდა გითხრათ, რომ იგი დიდი სტალინელი არ გახლდათ, სტალინის გარდაცვალების შემდეგ მან იმდენ ტალახში იარა, იმდენჯერ გამოიცვალა ტყავი, იმდენი რამ ჭამა, რაც არ იჭმევა, რომ სტალინელად ნამდვილად ვერ აღვიქვამ. ოღონდ ერთი კია, მან საქართველო კარგად იცოდა და დიდ პატივს სცემდა ქართველ ხალხს.

**ენგურჰესი, რომლითაც მაშინაც და ახლაც ამაყობს რუსი და ქართველი ხალხი, როგორც ევროპაში ერთ-ერთი უმაღლესი კაშხალი, სტალინის პროექტით არის განხორციელებული. სწორედ ენგურჰესის საპროექტო სამუშაოების ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო ნიკოლოზ ბაიბაკოვი, რომელმაც თითქმის ზეპირად იცოდა ენგურჰესის ხეობა და მისი ლანდშაფტი. სამწუხაროდ, პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა სამამულო ომმა და პროექტი სტალინის გარდაცვალების შემდეგ განახლდა.**

არის მეორე საკითხი, უფრო სერიოზული და მეტად სახიფათო. მარნეულის რაიონის იმირის ქვიშის კარიერიდან ინერტული მასალების გადმოზიდვა თბილისამდე უნდა მომხდარიყო პნევმატიკის გამოყენებით, რომლის პროექტიც პოლიტბიურომ მოიწონა და დაამტკიცა კიდეც. გამოყო იმდროისთვის კოლოსალური თანხა და მასალები. მშენებლობა დაიწყო და დამთავრდა აღნიშნულ ვადებში, მაგრამ პროექტში თუ სამუშაოს შესრულებაში დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა თავი იჩინა ექსპლოატაციის დროს და აღნიშნულმა პროექტმა არ იმუშავა. ასეულობით მილიონი მანეთი წყალში გადაიყარა. საკითხი პოლიტბიურომ განიხილა და შედგა სამთავრობო კომისია ზარალის დადგენისა



**«ენგურჰესი, რომლითაც მაშინაც და ახლაც ამაყობს რუსი და ქართველი ხალხი, როგორც ევროპაში ერთ-ერთი უმაღლესი კაშხალი, სტალინის პროექტით განხორციელდა. სწორედ ენგურჰესის საპროექტო სამუშაოების ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო ნიკოლოზ ბაიბაკოვი, რომელმაც თითქმის ზეპირად იცოდა ენგურჰესის ხეობა და მისი ლანდშაფტი. სამწუხაროდ, პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა სამამულო ომმა და პროექტი სტალინის გარდაცვალების შემდეგ განახლდა»**

და დამნაშავე პირთა გამოსავლენად. კომისიის თავმჯდომარედ პოლიტბიურომ ნიკოლოზ ბაიბაკოვი დანიშნა. სწორედ იმ პერიოდში ვმუშაობდი საგეგმო კომიტეტში, როდესაც ბაიბაკოვის კომისია საქართველოში აღნიშნული საკითხის შესასწავლად ჩამოვიდა. კომისიამ ორ თვეზე მეტხანს იმუშავა — შედგა უამრავი დოკუმენტი, ჩატარდა ექსპერტიზა. ყველა შედეგი პოლიტბიუროს მოსამზადებელ სხდომაზე მოისმინეს. გარდა ბაიბაკოვის მაღალი ნდობისა და ავტორიტეტისა, არავის შეეძლო გადაერჩინა არც საქართველოს მთავრობა და არც მშენებელთა, არქიტექტორთა და კონსტრუქტორთა არმია, იმ მძიმე ხიფათისაგან, რომელიც ემუქრებოდა მათ სახელმწიფო სახსრების დიდი რაოდენობით გაფლანგვის გამო. ვფიქრობ, ნიკოლოზ ბაიბაკოვმა მხოლოდ და მხოლოდ სტალინის სახელს სცა პატივი, რომ ეს უდიდესი შეცდომა და სახელმწიფო დანაშაული მსხვერპლის გარეშე დასრულდა“.

ბატონ ბაკურ გულუას მონათხრობის პატივისცემის გამო ამოვიღე სტატიიდან ის საჩოთირო მომენტები, როდესაც ყველა ძვირად ღირებული ლითონის წონის ერთეულისა და მათი საბაზისო ნიშნულის ერთეულის დასახელება მოსთხოვა ფინანსთა მინისტრს სტალინმა, ხოლო მან ვერც ერთ კითხვას პასუხი ვერ გასცა. ბოლოს კი სტალინმა ახალგაღვიძებულ მინისტრს უბრძანა, ბლოკნოტი და ფანქარი აეღო და, რასაც ეტყოდა, ჩაეწერა. სტალინმა ყველა ძვირფასი ლითონისა და ძვირფასი ბუნებრივი ქვების წონის ერთეულები და ღირებულებითი ეკვივალენტები ჩააწერინა მინისტრს და გაფრთხილა, კარგად გარკვეულიყო მათში, რადგან ფულის მომავალი რეფორმისთვის ყველა ეს მონაცემი ჰაერივით იყო საჭირო. ეს საუბარი 1943 წელს გაიმართა, სტალინგრადის აღების შემდეგ.

2010 წელს ლონდონის ერთ-ერთმა პოპულარულმა ჟურნალმა სტალინზე გამოაქვეყნა ანონიმური მასალა და საჭიროდ ჩავთვალე, მისი შინაარსი მკითხველისთვის გამეცნო. სწორედ ამ წერილის დამთავრების შემდეგ შევეცდები, სრულიად ახალი რაკურსით დაგანახვოთ სტალინის ფენომენი.

„შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტალინის, როგორც ფართო, ასევე მცირე ჭრილში განხილვისას, იგი ზედმიწევნით დამაფიქრებელი და ზუსტი პიროვნებაა. თანამშრომლებთან, სპეციალისტებთან, მწერლებთან, დიპლომატებთან და სახელმწიფო მოღვაწეებთან თითოეული შეხვედრისთვის ზედმიწევნით ემზადება. ასეთი შეხვედრები კი ათასობით იმართებოდა. იგი დღე-ღამეში თორმეტ საათს მუშაობს, ყოველგვარი შესვენებისა და შვებულების გარეშე, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ დღეებშიც საქმეებით არის დაკავებული. იგი ამაში ხედავდა აზრს. სიახლის ძიებისა და მომავლისთვის სარგებლის მოსატანად ბევრ რამეში იჩენს ინტერესს. დღეში მხატვრულ ტექსტებთან ერთად სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტების რამდენიმე ასეულ გვერდს კითხულობს. მოსკოვს იშვიათად ტოვებს, ფიზიკური დატვირთვის უკმარისობას კი კაბინეტში სიარულით ინაზღაურებს. როგორც ყველა დაკვირვებულ ადამიანს, სტალინსაც ნაცნობების ვიწრო წრეში ურთიერთობა მოსწონს. აგარაკზე გვიან საღამოობით გამართული ვახშმები, მისთვის მეგობრებთან ურთიერთობის და მოდუნების საშუალებაა.

**სტალინი პატივს სცემს და უყვარს შრომისმოყვარე ხალხი, სძულს ზარმაცები. სტალინის დროს საბჭოთა და პარტიული მაღალჩინოსნების უმრავლესობა საქმის უცოდინარობისა და მუშაობის სურვილის არქონის გამო დაზარალდა. შეცდომებს მიუტევებს, თუმცა მის მიმართ ჩადენილი ბოროტება და შეურაცხმყოფელი სიტყვები არ ავიწყდება. არ უყვარს ყბედები, განსაკუთრებით ტროცკისმაგვარი „თეატრალური ორატორები“. ხელოვანი ადამიანებისა და მეცნიერების წინაშე ქედს იხრის, თუმცა მათი არ შურს. საქმის დასრულებას, მოცემულ მომენტში თუ არის შესაძლებელი, ხვალისთვის არასოდეს გადადებს. იმ საქმის საუკეთესოდ ორგანიზება ეხერხება, რომელიც დიდი ამოცანებისა და პრობლემების გადაწყვეტას მოითხოვს.** ხელისუფლებაში დაახლოებით ოცდაათი წელია და ქვეყანა უდიდესი ძალაუფლების მქონე სახელმწიფოდ იქცა. ცხოვრებაში დაუღალავ სპარტელ მებრძოლს ჰგავს, თუმცა ძალიან ცოტას ისვენებდა. მთელ ცხოვრებას მუშაობას უძღვნის. ქალებს ყურადღებას არ აქცევს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ყოველმხრივ საინტერესო ხასიათის მქონე ადამიანის მიმართ, საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები დიდ ყურადღებას იჩენენ...

სტალინი წარმოუდგენელ ქარიზმას ფლობდა. ვინც მას იცნობდა, ამას ყველა აღნიშნავდა — როგორც მეგობრები, ისე მტრები. საკუთარ ღირსებას მძაფრად შეიგრძნობს, რაც მისი ქვეყნის მიმართ სხვების დამოკიდებულებაზეც ახდენს გავლენას. **სტალინს ერთგულებისა და პატრიოტიზმის გამო მტრებიც კი უდიდეს პატივს სცემდნენ. მან მსოფლიოს ასწავლა საბჭოთა რუსეთის სიყვარული და საბჭოთა ხალხში სწორედ ამ პატრიოტიზმისა და საკუთარი თავისადმი გამოჩენილი პატივისცემის გრძნობის აღდგენას ცდილობდა. მისი მმართველობის პერიოდში გაკეთებული დღემდე ბევრგან შემოგვრჩა და თანამედროვე რუსეთის ეკონომიკურ და ინტელექტუალურ ბაზას წარმოადგენს და დღეს, რუსეთის ფედერაციის პირობებში საკუთარი პოტენციალის გამოვლენას ახდენს. ესენია სტალინის დროს აშენებული ელექტროსადგურები, ქარხნები, ფაბრიკები, ინსტიტუტები და უნივერსიტეტები.**

2010 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის შენობას შორიდან ნაღვლიანად ისე ვუყურებდი, როგორც სტალინის ეპოქის უმშვენიერეს ძეგლს, მის კედლებზე შემორჩენილ საბჭოთა კავშირის შესანიშნავი დროის სიმბოლოებთან ერთად.

მახსოვს, ერთხელ მთის მწვერვალიდან ირკუტსკის მხარეს გადავყურებდი, სადაც სხვადასხვა დროს სულ რამდენიმე ათეული წელი ვიცხოვრე. ვუყურებდი და ვხედავდი, რომ ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში ახალი არაფერი აშენებულა. ვიხსენებდი ბავშვობას და თვალწინ წარმომიდგა ახალ- ▶

**„ჩერჩილი გვიამბობს, რომ ომის დასასრულს იალტაში, სადაც ომისშემდგომი მსოფლიოს გაყოფის პრობლემის განხილვა მიმდინარეობდა, სტალინის გამოჩენისას, უნებლიეთ ყველა ფეხზე დგებოდა. იმ მოლაპარაკებებში, რომლებითაც მსოფლიოს სამომავლო ბედი წყდებოდა, რუზველტის მთავარი ოპონენტი და თანამოსაუბრე სწორედ სტალინი იყო. ამით ჩერჩილი არც ისე კმაყოფილი იყო, რაც საბჭოთა კავშირისადმი მის სიმპათიას ნამდვილად არ ემსახურებოდა. როგორც ვისოცკი ამბობდა, ჩერჩილი მხოლოდ „შტაბის მსახურის“ როლს ასრულებდა, ეს ორნი კი „ბატალიონის სკაუტები“ იყვნენ“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აშენებული რვაწლიანი სკოლა, მის ტერიტორიაზე განლაგებული სამი მოედნით, სადაც ფეხბურთის, ხელბურთისა და კალათბურთის თამაშები მიმდინარეობდა. სკოლას ჰქონდა პატარა ბოტანიკური ნაკვეთიც. ეს სკოლა 1953 წელს აშენდა... ორი წლის შემდეგ მეზობელ დასახლებაში კიდევ ერთი საშუალო სკოლა აშენდა, რომელსაც ფეხბურთის მინდორი და სპორტული მოედანი ამშვენებდა, სადაც უფროსი ფეხბურთელები ვარჯიშობდნენ ხოლმე...

იმ დრამატიზმით აღსავსე პერიოდში გაკეთებულის მასშტაბურობას რომ მივხვდეთ, ისიც უნდა გვახსოვდეს, სტალინს ა და მის ხალხს, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში საბჭოთა კავშირის მტერმა გეგმების განხორციელების საშუალებაც არ მისცა. იმ დროს ქვეყანაში არსებული ყველა გეგმა რომ განხორციელებულიყო, საბჭოთა კავშირი არ დაირღვეოდა და არც გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში არ მოხდებოდა ხალხის გაღატაკება. თუმცა ყველასათვის ცნობილია, რომ ისტორია სუბიექტურ მიდგომას არავის მიუტევებს და ამიტომ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, წარსულს მივტიროდეთ და ღრმად ამოვიოხროთ...

**როგორც ბელადი, სტალინი ომისა და მშვიდობიანი მშენებლობის დროსაც ბრწყინვალეა. ქვეყნის კოლექტივიზაციითა და ინდუსტრიალიზაციით დაწყებული, საბჭოთა კავშირი უდიდესი ნაბიჯებით მომავლისკენ გაიჭრა. შექმნა თანამედროვე მრეწველობა, ჯარი, განათლების სისტემა და ჯანდაცვა. ეს ყოველივე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვრებს გარეთ გამოცხადებული ბლოკადისა და თავდასხმის საშიშროების ფონზე მიმდინარეობდა.**

სტალინი, როგორც პიროვნება და ბელადი, განსაკუთრებული ხასიათის გამო იყო. **ჩერჩილი გვიამბობს, რომ ომის დასასრულს იალტაში, სადაც ომისშემდგომი მსოფლიოს გაყოფის პრობლემის განხილვა მიმდინარეობდა, სტალინის გამოჩენისას, უნებლიეთ ყველა ფეხზე დგებოდა. იმ მოლაპარაკებებში, რომლებშიც მსოფლიოს სამომავლო ბედი წყდებოდა, რუზველტის მთავარი ოპონენტი და თანამოსაუბრე სწორედ სტალინი იყო. ამით ჩერჩილი არც ისე კმაყოფილი იყო, რაც საბჭოთა კავშირისადმი მის სიმპათიას ნამდვილად არ ემსახურებოდა. როგორც ვისოცკი ამბობდა, ჩერჩილი მხოლოდ „შტაბის მსახურის“ როლს ასრულებდა, ეს ორნი კი „ბატალიონის სკაუტები“ იყვნენ.**

თუმცა, როდესაც ეს ორი გარდაიცვალა, ხანგრძლივი ცხოვრების წლების გამო, **მსოფლიო ომის შედეგები სწორედ ჩერჩილმა მიიწერა. იმ ომისა, რომელიც ჰიტლერს მეწაღის ოჯახში დაბადებულ გენერალისიმუს სტალინის მეთაურობით რუსებმა მოუგეს. ჩერჩილმა დაწერა მეორე მსოფლიო ომის „ახალი“ ისტორია, რომელშიც გამარჯვება მიითვისა, სტალინი კი დიქტატორად და ტირანად გამოიყვანა.** სტალინს მისთვის პასუხი არ მოუთხოვია, რადგან მსოფლიოს გადარჩენისთვის ხალხის მხრიდან საბჭოთა ჯარების მიმართ მადლიერებაში ისედაც დარწმუნებული იყო. საკმარისი აღმოჩნდა ბელადის გარდაცვალება იმისათვის, რომ მისგან „სისხლისმსმელი მხეცი“ გამოეყვანათ და ეს ჩაიდინეს, როგორც მისმა ყოფილმა მოკავშირეებმა, ისე იმ ადამიანებმა, რომლებსაც თავის უახლოეს ადამიანებად და ბოლშევიკებად თვლიდა. ასეთი ცინიკური და გათვლითი ღალატისთვის გაწირეს საბჭოთა კავშირი, რომელსაც სათავეში სტალინი ედგა და ეს მას შემდეგ, რაც მილიონობით მსხვერპლის ფასად ჰიტლერი და მისი მოკავშირეები დაამარცხა.

ეს ღალატი შეიძლება ისე განვიხილოთ, როგორც ცივი ომის პროპაგანდა, რაც თანამედროვე რუსეთში საშინელ ექოდ გაისმის. ამ ღალატის დამსახურებით გაჩნდნენ „პროდასავლური დისიდენტები“, „არქიპელაგი გულაგი“ და თავად **სოლჟენიცინი,** რომელიც ფულითა და მისდამი გამოჩენილი ყურადღებით დასავლურმა „ლიბერალ-განათლებულებმა“ მოისყიდეს.

რა თქმა უნდა, ამ ღალატისთვის დღესაც იხდიან და მომავალშიც გადაიხდიან საფასურს ყოფილი კომუნისტები, რომლებმაც „ბოლშევიკები“ შეცვალეს. ეს „იარაღი“ სოციალისტური ქვეყნებისა და, პირველ რიგში, სსრკ-ის წინააღმდეგ მზადდებოდა. **დღეს, როდესაც მსოფლიოს რუკიდან საბჭოთა კავშირი გაქრა და ევროპული კომუნიზმი დამხობილია, ისლამის რადიკალური ძალები ამერიკის წინააღმდეგ შებრუნდნენ. ამ ბრძოლის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა კი შეუძლებელია.**

სტალინის პიროვნებასთან დაბრუნებისას უნდა ვთქვათ, რომ მან სოციალიზმის იდეალებისადმი საკუთარი დამოკიდებულებით დაგვიტოვა შედეგები საბჭოთა მარშლების, მეცნიერების, ადმინისტრატორების სახით, რომელთა შორის **ხრუშჩოვიც** იყო, აგრეთვე, **კოსიგინი** და კონსტრუქტორი **კოროლიოვი,** მეცნიერი ფიზიკოსები და ატომის მცოდნეები...



ქვეყანაში ყველაფრის ჩამოშლა მას შემდეგ დაიწყო, როდესაც ძველი გვარდიის ნაცვლად ყოფილი კომკავშირლები, დემაგოგები და „ოპოზიციონერები“ მოვიდნენ, ჯერ — **გორბაჩოვი,** შემდეგ — **ელცინი.** სოფლის წიაღიდან გამოსული გლეხი ბავშვები, ქედმაღლობამ და პატივმოყვარეობამ ქვეყნის ინტერესებისა და საბჭოთა ხალხის ღალატამდე მიიყვანა. მათ ისინი ჯერ გაწირეს, შემდეგ დასავლური პრესის ხმაურის სანაცვლოდ „გაყიდეს“.

იმისათვის, რომ ეს ღალატი აღსრულებულიყო, ხალხში „პიროვნების კულტის“ ნდობა უნდა აღძრულიყო, რომელშიც სოლჟენიცინმა საბჭოთა კავშირში ცხოვრება ციხეს შეადარა. რა თქმა უნდა, ეს იდეოლოგიური პროვოკაცია იყო, რომლის შედეგიც საბჭოთა კავშირის ჩაძირვა და მილიონობით ადამიანის ტრაგედია იყო. მის ადგილზე ათზე მეტი „დამოუკიდებელი“ ქვეყანა გაჩნდა, რომლებიც დღემდე ერთმანეთთან მუდმივ ომშია ჩართული.

ბევრი თანამედროვე ისტორიკოსი, რომლებიც სტალინის შესახებ საბჭოთა კავშირში წერდნენ, იმ მოზარდებს მაგონებენ, რომლებიც გარშემომყოფთა ცინიკური ხითხითის ქვეშ გაზეთების ხმაურიან დასათაურებებს დაეძებენ და პოულობენ კიდეც. ამიტომაცაა, რომ დასავლელი მეზობლის სასარგებლოდ „სტალინის ტერორის“ მსხვერპლის რაოდენობას წარმოუდგენელ რაოდენობამდე ზრდის.

სტალინს, ისევე, როგორც **ნაპოლეონს,** თავის თანამებრძოლების შესახებ შეეძლო ეთქვა: „ ისინი ჩემ გარეშე არაფერს წარმოადგენენ. ჩემთან კი ჩემი თავი და ხელებია“. ნიკიტა ხრუშჩოვიც კი თავის დროზე ქალაქის მერი იყო და იბრძოდა, შემდეგში სსრკ-ის უნიჭო მეთაური გახდა, რომელმაც რევოლუციის მიერ გმირული მონაპოვარი გაანიავა და ერთ ადგილზე გაყინვის პირველი ნაბიჯი გადადგა. **კიროვი, ორჯონიკიძე, მოლოტოვი, ბერია** სტალინის დროს დაუღალავად შრომობდნენ, მის გარეშე კი უბრალო კარიერისტები გახდნენ... სტალინის სიცოცლის ბოლოს, როგორც ყველა ასაკოვანი ბელადის შემთხვევაში ხდება ხოლმე, იგი გარშემო აღარავის ენდობოდა. მათ კი მხოლოდ ეშინოდათ.

ამიტომაც დარჩა სტალინი სიკვდილთან მარტო, ისევე, როგორც სიცოცხლეში იყო მარტო. ასეთი იყო ბელადების ბედი ყოველთვის. ასე აღესრულა **იულიუს კეისარი,** რომელიც ღალატით მოკლეს. ასე მოკლეს **იესო ქრისტე,** რომელსაც უღალატეს და ჯვარზე გააკრეს, ასე მოკვდა ნაპოლეონი შორეულ კუნძულზე, ყველასგან მივიწყებული და მიტოვებული, ასე მოკვდა სტალინი.

თანამედროვეთა მონათხრობის მიხედვით, მისი რეზიდენციაში შეწუხების ეშინოდათ და გონების დაკარგვის შემდეგ რამდენიმე საათით უყურადღებოდ აღმოჩნდა. ბერია „პატრონის“ სიკვდილს მოუთმენლად ელოდა, რათა მისი ძალაუფლება ხელში ჩაეგდო და თავისი ადმინისტრაციული „ნიჭი“, ბოლოს და ბოლოს, მთელი სიძლიერით გამოეჩინა. თუმცა ბელადის სიკვდილის შემდეგ მან მხოლოდ ექვს თვეს იცოცხლა და საბჭოთა კავშირის მთავრობა პარტიულმა მაღალჩინოსნებმა დაიკავეს, სათავეში კი ნიკიტა ხრუშჩოვი იდგა. დაკრძალვის ცერემონიის შემდეგ, სულ მალე, სტალინი თითქმის ყველა წარმოდგენილ თუ წარმოუდგენელ დანაშაულში „ამხილეს“. ქვეყანამ კი, რომელმაც ყველა სირთულე გადალახა და ყველა დაამარცხა, შინაურ მტერს ვერ აჯობა და ნელნელა ჩამოშლა დაიწყო.

«სტალინს ერთგულებისა და პატრიოტიზმის გამო მტრებიც კი უდიდეს პატივს სცემდნენ. მან მსოფლიოს ასწავლა საბჭოთა რუსეთის სიყვარული და საბჭოთა ხალხში სწორედ ამ პატრიოტიზმისა და საკუთარი თავისადმი გამოჩენილი პატივისცემის გრძნობის აღდგენას ცდილობდა. მისი მმართველობის პერიოდში გაკეთებული დღემდე ბევრგან შემოგვრჩა და თანამედროვე რუსეთის ეკონომიკურ და ინტელექტუალურ ბაზას წარმოადგენს და დღეს, რუსეთის ფედერაციის პირობებში საკუთარ პოტენციალის გამოვლენას ახდენს: ესენია სტალინის დროს აშენებული ელექტროსადგურები, ქარხნები, ფაბრიკები, ინსტიტუტები და უნივერსიტეტები»

ასეთია თანასაზოგადოების ისტორიული განვითარების კანონზომიერება — **გამარჯვების მომტან რევოლუციას გამარჯვებული კლასის სასტიკი დიქტატურა მოსდევს, შემდეგ ხელისუფლება „რეალისტ-დამპყრობელთა“ ხელში გადადის და მათი დახმარებით კონტრრევოლუცია აღსრულდება, რასაც გარკვეული დროის შემდეგ აღდგენა მოსდევს.** თუმცა ეს აღდგენა, თავის მხრივ, წარსულის იმ უნარდაკარგული წესრიგის აღადგენას ვეღარ ახდენს, რომელიც კაცობრიობის სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების ახალ დონეზე გადასვლას უზრუნველყოფს...

ასეთია ისტორიის გაკვეთილებისადმი ჩვენი თვალსაზრისი. იმედია, რომ რუსეთში, ადრე თუ გვიან, ღირსეული რევოლუცია ამ ხარვეზებს გამოასწორებს.

2010 წელი. ლონდონი“.

წინამდებარე სტატია კიდევ ერთი შეგონებაა არა მხოლოდ კაპიტალისტური სისტემის, არამედ სოციალისტური ბანაკისთვის, რომლის ნანგრევებსაც, არ იქნა და, ფერფლი არ გადაეყარა.

სტალინის აჩრდილი კი, როგორც ხალხის მხსნელი და ჩაგრულთა ბელადი, პლანეტაზე დადის და არ ვიცი, ქრისტეს მსგავსად ცეცხლითა და მახვილით, თუ თავისუფლების ჩირაღდნით დღე და დღე გვიახლოვდება.






ფაქტები და არგუმენტები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არატრადიციული სექსუალური ურთიერთობის პროპაგანდის ამკრძალავი კანონის მიღების საკითხი გარკვეული ხნის წინათ ევროპაშიც განიხილებოდა, მაგრამ სტრასბურგისთვის გეების უფლებების დაცვა ბავშვთა უფლებების დაცვაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.**



# გაყოფილი კორეის გაერთიანებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა

**კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (კსდრ) 20 ნოემბერს სამხრეთ კორეის საზღვართან მდებარე დემილიტარიზებულ ზონაში 10 გამაგრებული პოსტი გაანადგურა. ეს მოხდა შეთანხმების საფუძველზე დაძაბულობისა და შემთხვევითი შეტაკების თავიდან აცილების მიზნით. ეს ინფორმაცია სამხრეთი კორეის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა.**

„ჩრდილოეთ კორეის მხარემ 20 ნოემბერს, 15 საათსა და 00 წუთზე 10 პოსტი გაანადგურა. ერთი პოსტი შენახულია ტურისტული მიზნებისთვის“, — ნათქვამია გავრცელებულ ცნობაში.

ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა სექტემბერში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის სასაზღვრო რაიონში სამხედრო დაძაბულობის შემცირების შესახებ. ამ შეთანხმების მიხედვით, ჩრდილოეთ კორეას პუნქტ ფხანმუნჯის რაიონში 11 გამაგრებული პუნქტი უნდა გაენადგურებინა.

საერთოდ კი, შეთანხმება ითვალისწინებს გაერთიანებული ზონის სრულ განიარაღებას, ამასთანავე, ამ ზონის მიმდებარე რაიონებში სამხედრო მანევრების ჩატარებისა და საარტილერიო სროლების აკრძალვას.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

# პოლონეთი რუსეთის კვალზე გეიპროპაგანდის აკრძალვას აპირებს. ევროკავშირი წინააღმდეგია



**არატრადიციული სექსუალური ურთიერთობის პროპაგანდა სკოლებში უნდა აიკრძალოს, — განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ. მან თქვა, რომ ლიბერალური დემოკრატიისა და ქრისტიანული დემოკრატიის მომხრეთა დაპირისპირება მწვავდება, როგორც კი დღის წესრიგში თავისუფლების საკითხი დგება. განმარტა, რომ უკიდურესი ლიბერალური იდეოლოგიის მიხედვით, თავისუფლება „ყველაფრის ნებადართულობას“ ნიშნავს. „ასეთ მიდგომას მე არ ვეთანხმები. ეს ასე არ არის და არც უნდა იყოს“.**

„მიმაჩნია, რომ (ჰომოსექსუალიზმის) ასეთ პროპაგანდას არავითარ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს სკოლაში. ამას მშვიდად და თანმიმდევრულად უნდა შევეწინააღმდეგოთ“, — მოუწოდა **ანჯეი დუდამ** პოლონელებს.

„ასეთი კანონი რომ არსებობდეს და კარგადაც იყოს დაწერილი, არ გამოვრიცხავ, სერიოზულად მოვეკიდებოდი“, — დასძინა მან.

პოლონური გამოცემა Gazeta Wyborcza შეგვახსენებს, რომ არასრულწლოვანთა შორის გეიპროპაგანდა რუსეთში უკვე მოქმედებს. გამოცემა იმოწმებს SLGA-Europ-ის რეიტინგს, რომლითაც განსაზღვრულია არატრადიციული სექსუალური მიმართულების პირების თანასწორობის დონე, და აღნიშნავს, რომ პოლონეთმა 100 შესაძლებლიდან მხოლოდ 18 ქულა მიიღო, რუსეთმა — 11 ქულა. რეიტინგის ლიდერია მალტა, რომელმაც 73 ქულა დააგროვა.

არატრადიციული სექსუალური ურთიერთობის პროპაგანდის ამკრძალავი კანონის მიღების საკითხი გარკვეული ხნის წინათ ევროპაშიც განიხილებოდა, მაგრამ სტრასბურგისთვის გეების უფლებების დაცვა ბავშვთა უფლებების დაცვაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ბავშვებს შორის გეიპროპაგანდა რუსეთში კანონით 2013 წლის ივნისის ბოლოს აიკრძალა. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ის ფონდებმა 2 მილიონი დოლარი გამოყვეს ამ კანონის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პრეზიდენტი პუტინი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ რუსეთში „არატრადიციონალისტებს“ სამართლებრივად არ დევნიან, და ხაზგასმით ამბობდა, რომ რუსეთში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა აკრძალეს იმიტომ, რომ ბავშვები მშვიდ გარემოში აღზრდილიყვნენ.

**«მიმაჩნია, რომ (ჰომოსექსუალიზმის) ასეთ პროპაგანდას არავითარ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს სკოლაში. ამას მშვიდად და თანმიმდევრულად უნდა შევეწინააღმდეგოთ», — მოუწოდა ანჯეი დუდამ პოლონელებს**

# იტალიასა და ევროკავშირს შორის უფსკრული ღრმავდება

## იტალიის მთავრობამ ბიუჯეტი არ შეცვალა

**იტალია უცვლელად დატოვებს 2019 წლის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს, კერძოდ, დეფიციტის მიზნობრივ მაჩვენებელს 2,4 პროცენტის დონეზე. ასე უპასუხა იტალიამ ევროკავშირის ულტიმატუმს, რომლითაც ბიუჯეტის პროექტი ევროზონის ნორმების მოთხოვნების მიხედვით უნდა გადაეკეთებინათ. რომისა და ბრიუსელის ახლანდელი დაპირისპირების მსგავსი რამ ევროკავშირის ისტორიას არ ახსოვს.**



ევროკომისიის ოფიციალურ მოთხოვნაზე იტალიის მთავრობამ პასუხი რამდენიმე დღის წინათ გაგზავნა ბრიუსელში, ანუ მაშინ, როცა ულტიმატუმის ვადის ამოწურვას პრაქტიკულად აღარაფერი აკლდა, თუმცა ამის გაკეთება ადრეც შეიძლებოდა. მინისტრთა საბჭოს სხდომის შემდეგ ვიცეპრემიერებმა **ლუიჯი დი მაიომ** და **მატეო სალვინიმ** კვლავ გაიმეორეს, რომ „არ აპირებენ, დაუთმონ ევროპას“.

რომისა და ბრიუსელის დაპირისპირება წელს 15 ოქტომბრიდან დაიწყო, მაშინ, როცა ეკონომიკის მინისტრმა **ჯოვანი ტრიამ** ევროკომისიაში 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი გაგზავნა. ევროკომისიამ ეს პროექტი დაიწუნა და, რადგან სიტყვიერი დამუნათებით ვერაფერი გააწყო, იტალიას ოფიციალური წერილით მოსთხოვა, ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად აუცილებელი შესწორებები შეეტანა აღნიშნულ ბიუჯეტში. იტალიის მიერ წარდგენილი საფინანსო დოკუმენტი აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა სტაბილურობის პაქტს, რომლის შესრულება იტალიის წინა მთავრობამ ივალდებულა.

მაგრამ „ცვლილებების მთავრობას“, როგორც თავის თავს უწოდებს „ლიგისა“ და „ხუთი ვარსკვლავის“ კოალიცია, სხვა ამოცანები აქვს. მან ბიუჯეტში შეიტანა ყველა თავისი წინასაარჩევნო დაპირება, მათ შორის, „ხუთვარსკვლავიანთა“ საპროგრამო „საბაზო შემოსავალი“, „ლიგისთვის“ ფუძემდებლური „ერთიანი გადასახადი“, ორივე პორტის მიერ წამოყენებული საპენსიო რეფორმის ნაწილობრივ გაუქმების, მოტყუებული მეანაბრეების დაცვის, საგადასახადო და სამშენებლო ამნისტიის, ასევე, სხვა მნიშვნელოვანი დაპირებების შესრულების მოთხოვნები, რომელთაც ევროკომისია პოპულისტურად მიიჩნევს.

ამასთანავე, ეკონომისტები, რომლებიც მთავრობის გათვლებში მონაწილეობდნენ, მიიჩნევენ, რომ ეს ექსპანსიური ბიუჯეტი ბიძგს მისცემს მოხმარების მოცულობისა და ინვესტიციების შემოდინების ზრდას. მთავრობა აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ევროკავშირის მცდელობა, თავს მოახვიოს იტალიას მკაცრი ეკონომიის სისტემა, ვერ ამართლებს, ხოლო ახალი გეგმა უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის გაზრდას 1,5 პროცენტით.

იტალიური გაზეთი „კორიერე დელა სერა“ წერს, რომ რომისა და ბრიუსელის ურთიერთდაპირისპირების შემდგომი თარიღი იქნება 21 ნოემბერი, როცა ევროკომისია წარადგენს საბოლოო დასკვნას ევროზონის ქვეყნების მისთვის წარდგენილი ბიუჯეტების შესახებ. გაზეთი წერს, რომ ამის შემდგომ, დეკემბერ-იანვარში, შეიძლება დაიწყოს იტალიის სანქცირების პროცესი, რომელიც რეალურად გამოიკვეთება თებერვალ-მარტში „სახელმწიფო ვალის იძულებითი შემცირების და, შესაძლოა, სხვა სანქციების“ სახით.

**ევროკომისიის ოფიციალურ მოთხოვნაზე იტალიის მთავრობამ პასუხი რამდენიმე დღის წინათ გაგზავნა ბრიუსელში, ანუ მაშინ, როცა ულტიმატუმის ვადის ამოწურვას პრაქტიკულად აღარაფერი აკლდა, თუმცა ამის გაკეთება ადრეც შეიძლებოდა. მინისტრთა საბჭოს სხდომის შემდეგ ვიცეპრემიერებმა ლუიჯი დი მაიომ და მატეო სალვინიმ კვლავ გაიმეორეს, რომ «არ აპირებენ, დაუთმონ ევროპას»**

დღეს ძველი პოლიტიკისა და მსოფლმხედველობის მთავარ მოწინააღმდეგეებად არა მემარცხენეები, არამედ მემარჯვენეები გვევლინებიან. მათი რადიკალური ნაწილი აქტიურად უპირისპირდება გლობალურ ლიბერალურ პროექტს და სავსებით შესაძლებელია, ოპონენტებმა, ბაადერ-მაინჰოფის ეპიზოდში მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, სცადონ მათი იდეების დაკავშირება სისხლიან ტერორისტულ აქტებთან, დაახლოებით ისე, როგორც ეს გასულ კვირას გერმანელი სამხედროების მიმართ გაკეთდა.

პანოპტიკუმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რედაქციისგან:
**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით, რომ გერმანიასა და საფრანგეთში თითქმის ერთდროულად ამხილეს ტერორისტები. ორივეგან — ნაციონალისტი მემარჯვენეები. წინამდებარე წერილში ჩვენი ავტორი შეეცადა გაეანალიზებინა, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს:**

# მემარჯვენე ტერორისტები მითია თუ რეალობა?

**გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ევროკავშირის ორ წამყვან სახელმწიფოში, გერმანიასა და საფრანგეთში, სამართალდამცავებმა რადიკალი მემარჯვენეების შეთქმულება გახსნეს და მათ მიერ დაგეგმილი ტერორისტული აქტები აღკვეთეს. საინტერესოა, რა დგას ამის უკან — რეალური საფრთხე თუ პოლიტიკური მანიპულაცია?**

ისტორია, რომელმაც გერმანია შეაშფოთა, გასული წლის აპრილში დაიწყო, როდესაც პოლიციამ ბუნდესვერის სამხედრო მოსამსახურე (შემდგომ კი მასთან დაახლოებული ორი პირი) დააკავა. გამოძიების ცნობით, ის ტერორისტული აქტის მოწყობას აპირებდა. სკანდალის მასშტაბი მას შემდეგ გაიზარდა, რაც თავდაცვის მინისტრმა **ურსულა ფონ დერ ლაიენმა** გაავრცელა მიმართვა და მომხდარში ბუნდესვერის სარდლობა დაადანაშაულა. მისი აზრით, ეჭვმიტანილის რადიკალური ნაციონალისტური შეხედულებები მეთაურებისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, მაგრამ რეაგირება არ მოუხდენიათ. განსაკუთრებული რეზონანსი „ცდფ“-ისთვის მიცემულ ინტერვიუს მოჰყვა. ფონ დერ ლაიენმა თქვა: „არმიას სამხედრო მოსამსახურეების მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული პრობლემა აქვს და ყველა დონეზე სუსტი მეთაურები გვხვდება“. ამან სამხედროების მკვეთრად ნეგატიური რეაქცია გამოიწვია, ბევრმა მათგანმა ჩათვალა, რომ მინისტრი პასუხისმგებლობას თავს არიდებს.

გასულ კვირას გერმანულმა „ფოკუსმა“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ამ საქმის გამოძიების პროცესში გამოვლინდა სამხედრო მოსამსახურეების, მათ შორის, სპეცრაზმელების ჯგუფი, რომელიც რამდენიმე პოლიტიკოსის ლიკვიდაციას გეგმავდა. „დეილი მეილის“ ცნობით, ამ ჯგუფში რადიკალური შეხედულებების მქონე 200-მდე სამხედრო შედიოდა, ხოლო გამოძიებას ხელს უშლიდა სამხედრო კონტრდაზვერვის მაღალჩინოსანი, რომელიც შეთქმულების მონაწილეებს პოლიციის მოქმედების შესახებ აფრთხილებდა.

აღსანიშნავია, რომ საშიში რადიკალების გამოვლენა ბუნდესვერის რიგებში არა პოლიციას, არამედ სწორედ სამხედრო კონტრდაზვერვას ევალება. მაგალითად, ამ საქმის ფარგლებში მთავარი ეჭვმიტანილის დაპატიმრების პერიოდში, კონტრდაზვერვა სწავლობდა 230 ეპიზოდს, რომელთა დიდი ნაწილი სამხედროების მიერ ნაცისტური ეპოქის სიმბოლოების გამოყენებას ეხებოდა. 2016-ში კონტრდაზვერვამ 149 საეჭვო შემთხვევა შეისწავლა, აქედან მსვლელობა 56 საქმეს მიეცა, შეიარაღებული ძალებიდან კი 19 სამხედრო დაითხოვეს.

გასული წლის აპრილში გამოძიება აცხადებდა, რომ ეჭვმიტანილი აპირებდა, გერმანიის ყოფილი პრეზიდენტი **იოაჰიმ გაუკი** და საგარეო საქმეთა მინისტრი **ჰაიკო მაასი** მოეკლა. მედია, აგრეთვე, წერდა ერთ-ერთი ანტიფაშისტური ჯგუფის განადგურების, ფრანკფურტში როტშილდის საფლავის ქვის აფეთქების, საპატიმროდან ცნობილი მემარჯვენე რადიკალის **ურსულა ჰაფერბეკის** გათავისუფლების გეგმებზე (ეს უკანასკნელი ცნობილია იმით, რომ ჰოლოკოსტს უარყოფს). ბოლო პუბლიკაციებში საუბარი მემარცხენეთა ლიდერის — **დიტმარ ბარჩისა** და „მწვანეთა“ ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენლის — **კლაუდია როტის** მკვლელობის მომზადებაზეც დაიწყო. ყველა ამ პოლიტიკოსს აერთიანებს ის, რომ ახლო წარსულში მონაწილეობდნენ ლიბერალური საიმიგრაციო პოლიტიკის ფორმირებაში, რომელიც რადიკალ მემარჯვენეებს ძალიან არ მოსწონთ.

ბრალდებების სიმძიმისა და მედიაში აგორებული კამპანიის მიუხედავად, სამივე პირი, რომლებიც 2017-ში დააკავეს, ამჟამად საპატიმროში არ იმყოფებიან, რადგან გასული წლის ნოემბერში სასამართლომ ჩათვალა, რომ ამისთვის საფუძველი არ არსებობს.

რაც შეეხება 200 რადიკალ სამხედროს, ამ ეტაპზე პოლიციას ამის თაობაზე არანაირი ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია — გერმანია შფოთავს იმის გამო, რაც ჯერჯერობით არ დასტურდება, და ამის მთავარი მიზეზი, სავარაუდოდ, ისაა, რომ გერმანული საზოგადოება, მძიმე ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, უაღრესად მგრძნობიარეა შეიარაღებულ ძალებში ნეონაცისტებისა და სხვა რადიკალების ინფილტრაციის მიმართ. ასეთ დროს მთლიანობაში გაწონასწორებული, კრიტიკულად მოაზროვნე საზოგადოება შეიძლება ემოციებს აჰყვეს.

გერმანიაში რადიკალური მემარჯვენეობის რენესანსია — პოლიტიკური გაერთიანება „ალტერნატივა გერმანიისთვის“, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ მარგინალურ დაჯგუფებად თვლიდნენ, წარმატებას წარმატებაზე აღწევს და სულ უფრო მეტ ხმას იღებს. დღეს ის წარმოდგენილია როგორც ბუნდესტაგში, ისე უკლებლივ ყველა ადგილობრივ პარლამენტში. იზრდება ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების პოპულარობაც — მას შემდეგ, რაც ჰემნიცში მიგრანტმა გერმანიის მოქალაქე მოკლა, მათ ხალხმრავალი აქციები გამართეს და აჩვენეს, რომ ქუჩაში ასობით და ათასობით ახალგაზრდის გამოყვანა შეუძლიათ. ამასთანავე, **მცირდება გერმანიის მმართველ კოალიციაში შემავალი პარტიების რეიტინგი; ბავარიასა და ჰესენში, როგორც ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა, ისე სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ძალიან ცუდი შედეგი აჩვენეს. ამის შემდეგ ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ პარტიის თავმჯდომარის პოსტის დასაკავებლად კენჭს აღარ იყრის. ეს კი ნიშნავს, რომ მერკელი მალე კანცლერის პოსტს დატოვებს. გამორიცხული არაა, ახლო მომავალში ბუნდესტაგის რიგგარეშე არჩევნებიც დაინიშნოს.**



**შეერთებულ შტატებში 22 ოქტომბერს ჯორჯ სოროსის სახლთან ბომბი აღმოაჩინეს, ხოლო 27 სექტემბერს პიტსბურგის ერთ-ერთი სინაგოგაში მამაკაცი შევარდა და 11 ადამიანი მოკლა. დაკითხვაზე მან თქვა, რომ ანტისემიტია და ებრძვის შეთქმულებას ამერიკელი ხალხის წინააღმდეგ. ამ საზარელმა შემთხვევამ მსოფლიოში მემარჯვენე რადიკალების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გააძლიერა და სწორედ ამ ფონზე გავრცელდა ცნობები გერმანელ და ფრანგ ექსტრემისტებზე**

რაც შეეხება ევროპარლამენტის არჩევნებს, რომელიც მაისში გაიმართება, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ გერმანიასა და სხვა ქვეყნებში ის შეიძლება ევროსკეპტიკოსების ტრიუმფით დასრულდეს. მათი მოწინააღმდეგეები განსაკუთრებულ იმედებს საფრანგეთის პრეზიდენტ **ემანუელ მაკრონზე** ამყარებენ, რომელიც ბელგიის ყოფილ პრემიერ **გი ვერჰოფსტადთან** თანამშრომლობით, ევროპარლამენტში ახალი ლიბერალური ფრაქციის შექმნას აპირებს, მაგრამ ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რამდენი მანდატის მოპოვებას მოახერხებენ მისი პოლიტიკური მოძრაობის წარმომადგენლები — მაკრონს ბოლო დროს რეიტინგის სერიოზული პრობლემები შეექმნა.

6 ნოემბერს ფრანგმა სამართალდამცველებმა განაცხადეს, რომ დააკავეს ულტრამემარჯვენე წრეებთან დაახლოებული 6 ადამიანი, რომლებიც პრეზიდენტზე თავდასხმას გეგმავდნენ. „ფრანს 2“-ის ცნობით, ორი მათგანი მოგვიანებით გაათავისუფლეს, ხოლო ოთხმა ბრალი აღიარა. ოფიციალური ვერსიის თანახმად, თავდასხმა პირველი მსოფლიო ომის დასრულების მეასე წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებების დროს უნდა მომხდარიყო; შეთქმულები კერამიკული დანის გამოყენებას აპირებდნენ.

ამ ინციდენტს ისეთი გამოხმაურება არ მოჰყოლია, როგორს „ფოკუსის“ პუბლიკაციას ტერორისტ სამხედროებზე, თუმცა ის მაინც საკმაოდ რეზონანსული გამოდგა. საქმე ისაა, რომ ინფორმაცია ორივე შემთხვევაში მას შემდეგ გავრცელდა, რაც შეერთებულ შტატებში 22 ოქტომბერს ლიბერალური გლობალიზაციის ცოცხალი სიმბოლოს, **ჯორჯ სოროსის,** სახლთან ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს, ხოლო 27 სექტემბერს პიტსბურგის ერთ-ერთი სინაგოგაში 46 წლის მამაკაცი შევარდა და 11 ადამიანი მოკლა. დაკითხვაზე მან თქვა, რომ ანტისემიტია და ებრძვის შეთქმულებას ამერიკელი ხალხის წინააღმდეგ. ამ საზარელმა შემთხვევამ მსოფლიოში მემარჯვენე რადიკალების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გააძლიერა და სწორედ ამ ფონზე გავრცელდა ცნობები გერმანელ და ფრანგ ექსტრემისტებზე.

საინტერესოა, რომ იმავე დღეებში შვედურმა „აფტონბლადეტმა“ გამოაქვეყნა წერილი **ულოფ პალმეს** მკვლელობის ახალ ვერსიაზე, რომლის თანახმად პრემიერმინისტრი 1986-ში მემარჯვენე რადიკალებისა და სამხრეთაფრიკული სპეცსამსახურების შეთქმულებას შეეწირა. ამ უკანასკნელთა დაინტერესება იმით აიხსნება, რომ პალმე 1975-82 წლებში სოცინტერნში სამხრეთ აფრიკის კომიტეტს ხელმძღვანელობდა და აპარტეიდის პოლიტიკას უპირისპირდებოდა. მისი მკვლელობა მეოცე საუკუნის ერთ-ერთ საიდუმლოდ რჩება, თუმცა, ალბათ, მაინც საგულისხმოა, რომ ავტორიტეტულმა შვედურმა გამოცემამ რადიკალი მემარჯვენეები მთავარ სამიზნედ სწორედ იმ პერიოდში აქცია, როდესაც ევროპული მედია წერდა ტერორისტებზე საფრანგეთსა და გერმანიაში.

**რაც შეეხება ევროპარლამენტის არჩევნებს, რომელიც მაისში გაიმართება, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ გერმანიასა და სხვა ქვეყნებში ის შეიძლება ევროსკეპტიკოსების (ე.ი. მემარჯვენეების) ტრიუმფით დასრულდეს, ამიტომ მათი ოპონენტები ცდილობენ, ნებისმიერი ფაქტი თუ ვერსია მაქსიმალურად გამოიყენონ და მათ ტერორისტების იმიჯი შეუქმნან**

მათი ოპონენტები ცდილობენ, ნებისმიერი ფაქტი თუ ვერსია მაქსიმალურად გამოიყენონ და ტერორისტების იმიჯი შეუქმნან, მაგრამ ეს, ცხადია, არ გამორიცხავს იმას, რომ საფრთხე მართლაც არსებობს და ტერაქტებისთვის სულ უფრო მეტი ექსტრემისტი ემზადება. დაახლოებით 50 წლის წინათ გლობალურ კრიზისს, რომელიც არა იმდენად ეკონომიკურ, რამდენადაც პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა, მემარცხენე ტერორისტების მკვეთრი გააქტიურება მოჰყვა. დღევანდელმა კრიზისმა ავანსცენაზე, რადიკალი ისლამისტების გარდა, შეიძლება ულტრამემარჯვენე ტერორისტები გამოიყვანოს.

ბაადერ-მაინჰოფის ჯგუფის ტერორისტულმა საქმიანობამ 1970-იანი წლების დასაწყისში გერმანული საზოგადოება დააფრთხო. ბევრი ახალგაზრდა, რომლებსაც მარქსისტული იდეები იტაცებდა და გამუდმებით იმეორებდა „სისტემა უნდა დაინგრეს“, მას შემდეგ, რაც რადიკალური მემარცხენეობის „სახე“ ბაადერ-მაინჰოფის ჯგუფი გახდა, თითქოს შეჩერდა, დაფიქრდა და შემდგომ ნაკლებად რევოლუციური პოზიცია დაიკავა. **დღეს ძველი პოლიტიკის და მსოფლმხედველობის მთავარ მოწინააღმდეგეებად არა მემარცხენეები, არამედ მემარჯვენეები გვევლინებიან. მათი რადიკალური ნაწილი აქტიურად უპირისპირდება გლობალურ ლიბერალურ პროექტს და სავსებით შესაძლებელია, ოპონენტებმა, ბაადერ-მაინჰოფის ეპიზოდში მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, სცადონ მათი იდეების დაკავშირება სისხლიან ტერორისტულ აქტებთან, დაახლოებით ისე, როგორც ეს გასულ კვირას გერმანელი სამხედროების მიმართ გაკეთდა.** პოლიციას არავინ დაუკავებია და არც ერთი ახალი ეჭვმიტანილი არ დაუსახელებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნახევარი გერმანია მთელი კვირის განმავლობაში ულტრამემარჯვენე სამხედროების შეთქმულებაზე ლაპარაკობდა. ძნელი წარმოსადგენი არაა, როგორი იქნება საზოგადოების რეაქცია, თუ ამ საუბრების ფონზე თუნდაც ერთი ფატალური ინციდენტი მოხდება. ალბათ, ყველასთვის ცხადია, რომ შემდგომი სვლა ამ მიმართულებით ევროპას კარგს არაფერს მოუტანს.

**ლუკა ნემსაძე**

ერის საგანძური
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ღმერთო, მომეც ძალი ვალთა ხდისა და მშვენიერების ღალადისისა. „წერამწერელო“, მარწმუნე, რომ ეს ბოლო გამოცდა შემართებისა ბედისწერისეული კვეთებაა.**



## ჭაბუა ამირეჯიბი:

# ჩემი ქართლის ცხოვრება

**შეგახსენებთ, რომ „საქართველო და მსოფლიოს“ 41-ე ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ჭაბუა ამირეჯიბის კდემამოსილ მეუღლესთან, შესანიშნავ პოეტთან თამარ ჯავახიშვილთან („აქ ვარ და ასე მგონია, რომ აქ არის“). ქალბატონმა თამარმა გვაცნობა, რომ ამთავრებს მუშაობას ბატონ ჭაბუას მოგონებების წიგნზე.**
**შეკითხვას — „გორა მბორგალში“ ჭაბუამ მთელი თავისი ცხოვრება გადმოგვცა. დარჩა რამე სათქმელი? — რესპონდენტმა ასე უპასუხა:**
**„— უფ! რამდენიც გინდა: ტიპები, სიტუაციები... 16 წელიწადი მოიხადა. გარბოდა, იჭერდნენ, წლებს უმატებდნენ. ბოლოს, გათავისუფლების წინ, ჯამში მისჯილი ჰქონდა 83 წელიწადი“.**
**სწორედ აი იმ „რამდენიც გინდას“ იხსენებს ბატონი ჭაბუა ამ წიგნში, რომლის სათაურია „ჩემი ქართლის ცხოვრება“. დღეს საშუალება გვაქვს ჩვენს განათლებულ მკითხველებს წარვუდგინოთ ფრაგმენტი დიდი ქართველი მწერლის ახალი წიგნიდან.**
**გმადლობთ, ქალბატონო თამარ, რომ შეგვისრულეთ დანაპირები და მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენის დაბადების მოწმე გაგვხადეთ.**



**არაერთგზის მითქვამს, ადამიანს მარტო მშობლები, გარემოცვა, აღზრდა-განათლება კი არ აყალიბებს, არამედ წინაპართა მიერ განვლილი გზაც, მათ მიერ შექმნილი კულტურა, რომელიც შთამომავალთა მსოფლმხედველობას განსაზღვრავს**

### წინათქმა

**ერთთავად აღმართებში სიარული მარგუნა მაღალმა ღმერთმა. დავჩაჩანაკდი, მაგრამ დღესაც აღმართებს მივებრძოლები და, აგერ, თხემს გადაღმა, დაღმართი იწყება, იქით რომ მიემართება, საიდანაც აღარავინ დაბრუნებულა.**

მზის ჩასვლაა, ჩემს სავალზე დიდი და პატარა უხვფოთლიანი ხეების ჩრდილები გადმოწოლილან, ტანზე მეფინებიან, სხეულში შემოდიან, ხსოვნისკენ ჟრუანტლად მიემართებიან, მატორტმანებენ. რომელიღაც ჩრდილი მახარებს, სხვა კაეშანსა და ცრემლსა მგვრის, ყველა ერთად კი მემუდარება, — ცოცხალი ვარ თუ — აღარ, გამომესაუბრე, არ მიმატოვო, დავიწყებას ნუ მიმცემო. ვიბნევი, ვერ გადამიწყვეტია, რომელს მივუძღვნა დარჩენილი სიცოცხლის ფიორა ნაწილი მაინც. ყოველ მათგანს ვეთაყვანები — მათაც, ვინც ჩემთან და ჩემში იქნება სიკვდილამდე, მათაც, ვინც ჩემზე ღირსეულად მიიჩნია თავი და აღარ მინდომა. ვერც ერთი ვერ გაქრა, არ დამიტოვეს სიცარიელე და ბარაქიანი გლეხის ქვევრივით პირთამდე სავსე ვარ დღემდე იმ ხეთა ჩრდილებით.

უნდა დავიცალო, მიქცევა ახლოა და ვალი მადევს აღმართს გარდიგარდმო შეყოლებული ჩრდილებისა. არ ეგების საფლავში ჩავიტანო მათი სახელები, ნაქმნარი, აღსრულებანი და ვითარებანი, მათ რომ ახლდათ, თუ მათგან დამოუკიდებლად რომ ეფინენ ჩემს გზასა და სავალზე.

**ღმერთო, მომეც ძალი ვალთა ხდისა და მშვენიერების ღალადისისა. „წერამწერელო“, მარწმუნე, რომ ეს ბოლო გამოცდა შემართებისა ბედისწერისეული კვეთებაა.**

ახლო წარსულში მეუღლესთან — თამარ ჯავახიშვილთან ერთად ვეახლე ატოცის წმინდა გიორგის და მუხლმორთხმით შევევედრე:

ატოცის წმინდა გიორგი*, თეთრო რაინდო, დიდო სალოცავო ჩემი წინაპრებისა, ჩამომავალთა ჩემთა, ყველა ამირეჯიბთა, ამირეჯიბთათვის სხვა მოდგმათაგან შობილთა და ყველა ადამიანთა, ვისაც სწამს შენი სასწაულმოქმედი ძალისა; სამას სამოცდამეხუთედო სალოცავო საქართველოში შენს სადიდებლადა და სავედრებლად აგებულ ტაძართაგან, **მეოხ გვექმენ ყოვლისა შემძლე ღმრთისა ჩვენისა წინაშე, რათა მიეცეს ილაჯი ქართველთ, რწმენით, მოთმინებით, თავმდაბლობით, ძალით გონებისა და მკლავისა თვისისა მყარად იპყრან ხელთ აწმყო და მომავალი სამშობლოსი თვისისა.**

შუაკაც გვექმენ ყოვლისა განმგებთან, სულიერთა და უსულოთა „წერამწერელთან“, დაუდგინოს ქართველთ საქმე და მიზანი ერთობლივი, რომლის ძალითა და წყალობით შეიკვრის ერი ერთს სულადა და ხორცად, ჭეშმარიტად უძლეველ თაობად, ვინაითგან არა ხალხის მიერ იქმნება სახელმწიფო, არამედ ერისმიერია იგი, რამეთუ ხალხი დღევანდელი ერია მხოლოდღა, ხოლო ერი — ესაა ხალხი დღეს, წარსულსა და მომავალში. მარადისობაა ერი. არწმუნებინოს ქართველთ, რომ ამა საძირკვლიდან წარმართეს გარჯა და ღვაწლი თვისი უუდიდესთა წინაპართა ჩვენთა, ამით ვიყავით, ვართ და ვიქნებით, თუკი მივყვებით მათს კვალსა და ნაქმნარს.

**შეევედრე, არწმუნებინოს ყოველ ქართველს: თუ რამ გააჩნია მას, თავისი სახელმწიფოსგან აქვს და არა რა არის ქონება, დიდმოხელეობა, თუ სხვაფრივ მოხვეჭილი სარჩო და სახელი უსამშობლოდ, რადგან შენი ერი და სახელმწიფოა საწყისი და ფუძე ყოვლის პირადის სიკეთისა. მზერა მიაპყრონ კაცთ, ვინც უშურველად, შეგნებით მისცა ყოველი, თუ რამ ხელეწიფებოდა სამშობლოს სამსხვერპლურს და იხილავენ, თუ როგორის ხელგაშლით დაუბრუნდათ მათ ღვაწლი გაღებული მამულისთვის.**



დიდმოწამე წმინდა გიორგი

ატოცის წმინდა გიორგი, მეოხ გვექმენ ღმრთისა წინაშე, რათა მიუზღოს ნათელი სასუფეველი იმქვეყნად და უკვდავი სახელი მზისა ქვეშე უკუნითი უკუნისამდე ყოველთა, ვინც ქართველთა სახელმწიფოს დასდვა ამაგი მცირედი მაინც, ხოლო მათ, ვინც ცოცხალ არიან და ამ გასაჭირის ჟამს შეძლებისამებრ მსახურებენ საქართველოს მომავალსა და ძლიერებას, უბოძოს სიცოცხლე და ილაჯი მსახურებისა, სანამ არ მიიჩნევენ ისინი აღსრულებულად ვალსა თვისსა მამულის წინაშე, რა სახისაც უნდა იყოს იგი.

ატოცის წმინდა გიორგი, შემიწყალე მეც, მიბოძე კიდევ ერთი გამარჯვება ჭაბუკობიდანვე შენის ხატის მკერდით მტარებელს, ყოვლითა ნაგრამითა ჩემითა და თანამეცხედრის, ჩემის უღლის გამწევი მეგობრის, მხევლისა ღმრთისა თამარითურთ.

**ვფიცავ შენსა და მაღალი ღმრთისა წინაშე, გოჯით არ გადავსცდე გზას, რომელსა ზედა ვდგავარ მადლითა წინაპართა ჩემთა.**

პატიებას გთხოვ, ხელმოკლეობისა გამო ვერა შემოგწირე რა, ვითა გწირავდნენ წინაპარნი ჩემნი, ვერ დავიმკვიდრე ადგილი მცირე აღაპთა შენის წიგნსა შინა.

მადლობას გწირავ უთვალავი გადარჩენისთვის სიკვდილისა თუ უკიდურეს ძნელბედობათაგან.

**გავკადნიერდები, ბოლო თხოვნაა ჩემი: გაგვამარჯვებინე ჩამომავალთათვის ღირსეული სამშობლოს დასატოვრად შეუპოვარ ომში, ვერაგ მტერთან პირისპირობასა და ბრძოლაში!**

**გავკადნიერდები, ბოლო თხოვნაა ჩემი: გაგვამარჯვებინე ჩამომავალთათვის ღირსეული სამშობლოს დასატოვრად შეუპოვარ ომში, ვერაგ მტერთან პირისპირობასა და ბრძოლაში!**

### დასაწყისი

კრებულის შექმნა, როგორც ზემოთ ვთქვი, მომთავაზა ბრწყინვალე ქართველმა მსახიობმა, უნიჭიერესმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ბატონმა გიორგი ხარაბაძემ. ქალბატონმა თამარ ცაგარეიშვილმა იმ მოვლენათა სიაც კი დამიტოვა, რომელიც მათი აზრით უნდა შევიდეს კრებულში.

მკითხველი ალბათ დამეთანხმება, რომ „ქართლის ცხოვრების“ ყოველი ეპიზოდი საქართველოს ისტორიის ნაწილია. ისტორია ადამიანთა ცხოვრება-მოღვაწეობით, მათი ურთიერთობებით შექმნილ მოვლენათა კრებულია, რა თქმა უნდა, ადგილობრივი და სამყაროული მოვლენების თანამონაწილეობით.

ამდენად, „ჩემი ქართლის ცხოვრებაც“ ჩემი სიცოცხლის მანძილზე ცნობილი ადამიანების, მათი ნამოქმედარით და მათგან ჩემთვის ნაამბობი მოვლენების აღნიშვნით იქნება განხორციელებული.

დროა, საქმე განვაგრძოთ.

**არაერთგზის მითქვამს, ადამიანს მარტო მშობლები, გარემოცვა, აღზრდა-განათლება კი არ აყალიბებს, არამედ წინაპართა მიერ განვლილი გზაც, მათ მიერ შექმნილი კულტურა, რომელიც შთამომავალთა მსოფლმხედველობას განსაზღვრავს.** მეც ჩემი წინაპრების სისხლი და ხორცი ვარ. მათმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ ჩემ დაბადებამდე მოახდინა გავლენა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ასე რომ, ჩემი ცხოვრება, შეიძლება ითქვას, ჩემ დაბადებამდე დაიწყო. ამიტომ თვალს ისტორიასაც გადავავლებ, ძველი დროის ამბებსაც გავიხსენებ, პირველ რიგში კი, ჩემი გვარის ცნობილ წარმომადგენლებს.

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ კრებული ქართლის მატიანე და ნებისმიერ მატიანეს კი იმაზე უკეთ ვერაფერი შექმნის, თუ არ სათანადო დროის მონაკვეთის სადა, ცხოვრებისეული ხასიათის ამბების თხრობა. იმედი მაქვს, ჩემი თანამედროვე ადამიანებისადმი მიძღვნები თუ მოგონებები უკეთ გააშუქებენ „ჩემი ქართლის ცხოვრების“ მატიანეს. ისინი იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებიან, ვინც ეპოქას ქმნიდა.

### ატოცის წმინდა გიორგი

**„ატოცის წმ. გიორგის სალოცავი ფრონეს ხეობის (ქართლი) ყველაზე დიდი და ძლიერი სალოცავია. მისი სიძლიერე, როგორც ჩანს, ატოცის წმ. გიორგის სასწაულმოქმედი ხატიდან მომდინარეობს. ატოცობას ქაშეთობასაც უწოდებდნენ. მისი დღესასწაული სექტემბრის ბოლო კვირას იწყებოდა და 1 ოქტომბრამდე გრძელდებოდა. ატოცობა ასევე 23 (6 მაისს) აპრილსაც აღინიშნებოდა“.**

(ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი)

**როცა ქვეყანას თავისივე უძღები შვილები გადაექცევიან უბედურებად, რა ეშველება იმ ცეცხლს, ერის შვილების მკერდში ჩაუქრობელ ჩირაღდნად რომ გიზგიზებს?! სამშობლოს ისინი ყიდიან, ვისაც მისი დაცვა და გამძლავრება ევალება. კაცობრიობის მიერ განვლილ გრძელ გზაზე ადამიანთა მიერ დაგროვილი უამრავი ბოროტების ყულაბაში ყველაზე საზარელი და მიუტევებელია სამშობლოს, ერის ღალატი. ამით მიყენებული ტკივილის დასაამებლად მონანიების ცრემლის ფრქვევა ვერ გამოდგება.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ზაქარა ვენახს ყიდის

**უყვარს ზაქარას დილაბნელზე ეზოში ძელსკამზე ჩამოჯდომა და ძილბურანში მყოფი ბუნების ჩურჩულის მოსმენა. გვიანი შემოდგომის განთიადზე უამრავი საზრუნავით დამძიმებული იფშვნეტს თვალებს. ცხოვრების ნებიერთა განცხომა თანამემამულეთა უბედურების საძირკველზე დგას და ავიწყდებათ, რომ ეს ნებივრობა წუთისოფელივით გაელვებაც არ არის, რომლის შემდეგ პირისპირ შერჩებიან განგების სუსხიან განაჩენს.**

ზის ზაქარა ძელსკამზე და წლების სიმრავლით დამძიმებული მხრების აწევა უჭირს. უთავდება ამ ქვეყნად ყოფნის ლიმიტი, მაგრამ ეს არ ანაღვლებს, თავისი თაობის სავალ გზას ვერავინ ასცდება. ახალგაზრდების ბედი აწუხებს, გაუსაძლისი ცხოვრების უიმედობა სამშობლოდან წასვლის გზაზე რომ აყენებს. თვითონ და მისი მსგავსნი მალე დატოვებენ ამქვეყნიურ განსაცდელს, შთამომავლობას კი დაკარგულ სამშობლოს უტოვებენ.

**ვინ წაართვა მომავალ თაობას სამშობლო?!** — ფიქრებში გართულმა ამოიღრიალა. უცებ გამოფხიზლდა, მიმოიხედა, დილაბნელი ისევ ძალაში იყო. — ვინ წაართვა მომავალ თაობას სამშობლო? — გაღმა ხეობიდან კლდეების ექო გამოეხმაურა მხოლოდ.

ნორმალური ადამიანი მაშინ არის ბედნიერი, როცა შვილების უკეთეს მომავალს სიამაყით ხედავს. **როცა ქვეყანას თავისივე უძღები შვილები გადაექცევიან უბედურებად, რა ეშველება იმ ცეცხლს, ერის შვილების მკერდში ჩაუქრობელ ჩირაღდნად რომ გიზგიზებს?! სამშობლოს ისინი ყიდიან, ვისაც მისი დაცვა და გამძლავრება ევალება. კაცობრიობის მიერ განვლილ გრძელ გზაზე ადამიანთა მიერ დაგროვილი უამრავი ბოროტების ყულაბაში ყველაზე საზარელი და მიუტევებელია სამშობლოს, ერის ღალატი. ამით მიყენებული ტკივილის დასაამებლად მონანიების ცრემლის ფრქვევა ვერ გამოდგება.**

— ამას რას მოვესწარი, კაცო?! — ამოიგმინა ზაქარამ და ფიქრით თავისი განვლილი ცხოვრების გზას გადახედა. სამამულო ომისდროინდელი გაჭირვება გაახსენდა, სკოლიდან დაბრუნებულს შინ საჭმელი რომ არ ეგულებოდა, სანამ სამუშაოდან დაბრუნებული დედა პურის ნაჭერს არ მოუტანდა. შიოდათ, მაგრამ იყო რწმენა გამარჯვებისა და ბედნიერი მომავლისა. ქვეყანას სათავეში ედგა ადამიანთა თანასწორობის და ბედნიერი ცხოვრების იდეების პრაქტიკულად განხორციელების ხუროთმოძღვარი, ხალხის მაჯისცემით რომ ცოცხლობდა და მისი ბედნიერებისთვის ზრუნვას ეძღვნებოდა ამ გენიოსის სიცოცხლე — კაცობრიობა ფაშისტური ჭირისგან რომ იხსნა და გამარჯვებული ქვეყანა გიგანტური ნაბიჯებით მიჰყავდა წარმატებისა და ბედნიერებისკენ. მისი გარდაცვალება სანატრელი ცხოვრების სიმახლოვეს შემდგარი ქვეყნის მოსახლეობამ ცხარე ცრემლით დაიტირა.

სიკეთისა და ბედნიერების მომტანი რა სასწაულებრივი ადამიანი დავკარგეთ, რაც დრო გადის, სულ უფრო მწარე სინანულად რომ გვახსენდები, კაცო! — ამოიღრიალა ზაქარამ. — მის სახელთან დაკავშირებული კომუნისტური პარტიის ავტორიტეტიც განუზომელი იყო. **შემდეგ დარჩენილმა თავდაჯერებულმა კარიერისტმა ეგოისტებმა სტალინის საქმეების ღრღნაში ქვეყანა ისე გაალატაკეს და დაშალეს, რომ დიდ ომში გამარჯვებული და მომძლავრებული დამარცხებულებს დასაცინად აქციეს.**

სტომაქის ტყვე ახლანდელი გაუმაძღარი ბლენძი ხელისუფალნი ევროამერიკული რეკომენდაციებით ბატონყმობის კარზე აკაკუნებენ. **როცა ადამიანს მაღალი პოსტისთვის არ ჰყოფნის ტვინი და იმის შეგნება, რომ ადგილი სხვა უფრო ჭკვიანს დაუთმოს, სწორედ ეს არის კაცობრიობის პრობლემა.** კაცობრიობას სიკეთის, სიყვარულისა და პატიოსანი შრომით ბედნიერი ცხოვრების შექმნის რწმენა ასპეტაკებს. სწორედ ამგვარი რწმენა გვქონდა მაშინ და ვიმარჯვებდით კიდეც. ზაქარას ერთი ამბავი გაახსენდა: ხორბლის მოსავლის აღების საველე კალოზე ზევიდან მოსული მაკონტროლებლები დიდი სიმკაცრით ამოწმებდნენ რაღაც ქაღალდებს. მისმა პაპამ ჰკითხა: რას აკეთებთო? — ვამოწმებთ, მოსაპარავად მეტს ხომ არ ტვირთავენო.

— შვილებო, ამ კალოებიდან ადრე ურმით ხორბალს ვეზიდებოდი ჩასაბარებლად. გზად ღამე სოფელში ვათევდი და მეორე დღეს ვაბარებდი. არ მიწონიდნენ და არც რამე საბუთს მაძლევდნენ, ნახევარი რომ მომეპარა, ვერავინ მომედავებოდა. ერთხელ ჩემმა ცოლმა მუჭით ხორბალი ქათმებს დაუყარა და კინაღამ მოვკალი, ისე ვუფრთხილდებოდით ხალხის ქონებას. რწმენა იყო, საერთო სახალხო ქონების დაცვით საკუთარ ბედნიერ ცხოვრებას რომ ვემსახურებოდით. მაგ ქაღალდების ქექვით შეაჩერებთ ქვეყანაში გამძვინვარებულ მოხვეჭილობას, მექრთამეობას და დატაცებას? თევზი თავიდან ყროლდება. ხალხს რწმენა წაართვით, შვილოსა, ზევით მომხვეჭელი და უტვინო მექრთამეები რომ სხედან, იმას მიხედეთ, თორემ, რაც სასიკეთო შემოგვრჩა, მაგასაც მოსპობენ კარიერის მოხვეჭის ჟინით შეპყრობილი არაკაცები.

— რა წინასწარმეტყველური გამოდგა პაპაჩემის ნათქვამი, — ხმამაღლა ჩაილაპარაკა ფიქრში გართულმა და ისევ დაიწყო ჩავლილი დღეების გახსენება. ფიქრებში ჩაძირული ხმამაღლა ამოიძახებდა ხოლმე: — ხეპრე, მოღალატე **ხრუშჩოვი**, ბედოვლათი **ბრეჟნევი**; დეგენერატი, ნაძირალა **გორბაჩოვი**. ამგვარ ამოძახილში ფიქრებში დღევანდელობამდე მოვიდა. ამდენი ჭირგამოვლილი ამას მაინც რას მოვესწარი — ქართველი კაცი წინაპართა სისხლითა და ცრემლით მორწყულ ქართულ მიწას რომ გაყიდდა, ამგვარი ვერაგობა ღალატშიც ვერ ეტევა! შემოყარეს ვიღაც უცხოელები და ახლა მანიაკების შიშით ბავშვები თავისუფლად ვერ გაუშვიათ სათამაშოდ. არადა, რა ყბედობენ ეხურბებიან, ენით ზურგს იფხანენ. საბჭოთა კავშირის დაშლა მის ხალხებს უბედურებად ექცათ, ქართველებმა კი ყველაზე დიდი დოზით ვიძნელეთ ეს საშინელება. საამისო რა დავაშავეთ, კაცოო! — ამოიგმინა ზაქარამ.



**არა, ახლა წყენისა და საყვედურის დრო არ არის, ყველაფერი გვერდზე უნდა გადავდოთ და მოვიცილოთ ნაცისტური ჭირი! — მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, ერბაშად ენერგიის მოზღვავება იგრძნო და თავი ამაყად ასწია. მაღლა მზის სხივები შარავანდედივით დამშვენებული დაპატრონებოდა მიდამოს**

ფაშისტი კაციჭამიები რომ არ დაესაჯათ და ფაშიზმი არ აეკრძალათ, უფრო საშინელ ბოროტებად აღორძინდებოდა. ჩვენთან კი პირიქით მოხდა. მათგან შეწუხებული ხალხი ისე დაამხობდა ნაცების ძალაუფლებას, რომ მათ ხსენებასაც კი ამოძირკვავდა. ისეც მოხდა. **ივანიშვილი** აღშფოთებულ ხალხს ჩაუდგა სათავეში და ბოლო მოუღო ნაციონალების პარაზიტს. **ხალხის სამსჯავროს მიერ დამფრთხალი ნაციონალები ჯერ გაჩუმდნენ, შემდეგ ბიძინას შეძენილ „ქართულ ოცნებას“ პარაზიტებივით შეაცოდნენ და ისე სწოვდნენ მის ავტორიტეტს, როგორც ტკიპა წოვს სისხლს ძროხას.** ასე გაივსო პარლამენტი და მთავრობა ნიღბიანი პარაზიტი წევრებით, ყველაფერი ნაციონალების სასიკეთოდ დაილაგდა. რაღაც კოაბიტაცია მოიგონეს და ნაციონალების ღრენას უმატეს. პარლამენტის თავმჯდომარედ რესპუბლიკელი რომ გეყოლება, რის იმედი უნდა გქონდეს?! ჰოდა, **მოირგეს კიდეც სირცხვილად ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი. პარაზიტი პარტიებიდან მოხვეტილი ერის უბედურება მინისტრები; პლასტილინა პრეზიდენტი; სახალხოდ წოდებული უსამართლობის დამცველი; სასამართლოსა და სახელისუფლებო აპარატში შემძვრალ ნაციონალებთან ჭიდილი და ტელეკომპანია „რუსთავი 2“ -ის ალვირახსნილი ჟიჟინაობა.** ამგვარად გაპაპაჯორებული „ქართული ოცნების“ ავტორიტეტის მწოვ პარაზიტებს თავი ისე წარმოედგინათ, როგორც ერის სისხლით გაბერილ ტკიპას — ძროხად. დანაშაულით დამძიმებული საქართველო ევრო-ამერიკელმა მფარველებმა უკრაინის უბედურებად წაიყვანეს, საიდანაც უარესად ჩასვრილის წაყვანა და გარეცხვა გაუხდათ თავშისაცემად. „ოცნებაში“ წევრად შემძვრალი პარაზიტების მომრავლებამ ისე დასცა ამ ორგანიზაციის ავტორიტეტი, რომ ფეხზე დგომა უჭირს. ნაცისტები კი ქართული ერის უბედურებად კვლავ წამოიმართნენ.

**— აუ, ეს ძალიან საშიშია!** — ამოიღრიალა ზაქარამ.

„ქართული ოცნების“ ავტორიტეტის წოვას მოწყვეტილი მოხეტიალე რესპუბლიკელი და მისი მსგავსი პარტიებად წოდებული საცოდაობა ახლა ნაციონალებს აცოცდებიან, რადგან ასეა აგებული მათი არსებობა. **ამდენი უბედურების კლანჭებში მყოფი საქართველო ნაცისტების ალვირახსნილ პარპაშს ვეღარ გადაიტანს.** ეს არ უნდა მოხდეს! განაწყენებული ვიყავი და არჩევნებზე არ წავედი. ახლა კი, ვისაც მივწვდები, ვურჩევ და მეც წავალ არჩევნებზე, რათა ქვეყანა დაღუპვისგან ვიხსნა.

— ზაქარ! — ალაყაფის კართან შეგროვილი მევალეები იძახდნენ. გველნაკბენივით წამოხტა და ყვირილით გაემართა მათკენ: — ნუ გეშინიათ, ვენახს გავყიდი და ვალს აუცილებლად გადავიხდი, ყველას უთხარით, რომ ზაქარა ვენახს ყიდის.

ამგვარი ღრიალით და ხელების ქნევით გავარდა გარეთ. მევალეებიც აღარ დაელოდნენ, მიდგნენ და გულისტკივილით ლაპარაკობდნენ: — ცხოვრება ისე წახდა, ზაქარას ვენახის გაყიდვასაც მოვესწარითო.

უკან გაბრუნებული ზაქარა კი თავჩაღუნული ბუტბუტებდა: **კოაბიტაციამ, ნაციონალი დამნაშავეების დაუსჯელობამ, დაპირებების შეუსრულებლობამ და გაჭირვების კიდევ უფრო მატებამ მთლად შემირყია „ქართული ოცნებისადმი“ რწმენა. ჩავიკეტე ჩემს ნაჭუჭში, ვენახის მოვლაც მაცოცხლებდა, მაგრამ ესეც გამიჭირდა. შხამ-ქიმიკატებზე ფასების ზრდამ და მის შემოზიდვაში თაღლითების მომრავლებამ სულ გამტეხა წელში, იძულებული შევიქენი, რთველამდე ვალით შემეძინა. ღვინის ქარხნის მეპატრონეებმა დიდი ვენახები რომ შეიძინეს, თავიანთი და ახალგამომცხვარ მემამულეთა ყურძენი დააბინავეს,** ჩემნაირი გაჭირვებული კი ბედის ანაბარა დარჩა. საწყალ ხალხს მთელი წლის იმედი — ყურძენი — ვერსად გაესაღებინა. დრო გადიოდა, მოსავალი დალპობისკენ მიექანებოდა; ხელისუფლება ევროპული გზის სამუდამო არჩევის სადიდებელს გალობდა.

გამოჩნდა ღვინის ქარხანა, რომელიც ყურძენს 70 თეთრად მიიღებდა. ამ ფასად ადრე არ ვაბარებდით, ახლა ლარი თითქმის რომ განახევრდა და ყველაფერზე ფასების მატებამ ლამის ცის თაღი გახვრიტა, რაღა დაგვრჩენია, — შეწუხდა ხალხი, მაგრამ სულ არაფრობას სჯობდა. შორს, მეზობელი რაიონის ბოლოში, ღვინის ქარხანა იღებს ყურძენს და ისიც ორ დღეში დაიკეტებაო, — ატყდა განგაში. რა მეშველა მე და უამრავ ჩემს მსგავსს, ჯიბეში ფულის მაგიერ ვალი რომ უჩხაოდა. მანქანასა და მეგრეფავებს ყურძნის ჩაბარების შემდეგ შევპირდი ფულის მიცემას და შეღავათით მოვდექით ამ გადაკარგულ ღვინის ქარხანას, ყურძენით დატვირთულ უამრავ ტრანსპორტს რომ მოუყარა თავი და ჩაბარება მეორე დღესაც საეჭვო ჩანდა. ღმერთმა უშველოს, მძღოლს ვიღაც ნაცნობი გამოუჩნდა, ისიც მიდგა-მოდგა და, როგორც იყო, მანქანა „ჩორნი ხოდიდან“ შეაპარეს ქარხანაში. გავიხარე, მაგრამ ცოტა ხნით, 15 დღის შემდეგ ფულს ბანკში მიიღებთო და მომჭრეს ფეხები. მე აღარაფერი მრჩებოდა, მაგრამ რა მიმეცა ამდენი მევალისთვის?!

უცებ გაჩერდა.

არა, ახლა წყენისა და საყვედურის დრო არ არის, ყველაფერი გვერდზე უნდა გადავდოთ და მოვიცილოთ ნაცისტური ჭირი! — მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, ერბაშად ენერგიის მოზღვავება იგრძნო და თავი ამაყად ასწია. მაღლა მზის სხივები შარავანდედივით დამშვენებული დაპატრონებოდა მიდამოს.

**გივი სოხიშვილი,**
მწერალი

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მაძღარი ხალხი მივიდა, ნახეს სინიდისი, მაგრამ, როგორც ისინი წარმოიდგენდნენ, მისთანა როდი იყო; არა, ერთი საწყალი შიმშილისაგან გამხდარი და წმინდა ძონძებში გამოხვეული კაცი იყო. მოუვიდათ გული და ერთხმად უკივლეს საწყალს სინიდისს, იფრინეს წინ, დაუშინეს ზოგმა ქვა, ზოგმა ტალახი, ზოგმა კეტი და ზოგმა რა... ერთის სიტყვით, სიკვდილი მოუნდომეს, მაგრამ გაქცეულმა სინიდისმა, როგორც იქნა, გაასწრო, მირბოდა რკინის გზამდი, ჩაჯდა ვაგონში და გამოსწია ქალაქისკენ და, თუ სურამის აღმართზედ არ დაამტვრიეს, თფილისს ესტუმრება და, აბა, თქვენ იცით, როგორც მიიღებთ...“**

# მე ვიცი და ჩემმა სინდისმაო

## არჩევნების მეორე ტურის მოლოდინში

ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „დროება“ პირველი ევროპული ტიპის გაზეთი იყო, რომელიც 1866 წლის 4 მარტს გიორგი წერეთლის რედაქტორობით გამოვიდა. „დროებამ“ განაგრძო „საქართველოს მოამბის“ საუკეთესო ტრადიციები. გაზეთის რედაქცია იქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ შტაბად, ეროვნული კულტურის ცენტრად და უდიდესი როლი ითამაშა საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებასა და ქართველი ხალხის ინტელექტუალურ აღმავლობაში. იგი აშუქებდა ისტორიის, ფილოსოფიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, ეკონომიკის, სახალხო განათლების, ხელოვნების, ლიტერატურათმცოდნეობის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და სხვა პრობლემებს.

ამ გაზეთმა ღრმა კვალი დატოვა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და XIX საუკუნის II ნახევარში ქართული აზრის შესანიშნავ მატიანედ დარჩა. გაზეთში თანამშრომლობდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, პეტრე მელიქიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ივანე მაჩაბელი, დავით მიქელაძე, კირილე ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ანტონ ფურცელაძე და სხვები.

70-იან წლებში „დროების“ ფურცლებზე აკაკი წერეთლმა დაამკვიდრა რუბრიკა „ცხელ-ცხელი ამბები“, სადაც იმდროინდელი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების მანკიერ მხარეებს ამხელდა. მკითხველს ვთავაზობთ 1872 წელს დიდი მწერლის მიერ „დროების“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ ორ პატარა იგავს, რომლებიც ზუსტად ესადაგება დღევანდელობასაც.

დღეს ქართულ პოლიტიკას ორი ვექტორი აქვს — „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნების პირველმა ტურმა ვაისა და უის შორის არჩევანის გაკეთების წინაშე დაგვაყენა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხალხის მხარდაჭერა დიდი ხანია დაკარგა, მაგრამ არც „ქართული ოცნება“ აღმოჩნდა იმედისა და მოლოდინის გამამართლებელი; ასპარეზზე არც სხვა, არსებითად ახალი ალტერნატივა ჩანს, რომელიც ნდობას იმსახურებს და რომელსაც შეუძლია ხალხის მასობრივი მობილიზება და იმ გზაზე დადგომა, რომელიც პოზიტიური ცვლილებების დაწყების წინაპირობად იქცევა. ასეთია რეალობა.

დღევანდელი მოცემულობით, მეტად სავარაუდოა, რომ არჩევნების შედეგად, არსებული ძირითადი პოლიტიკური ძალებიდან ერთ-ერთი გაიხანგრძლივებს ძალაუფლებას, ანდა ორივე თანაბრად გადაინაწილებს თანამდებობებს. ამასობაში, იმედია, ჩამოყალიბდება ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდება არსებულ პოლიტიკურ პრაქტიკას და ექნება მწყობრი, მკვეთრად განსაზღვრული პოლიტიკური კურსი.

ვინ იქნებიან ისინი?

რა მიმართულების მქონენი?

საკითხავი აი ეს არის.

ჩვენი მიზანია, თვალი მივადევნოთ მიმდინარე პროცესებს და ხალხს მივაწოდოთ სიმართლე, ახალი აზრი და სიტყვა. ამასთანავე, ვისაუბროთ იმაზე, თუ რა პირუთვნელი იყვნენ მანკიერებათა მხილებაში ჩვენი სახელოვანი წინაპრები, რომლებიც მხოლოდ სიმართლითა და სამშობლოს ღრმა სიყვარულით ხელმძღვანელობდნენ.

მოვუსმინოთ აკაკის:



### წინდა და ქუდი

ერთხელ წინდასა და ქუდს ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ. წინდამ შეჰყვირა ქუდს:

— ვის უბედავ მაგას! არ იცი, ვინა ვარ?

— ვინც უნდა ბრძანდებოდეთ, მაინც მძულხართ და მეზიზღებით, რადგანაც ცოტა ვერ გიდის კარგი სუნიო! — უპასუხა ქუდმა. მაშინ ბრაზ-მორეულმა წინდამ უთხრა ქუდს:

— შენ თუ კარგი ვინმე იყო, ჩემსავით გაუყრელათ თან ეხლები ჩვენს პატრონს; მე არც დღე და არც ღამე არ მშორდება! შენ არა თუ ღამე, დღეც ნახევარჯერ თავიდამ გიშორებს! ამას გარდა, ესეც არ იყოს, ისიც კმარა, რომ მე კვირაში, თუ არ ორჯერ, ერთხელ მაინც დამბანს და შენ კი შენს დღეში ერთხელაც არ გარეცხილხარ!

— არც რეცხა მინდა და არც ფეხით თქერაო! – მიუგო ქუდმა.

ვაჭრებო! გირჩევთ ამისთანა წინდები რამდენიც შეიძლოთ, იმდენი დაამზადეთ გასაყიდათ; გაუყიდველი, იმედია, არ დაგირჩებათ ჩვენში, მაგრამ ქუდის კი რა მოგახსენოთ! ვგონებ, ბევრი ვერ ნახოთ მისი მუშტარი.

**P.S. ეჰ, მგონი, არც ახლა გვყავს ქუდის ბევრი მუშტარი. კაცი-წინდები კი, იცოცხლე, ბევრნი არიან! მეტიც, ჩვენ კაცი-პლასტილინიც გვყავს (თანაც პრეზიდენტი იყო), ხოლო კაც-ვაზელინებსა და კაც-წურბელებს ვინ დათვლის...**

### უპასპორტო სინიდისი

ამ მოკლე ხანში გავარდა ჩვენში ხმა, ვითომც სინიდისი, რომელიც კარგა ხანია, რაც (ეს სამოც წელიწადზე მეტია) ჩვენის ქვეყნიდამ ყაჩაღათ გავარდნილია, ჩუმათ შემოპარულიყოს ჩვენში და ბაღის ბოლოს იმალებოდეს. ხალხი აღძრა ამ უცხო სტუმრის ამბავმა და ყველამ, დიდმა და პატარამ, გასწია ბაღისაკენ მის სანახავათ. შესასვლელ კარებთან რომ ბაღის მცველი იდგა, მივიდა იმასთან ერთი სამხედროთაგანი და ჰკითხა:

— ჰეი შენ, მებაღევ! სინიდისი ხომ არ გინახავს ბაღში?

ამ კითხვამ ძალიან გააკვირვა მებაღე, რადგანც პირველათ გაეგონა ამგვარი კითხვა და მართლაც, მკითხველო, შენც მოგეხსენება, რომ ამგვარი მოთხოვნილება ჩვენში ძვირათ სადმე ყოფილა.

— რა არის სინიდისიო? — უცბათ ჰკითხა მებაღემ.

— რაი და კაცია ჯინჯილებიანიო!

— მაშ, მე მაგისთანა არავინ შემინიშნავს და ერთი ვიღაც კი დაიარებაო, მობძანდით და თვითონ ნახეთ, თუ ის არისო! — მიუგო მებაღემ.

მეორე მივიდა და ჰკითხა ისევ იმ მებაღეს იმავ სინიდისის ამბავი, მაგრამ ნიშნოულობა კი სხვა გვარი უთხრა:

— ტომრებით ფული მოუტანია, მდიდარი ვინმე თურმეაო და ოც-და-ცამეტ კოპეიკათ ისესხებს ფულებსაო!


დროება

მესამემ უთხრა, რომ ძალიან მაშენიკურ აზრებს თურმე სწერსო!

მეოთხემ, რომელიც მსწავლულთაგანი იყო, უთხრა, რომ იმ სინიდისს უთუოდ ცალ ხელში არაყიანი ბოთლი ეჭირება და მეორეში ცარიელი სტაქანიო. მეხუთემ, ქალთაგანმა, ასე წარმოუდგინა სინიდისი, რომ ძალიან ალერსიანი და ლამაზი ბიჭია, თვალებს მშვენიერათ ნაბამს და ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ ცხელ-ცხელ კოცნას ისვრისო.

ერთის სიტყვით, ვინც კი მივიდა იმ საწყალ მებაღესთან, ყველამ სულ სხვა და სხვა ნაირათ ანიშნა სინიდისზედ. ასე, რომ ბოლოს მებაღემაც იფიქრა: სწორეთ ჯარი შემომპარვია, რაღაც სინიდისს რომ ეძახიან, მისიო, ვაი თუ ბაღში ხეები დამიმტვრიონო, ყვავილები გამიფუჭონო! დაავლო კეტს ხელი და გაიქცა ისიც იმ სინიდისის გადასარეკათ.

მაძღარი ხალხი მივიდა, ნახეს სინიდისი, მაგრამ, როგორც ისინი წარმოიდგენდნენ, მისთანა როდი იყო; არა, ერთი საწყალი შიმშილისაგან გამხდარი და წმინდა ძონძებში გამოხვეული კაცი იყო. მოუვიდათ გული და ერთხმად უკივლეს საწყალს სინიდისს, იფრინეს წინ, დაუშინეს ზოგმა ქვა, ზოგმა ტალახი, ზოგმა კეტი და ზოგმა რა... ერთის სიტყვით, სიკვდილი მოუნდომეს, მაგრამ გაქცეულმა სინიდისმა, როგორც იქნა, გაასწრო, მირბოდა რკინის გზამდი, ჩაჯდა ვაგონში და გამოსწია ქალაქისკენ და, თუ სურამის აღმართზედ არ დაამტვრიეს, თფილისს ესტუმრება და, აბა, თქვენ იცით, როგორც მიიღებთ...

**დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“, 1872 წელს, №34**
**ხელმოწერით აკაკი**

**P.S. ვინ იცის, ჩააღწია თუ არა სინდისმა დედაქალაქამდე, მაგრამ, თუ ჩააღწია, იქნებ ისევ გასაქცევად შეექნა საქმე?!**

**ფაქტი ის არის, რომ დღესაც მის გარეშე ვცდილობთ ქვეყნის აშენებას, ამოვიყვანთ ერთ კედელს და ხუხულასავით ჩამოგვეშლება, რადგან მთავარი აკლია — დუღაბი, რომელიც მის სიმტკიცესა და გამძლეობას უზრუნველყოფს. ასეთ დუღაბს კი სული და გული, სინდისი ქმნის. „ყაჩაღად გავარდნილი სინდისი“ კი, როგორც ჩანს, ჯერაც არ გამოჩენილა. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ამ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ ელოდებიან მის მოსვლას, მაგრამ, თუ არ გამოჩნდა, მერე კარგა ხანს ვერ ველირსებით მის ნახვასო.**

**არჩევნები რაღა შუაშია? — იკითხავს, ალბათ, გულუბრყვილო მკითხველი. რაღა რა შუაშია?!**

**ორივე პრეზიდენტობის კანდიდატი სინდისს ეფიცება და ებოდიშება ხალხს: ოღონდ ახლა მხარი დამიჭირე და მერე მე ვიცი და ჩემმა სინდისმაო.**

**ჰოდა, ვართ ასე — ზოგი ნაცების, ზოგი „ოცნების“ სინდისის იმედზე. მართალია, „ოცნებამ“ ბევრჯერ გაუცრუა ხალხს იმედი, მაგრამ მისი სინდისი უფრო სუფთა გვგონია და ამიტომ ველოდებით ასე იმედიანად. ღმერთმა ნუ ქნას, ისევ „ყაჩაღად არ გავარდეს“ და დაგვტოვოს ბედის ანაბარა.**

**«ორივე პრეზიდენტობის კანდიდატი სინდისს ეფიცება და ებოდიშება ხალხს: ოღონდ ახლა მხარი დამიჭირე და მერე მე ვიცი და ჩემმა სინდისმაო. ჰოდა, ვართ ასე — ზოგი ნაცების, ზოგი «ოცნების» სინდისის იმედზე. მართალია, «ოცნებამ» ბევრჯერ გაგვიცრუა იმედი, მაგრამ მისი სინდისი უფრო სუფთა გვგონია და ამიტომ ველოდებით ასე იმედიანად. ღმერთმა ნუ ქნას, ისევ «ყაჩაღად არ გავარდეს» და დაგვტოვოს ბედის ანაბარა»**

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

**ისანი მეტად მიუდგომელი ციხესიმაგრე ყოფილა. 1045 წელს თბილისელთა მოწვევით ქალაქში მეფე ბაგრატ IV შემოვიდა, რომელსაც თბილისის გასაღები მიართვეს. მან ხელთ იგდო მთელი თბილისი, ისნის გარდა: „ხოლო ისნელთა ჩააგდეს ხიდი და არა მოსცეს ისნი“ („ქართლის ცხოვრება“). ბაგრატი მთელი ზაფხულის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ისნის დამორჩილებას, მიუხედავად იმისა, რომ „..დაუდგეს ფალავანნი და ბრძოდეს ისნთა“.**

დედაქალაქის ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ისანი

**ისანი ისტორიული უბანია თბილისში. იგი ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI საუკუნეში.**



მეტეხის ციხე — აგებულია ისნის მეფეთა სასახლის ნანგრევებზე

ისნი, ისნის ციხე იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: მატიანე ქართლისა; ჟამთააღმწერელი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ , ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ვახუშტი ბაგრატიონი ისნის ციხის ადგილმდებარეობის შესახებ გადმოგვცემს: „ტფილისი არს სამი ქალაქი – ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკუარი კალას, ტფილისს და ისნს ... კალას უდის ჩრდილოთ-აღმოსავლეთ, ტფილისს – ჩრდილოთ და ისნს – დასავლით და სამხრით“. „ისნს არს, კიდესა მტკვრისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა ეკლესია მეტეხი“. „აქ განვალს ხიდი კალიდამ ისნს, ციხიდამ ციხესა“.

ისნამდე ამ ადგილს სოღდებილი ეწოდებოდა (არაბული წყაროების მიხედვით). სახელწოდება სოღდებილი საგოდებლიდან უნდა იყოს წარმოშობილი.

XI საუკუნეში თბილისის ეს ადგილი ქვიტკირის გალავნებითა და თხრილით გაუმაგრებიათ და სიმტკიცის გამო მას არაბულად „ჰისნი“ (ქართულად ციხესიმაგრეს ნიშნავს), ანუ ისანი უწოდეს.

იგი ქალაქს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან იცავდა, XI-XII საუკუნეებში ციხესიმაგრის მიმდებარე ტერიტორიას ისნის ველსა და სოღდებილის სანახებს ეძახდნენ (შემდეგდროინდელი ავლაბარი). XII-XIII საუკუნეებში ისანში კლდეზე, მტკვრის პირას, იყო მეფის სასახლე, კარის ეკლესია და მეტეხთა ტაძარი. გვიანდელ შუა საუკუნეებში ისნის უბანი მეტეხად იწოდებოდა.

დღეს შეუძლებელია ისნის ციხის გეგმარებისა და საერთო სახის ზუსტი აღდგენა. ფორტიფიკაციული კომპლექსი, როგორც ჩანს, ორ დონეზე განლაგებული ნაწილისაგან შედგებოდა:

პირველი, მთავარი ნაწილი კლდის პლატოზე იყო აშენებული, მეორე კი დასავლეთიდან ეკვროდა, დამრეც რელიეფს ჩამოჰყვებოდა და ხიდთან მთავრდებოდა. **კლდის ძირას, ძველი ხიდის ყელის ადგილზე შემორჩენილია კვადრატული კოშკის ნარჩენები (ისინი იხსნება ხოლმე მტკვრის დონის დაწევისას).** ასეთი კომპოზიციაა ნაჩვენები **ვახუშტი ბატონიშვილის** 1735 წლის გეგმაზე. ისნის კარიბჭე აღმოსავლეთის მხრიდან გამოწეულ ნაწილში იყო გაჭრილი. მასთან იყრიდა თავს ავჭალისა კახეთის გზები. მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნეში შიდა ავლაბარი გალავნით შემოზღუდეს, ეს კარი ფორტიფიკაციული სისტემის შიგნით აღმოჩნდა.

ისანი მეტად მიუდგომელი ციხესიმაგრე ყოფილა. 1045 წელს თბილისელთა მოწვევით ქალაქში მეფე ბაგრატ IV შემოვიდა, რომელსაც თბილისის გასაღები მიართვეს. მან ხელთ იგდო მთელი თბილისი, ისნის გარდა: „ხოლო ისნელთა ჩააგდეს ხიდი და არა მოსცეს ისნი“ („ქართლის ცხოვრება“). ბაგრატი მთელი ზაფხულის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ისნის დამორჩილებას, მიუხედავად იმისა, რომ „..დაუდგეს ფალავანნი და ბრძოდეს ისნთა“.

**ისნის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა XII-XIII საუკუნეებში, როდესაც აქ მდებარეობდა გაერთიანებული საქართველოს მეფეთა სასახლე. სამწუხაროდ, მან ჩვენამდე ვერ მოაღწია.** ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ისტორიით, ციხე-გალავნებით, ტაძრებით, მაგრამ ფაქტობრივად არ გვაქვს სასახლეები. საინტერესოა, როგორ და სად ცხოვრობდნენ ისეთი დიდი მონარქები, როგორებიც ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე ან გიორგი V ბრწყინვალე იყვნენ, და იღებდნენ აუდიენციებს; როგორი იყო ქართველ მეფეთა სასახლეები.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, სამეფო სასახლე თბილისში, აქვე ახლოს, მეტეხის მიმდებარედ ყოფილა და **ისნის პალატებად** იწოდებოდა. იგი არ ყოფილა ისეთი დიდი და გრანდიოზული, როგორიც, ვთქვათ, ვერსალია, მაგრამ მნიშვნელობით, რა თქმა უნდა, მას უტოლდებოდა. ცნობილია, რომ ადრეული შუა საუკუნეები ლოდსატყორცნებისა და უზარმაზარი მახვილების ეპოქა იყო. იმ დროს აგებული სასახლეებიც კი ციხეებს წააგავდა, ვინაიდან მთელი რესურსი გალავნებისა და ქონგურების სიმტკიცეს ხმარდებოდა. სასახლეები კი, დღევანდელი გაგებით, XV-XVI საუკუნეებიდან ჩნდება, როცა ლოდსატყორცნებს ზარბაზნები, ხოლო მშვილდ-ისარსა და მახვილებს დამბაჩები და დაშნები ჩაენაცვლა.

როგორი იყო ქართველ მეფეთა სასახლე თბილისში?

**ისნის პალატებს ჰქონდა დიდი მისაღები დარბაზი, სასადილო ოთახი, მოსასვენებელი ოთახები და მეფის კაბინეტი. არსებობს ასეთი გამოთქმაც „მეფის საწოლი“, რომლითაც სასახლის იმ ნაწილს მოიხსენიებენ, რომელშიც უშუალოდ მეფის აპარტამენტები იყო განთავსებული. ეს კი, მეფის კაბინეტისა და ჰიგიენის ოთახის გარდა, მოიცავდა დაცვის უჯრედსაც და მეფის პირადი თანაშემწის, მესაწოლე ბერის, საცხოვრისსაც.** დღეს ამ სასახლის კვალი გამქრალია, რაც, ერთი მხრივ, სპარსთა შემოსევის, ხოლო, მეორე მხრივ, ნანგრევების ადგილას მეტეხის ციხის აგებითაა გამოწვეული.

ამ სასახლეში გაიგო თამარმა მამის, მეფე გიორგის, გარდაცვალების ამბავი; სასახლის ეკლესიაში ლოცულობდა იგი მტერზე გამარჯვებისთვის 1195 წელს. 1278-1289 წლებში მეფე დიმიტრი თავდადებულს, ყაენის კარზე გამგზავრებამდე, ისანში ღვთისმშობლის სახელზე აუგია ტაძარი. დაახლოებით ამ დროიდან ისანში ჩნდება ახალი სახელი — მეტეხი. როგორც ჩანს, სახელწოდება „ისანიც“ საბოლოოდ არ გამქრალა. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მეტეხის მიდამოებს კვლავ ისანს უწოდებს: **„ისანს არს კიდესა მტკრუისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა ეკლესია მეტეხი, ღვთისმშობლისა“...**

**მეტეხის ქუჩის გასწვრივ სანოვაგის ბაზარი ყოფილა.** 1800 წლის გეგმაზეც არის ის აღნიშნული. ისანშივეა ქარვასლები, თოფის წამლის ქარხანაც. 1800 წლის გეგმის მიხედვით, ისნის ქუჩების ქსელი, კალასთან შედარებით, „რეგულარულ“ ხასიათს ატარებდა. შუასაუკუნოებრივმა ქსელმა დღემდე მოაღწია.

ისანი არქეოლოგიურად შეუსწავლილია. 1926 წელს აქ შემთხვევით აღმოჩნდა თიხის 17 ჭურჭელი. მათ შორის გვხვდება როგორც მოჭიქული, ისე სადა კერამიკული ნაწარმი. 1929 წელს სომხური დრამის თეატრის საძირკვლის ამოღებისას გამოვლინდა: ჯამები, ხელადა, ჭრაქი, კოტოში და სხვ. რომლებიც XI-XIII საუკუნეების ნიმუშებადაა მიჩნეული, თუმცა ისინი უფრო მოგვიანო ხანის არტეფაქტებია.

ალკეული შემთხვევითი მონაპოვრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ისნის ტერიტორიაზე არსებობს გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკური და შუა საუკუნეების ძეგლები.

თანამედროვე ისანი დედაქალაქის ერთ-ერთი ხალხმრავალი უბანია. აქ ბოლო წლებში სხვადასხვა სამშენებლო კომპანიების მიერ აშენდა და კვლავაც სწრაფი ტემპით შენდება მრავალსართულიანი თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო ცენტრები თუ სხვა სახის ნაგებობები.

**ისნის პალატებს ჰქონდა დიდი მისაღები დარბაზი, სასადილო ოთახი, მოსასვენებელი ოთახები და მეფის კაბინეტი. არსებობს ასეთი გამოთქმაც «მეფის საწოლი», რომლითაც სასახლის იმ ნაწილს მოიხსენიებენ, რომელშიც უშუალოდ მეფის აპარტამენტები იყო განთავსებული. ეს კი, მეფის კაბინეტისა და ჰიგიენის ოთახის გარდა, მოიცავდა დაცვის უჯრედსაც და მეფის პირადი თანაშემწის, მესაწოლე ბერის, საცხოვრისსაც**





მეტროსადგური „ისანი“ გაიხსნა 1971 წელს



ისანი მოლი

პერსპექტივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბუნებრივმა აირმა უნდა ჩაანაცვლოს გერმანიაში ექსპლუატაციაშეჩერებული ატომური ელექტროსადგურები და ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურები. ამერიკული კომპანია EXXONMOBI-ის ხანგრძლივვადიანი პროგნოზის თანახმად, 2030 წლისთვის, ისევე, როგორც ამჟამად, ქვეყანა ენერგიის 60 პროცენტით უნდა უზრუნველყოს ნავთობმა და ბუნებრივმა აირმა. ამასთანავე, პირველს თანდათან გამოდევნის მეორე. ამ დროის განმავლობაში „მწვანე ენერგეტიკა“ მხოლოდ ჩაენაცვლება ატომურ ენერგეტიკას და ოდნავ გააუმჯობესებს ნახშირის მწარმოებელი გერმანული ფირმების პოზიციებს.**

# ევროპა გაგრძელებას ითხოვს: «ჩრდილოეთის ნაკადი-3» და «თურქეთის ნაკადის» ახალი მილსადენები უახლოეს პერსპექტივად ისახება

**ვერონაში გამართულ ევრაზიის ეკონომიკურ ფორუმზე გამოსულმა „გაზპრომ ექსპორტის“ გენერალურმა დირექტორმა ელენა ბურმისტროვამ განაცხადა, რომ ევროპულ კომპანიებს სურთ, დამატებით შეისყიდონ წელიწადში 50 მილიარდი კუბური მეტრის მოცულობის რუსეთის ბუნებრივი აირი. რამდენიც უნდა ილაპარაკოს ვაშინგტონმა, რომ ეს განცხადება უსაფუძვლოა, სტატისტიკა ჯიუტი რამაა. დავუმატოთ ამას ისიც, რომ გერმანია არ აპირებს რუსეთის „აირის ნემსზე“ უარის თქმას და თავად აპირებს ევროპის მთავარ ჰაბად გახდომას.**




## რუსეთის ბუნებრივი აირის მოხმარების ზრდა ფაქტად იქცა

არცთუ დიდი ხნის წინათ ევროპამ ვაშინგტონის გავლენითა და მოთხოვნით გადაწყვიტა „მწვანე ენერგეტიკაზე“ სასწრაფოდ გადასვლა და იმპორტული საწვავის პროგრამების ამოქმედება. ოკეანისგაღმელი სპეციალისტების გათვლით, ამ ნოვაციას უნდა მოჰყოლოდა რუსეთიდან ბუნებრივი აირის მიწოდების მკვეთრი შემცირება და მოსკოვზე ენერგეტიკული დამოკიდებულებისგან კონტინენტის გათავისუფლება. პარალელურად ყატარს უნდა გაეზარდა ევროპელი მომხმარებლისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება და პერსპექტივაში ამ ქვეყნიდან საუდის არაბეთის, სირიისა და თურქეთის გავლით „არაბული აირგამტარის“ გაყვანა. ამ ყველაფერს, ავტორების ჩანაფიქრით, საბოლოოდ უნდა მოესპო და იავარეყო ევროპაში რუსეთის „ბუნებრივი აირის ამბიციები“.

**ამას დაემთხვა მსოფლიო საფინანსო კრიზისი, რომელმაც გამოიწვია ევროპის ქვეყნებში ცისფერი საწვავის გამოყენების შემცირება. ერთადერთი, რაც მაშინ აწუხებდა ვაშინგტონს, „ჩრდილოეთის ნაკადის“ პირველი შტოს მშენებლობა იყო, რომელსაც ბალტიის ზღვის ფსკერზე უნდა გაევლო.**

2011 წლის ერთმა მოვლენამ მკვეთრად შეცვალა მსოფლიოში „ბუნებრივი აირის წესრიგი“: იაპონიაში აფეთქდა ატომური ელექტროსადგური „ფუკუსიმა-1“. იაპონიამ ყველა თავისი ატომური ელექტროსადგური გათიშა. შედეგად, იაპონიის ბუნებრივი აირის ბაზარი ფრიად „პერსპექტიული“ გახდა და ყატარის „ბუნებრივი აირის პრინცებმა“ ბუნებრივი აირი 50-60 პროცენტით გააძვირეს. ამან და „არაბული გაზსადენის“ გაყვანის პრობლემებმა რუსეთი კვლავ ევროპის ბაზრისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების ულტერნატივო წყაროდ აქცია.

2013 წელს ევროპის ქვეყნების ეკონომიკა კალაპოტში ჩადგა, რამაც რუსეთს საშუალება მისცა, მათთვის ბუნებრივი აირის მიწოდება ერთბაშად 16 პროცენტით, ანუ 161,5 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაეზარდა. ეს კი ნიშნავდა, რომ ევროპის ბაზრიდან რუსული აირის „განდევნის“ სტრატეგიამ კრახი განიცადა და მის ინიციატორებს ახალი „ვარიანტები“ უნდა ეძებნათ.

იპოვეს: **უკრაინაში მოწყობილმა მაიდანმა და სახელმწიფო გადატრიალებამ მკვეთრად შეცვალა ევროპული ბუნებრივი აირის განაწილება.**

2014 წლის გაზაფხულზე უკრაინაში დაიწყო სამოქალაქო ომი, ზაფხულში კი — მაგისტრალური გაზსადენების აფეთქებები. 2014 წლის შედეგების თანახმად, რუსული აირის ექსპორტი უცხოეთის ქვეყნებში 147,2 მილიარდ კუბურ მეტრამდე დაეცა, რაც დსთ-ის სახელმწიფოების მიერ ბუნებრივი აირის შესყიდვის მკვეთრად შემცირებისა (59,4 მილიარდი კუბური მეტრიდან 48,1 მილიარდ კუბურ მეტრამდე) და ევროსაბჭოს ქვეყნების მიერ რუსეთისთვის სანქციების დაწესების ფონზე რუსეთის ენერგეტიკული დომინირების დასასრულის დაწყების შთაბეჭდილებას ტოვებდა.

2015 წელი ამ ბრძოლის გარდამტეხ წლად მოგვევლინა: რუსეთმა თავისი „წონადი სიტყვა“ თქვა სირიაში, რამაც მაშინვე ხაზი გადაუსვა „არაბული მილსადენის“ გაყვანის შესაძლებლობას. და სწორედ ამ წელიწადს ევროპამ, რომელიც დარწმუნდა, რომ ახლო აღმოსავლეთიდან მილსადენით გაზის მიღება შეუძლებელი იყო, გადაწყვიტა, დაეწყო „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მშენებლობა. ევროკავშირმა, კრედიტების მიცემის სანაცვლოდ, დაარწმუნა უკრაინა, უახლოეს პერსპექტივაში ხელი არ შეეშალა რუსული ტრანზიტისთვის. შედეგად უცხოეთში რუსული ბუნებრივი აირის გაყიდვა თითქმის 8 პროცენტით გაიზარდა და 159,4 მილიარდ კუბურ მეტრს მიაღწია.

მიწოდებამ ყოველწლიურად იმდენად იმატა, რომ უკვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიმდინარე წლის ბოლოსთვის მოცულობა 205-207 მილიარდი კუბური მეტრის მაჩვენებელს მიაღწევს. ამასთანავე, რუსული საწვავის წილი ევროპის გაზის ბაზარზე დაახლოებით 40 პროცენტი იქნება. ევროპისთვის რუსული გაზის მიწოდება ოთხ წელიწადში 60 მილიარდი კუბური მეტრით გაიზარდა.

**ერთ წელიწადში მწყობრში ჩადგება ორი ახალი მარშრუტი — «ჩრდილოეთის ნაკადი-2» და «თურქეთის ნაკადის» პირველი რიგი. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ დღეს ევროპისა და რუსეთის საქმიანი წრეები «უცებ» ალაპარაკდნენ, რომ ბუნებრივი აირის მილის მესამე რიგის გაყვანა ბალტიის ზღვის ფსკერზე რეალური პერსპექტივაა**




არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთ წელიწადში მწყობრში ჩადგება ორი ახალი მარშრუტი — „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ და „თურქეთის ნაკადის“ პირველი რიგი.

**შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ დღეს ევროპისა და რუსეთის საქმიანი წრეები „უცებ“ ალაპარაკდნენ, რომ ბუნებრივი აირის მილის მესამე რიგის გაყვანა ბალტიის ზღვის ფსკერზე რეალური პერსპექტივაა.**

## ევროპაში ბუნებრივი აირის იმპორტის ზრდა გარდაუვალია

მესამე შტო აუცილებელია იმიტომ, რომ ევროპის უკვე განსაზღვრული სამომავლო ენერგეტიკული სტრატეგიის განსახორციელებლად საჭიროა ბუნებრივი გაზის მიწოდების მკვეთრი გაზრდა.

სწორედ ბუნებრივმა აირმა უნდა ჩაანაცვლოს გერმანიაში ექსპლუატაციაშეჩერებული ატომური ელექტროსადგურები და ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურები. ამერიკული კომპანია ExxonMobi-ის ხანგრძლივვადიანი პროგნოზის თანახმად, 2030 წლისთვის, ისევე, როგორც ამჟამად, ქვეყანა ენერგიის 60 პროცენტით უნდა უზრუნველყოს ნავთობმა და ბუნებრივმა აირმა. ამასთანავე, პირველს თანდათან გამოდევნის მეორე. ამ დროის განმავლობაში „მწვანე ენერგეტიკა“ მხოლოდ ჩაენაცვლება ატომურ ენერგეტიკას და ოდნავ გააუმჯობესებს ნახშირის მწარმოებელი გერმანული ფირმების პოზიციებს.

ამ წლების განმავლობაში აშენდება ბუნებრივი აირის ახალი ენერგობლოკები. უკვე დაიწყო დიდტონიანი ტრანსპორტისა და სატვირთო გემების გადაყვანა ბუნებრივი აირის საწვავზე. ახლახან რუსულმა „ნოვატეკმა“ და ბელგიურმა გაზის ტრანსპორტირების ოპერატორმა Fluxys-მა გაასაჯაროვეს როსტოკის პორტში ბალტიის ზღვაზე 300 ათასი ტონის სიმძლავრის პირველი ტერმინალის აშენების გადაწყვეტილება, რომელიც გემების გაზით მომარაგებაზე იქნება ორიენტირნებული.

გერმანიის თბოგენერაციაში ბუნებრივი აირი სრულად ჩაენაცვლება აქ გამოყენებულ მაზუთს. დღეისთვის ქვეყანაში სითბოს 44 პროცენტი გამომუშავდება ბუნებრივი აირის მეშვეობით, 26 პროცენტი კი — მაზუთის ხარჯზე.

ეს ხდება გერმანიაში, რომელიც „ევროპის მწვანე მომავლის“ ფორპოსტია. სამხრეთ ევროპის ქვეყნებში ყველაფერი გაცილებით პროზაულია. გაზის მოხმარების ზრდა უახლოესი ათწლეულების განმავლობაში მყარ და უცვლელ ტენდენციად ისახება.

## პერსპექტივისა და პროექტების შესახებ

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რიგი ბუნებრივი მოვლენების გამო ბუნებრივი აირის მოპოვება ნიდერლანდებში სწრაფად მცირდება: 2030 წლისთვის „გრონინგენის“ საბადოზე გაზის მოპოვების შეწყვეტა კონტინენტის ენერგობალანსს წელიწადში 20 მილიარდ კუბურ მეტრს დააკლებს.

დაახლოებით ამდენ მოცულობას დაკარგავს დიდი ბრიტანეთის ბუნებრივი აირის მომპოვებელი დარგი. ნორვეგიამაც კი, ევროპის უკანასკნელმა დიდმა რეზერვუარმა, მოპოვების მწვერვალს მიაღწია. ამას დაემატა ახალი საბადოების საძიებო სამუშაოების წარუმატებლობაც. ამ ფონზე „ჩრდილოეთის ნაკადი-3“-ისა და „თურქეთის ნაკადის“ ახალი მილსადენების გაყვანა უმოკლეს დროში რეალურ პერსპექტივად ყალიბდება.

იური კოდოლიაკა

**P.S. 19 ნოემბერს ამოქმედდა „თურქეთის ნაკადის“ პირველი რიგი. საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობდნენ ვლადიმერ პუტინი და რეჯეფ თაიპ ერდოღანი.**



**პოლიციამ უკვე გაავრცელა ცნობა, რომ კანონის ამოქმედების პირველსავე დღეს ოჯახებს რვა ბავშვი „ჩამოართვეს". ადგილობრივი მედია ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაზე წერს: ექვსი წლის გოგონამ რენეიტ ბერგმა საბავშვო ბაღში „ტოლერანტობის საათის" ჩატარებისას ლგბტ-ოჯახები „არასწორ" ოჯახებად მოიხსენია. შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა პოლიციამ და ბავშვთა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ გოგონამ ასეთი განმარტება მშობლებისგან მოისმინა.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ნეოლიბერალური ზნეობა

## ევროპული საშინელება: ბავშვებს მშობლებს ართმევენ და აღსაზრდელად საგანგებო ბანაკებში გზავნიან

**„მომავალი თაობის" პროგრამამ სტარტი 2015 წელს აიღო: აამოქმედეს იგი, როგორც ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის აღზრდის სასკოლო სისტემის ორგანული დამატება. დღეისთვის მან ძალა მოიკრიბა და ფრთები გაშალა: თუ აქამდე ნიდერლანდის სამეფოში სჯიდნენ ჰომოფობიის საჯაროდ გამოხატვისთვის, წლევანდელ ზაფხულში მიღებული კანონის თანახმად, ამ ტიპის კერძო გამონათქვამები, საფუძვლიანი ეჭვი ლგბტ-თემის მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულების თაობაზე ხდება მიზეზი დაჯარიმების და, რაც მთავარია, მშობლის უფლების ჩამორთმევისაც კი.**



პოლიციამ უკვე გაავრცელა ცნობა, რომ კანონის ამოქმედების პირველსავე დღეს ოჯახებს რვა ბავშვი „ჩამოართვეს".

ადგილობრივი მედია ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაზე წერს: ექვსი წლის გოგონამ **რენეიტ ბერგმა** საბავშვო ბაღში „ტოლერანტობის საათის" ჩატარებისას ლგბტ-ოჯახები „არასწორ" ოჯახებად მოიხსენია. **შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა პოლიციამ და ბავშვთა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ გოგონამ ასეთი განმარტება მშობლებისგან მოისმინა.**

სხვა შემთხვევაში ცხრა წლის ბიჭმა, რომლის სახელსაც არ ასაჯაროებენ, კატეგორიულად არ აკოცა თანაკლასელ ბიჭს სექსუალური თავისუფლების გაკვეთილზე; თქვა, რომ ურჩევნია, აკოცოს გოგონას. გაირკვა, რომ მშობლები მას თავს ახვევდნენ ჰეტეროსექსუალურ ორიენტაციას და არ უზრუნველყოფდნენ სქესის თავისუფლად არჩევის უფლებით. შესაბამის გაკვეთილებზე, რომლებიც სკოლებში ეწყობა, მოსწავლემ თვითონ უნდა აირჩიოს საკუთარი ორიენტაცია და შეისწავლოს ლგბტ-ის უპირატესობანი სხვადასხვა გენდერული როლის პირადად გამოცდის საფუძველზე.

**სპეციალურ ბანაკებში სამთვიანი აღზრდის შემდეგ ბავშვებს სხვა ოჯახებში გააშვილებენ.** ნიდერლანდის სამეფოში ბავშვთა უფლებების დამცველის — **ასტერ-მარია იაკობსის** განცხადებით, **სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს ახალი თაობისთვის „შეუწყნარებლობის კოშმარის" თავიდან ასაცილებლად.**

## დედის დაცვას ემსხვერპლა



**11 წლის გოგონა ელა დოლბი 24-ჯერ დანით დაჭრა მამინაცვალმა მაშინ, როცა ეს უმწეო ბავშვი, რომელიც 39 კილოგრამს იწონიდა, გავეშებული კაცისგან დედის დაცვას შეეცადა.**

იმ საღამოს 31 წლის **ლაურა მონტიმერმა** ქმარს უთხრა, რომ შეიტყო მისი ღალატის შესახებ და გადაწყვიტა, გაყროდა. **კრისტოფერ ბუნი** აღშფოთდა და დედა-შვილს ყელი გამოჭრა, — იუწყება The Sun. მათი გვამები პოლიციელებმა სამზარეულოში იპოვეს. მკვლელი სახლიდან გაიპარა და თავის დედას უამბო, რაც მოხდა. დაკავებისას კრისტოფერი სისხლში იყო ამოსვრილი.

სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა აღიარა ორმაგი მკვლელობა. მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 28 წლის კრისტოფერი რეგულარულად ცემდა ცოლს და მის ყოველმხრივ გაკონტროლებას ცდილობდა.

## ნამუსგარეცხილმა წყვილმა საქორწინო ფოტოსესია გაუბედურებული კონგოს ფონზე მოიწყო



**ფოტოგრაფი ჯონ მილტონი და მისი ახალგამომცხვარი ცოლი კონგოში გაემგზავრნენ, რათა ამ გაუბედურებულ ქვეყანაში მოეწყოთ საქორწინო ცერემონია და ფოტოსესია. ერთ-ერთ ფოტოზე წყვილი მოქმედი ვულკანის კრატერთან დაჩოქილია, თავზე ორი შეიარაღებული მამაკაცი ადგათ და მიზანში მექორწინენი ჰყავთ ამოღებული, — იუწყება Daily Mail.**

ამ წყვილის თავხედობამ განარისხა „ფეისბუკის" მომხმარებლები და „კრეატივის" მოყვარულების მისამართით შეურაცხმყოფელ სიტყვებს არ მოერიდნენ. საქმე ის არის, რომ კონგოში გრძელდება საომარი მოქმედება ეთნიკური დაპირისპირების, ძალაუფლებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა ხელში ჩაგდების ნიადაგზე. დაღუპულია 5 მილიონზე მეტი ადამიანი. უმრავლესობა ამოწყდა შიმშილისა და ეპიდემიურ დაავადებათა და საყოველთაო ანტისანიტარიის გამო.

პატარძალი ფოტოკამერის წინ მოკლე კაბითა და შავი მაღალყელიანი ჩაქმებით პოზირებდა. „ჩვენ გვსურდა, რომ არ გვქონოდა სულელური საქორწინო ფოტოები", — თავი კი იმართლეს ახალდაქორწინებულებმა, მაგრამ იძულებულნი გახდნენ, ქსელიდან გაექროთ თავიანთი ფოტოები და საკუთარი პროფილიც „ინსტაგრამიდან".







ყველაზე ყველაზე...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ წიგნად ითვლება ლეონარდო და ვინჩის მიერ დაწერილი ლესტერის კოდექსი. ამ წიგნის მფლობელია მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი ადამიანი, მულტიმილიარდერი ბილ გეიტსი, რომელმაც 1994 წელს ლესტერის კოდექსში 30,8 მლნ დოლარი გადაიხადა.**

# 10 ყველაზე ძვირფასი წიგნი მსოფლიოში

## ურიზენის პირველი წიგნი. უილიამ ბლეიკი




1794 წელს დაბეჭდილი ურიზენის პირველი წიგნი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წიგნია წინასწარმეტყველური ნაშრომების სერიიდან, რომელიც უილიამ ბლეიკმა დაწერა. ეს ეგზემპლარი 1999 წელს გაიყიდა ნიუ-იორკის „სოთბის“ აუქციონზე 2,5 მლნ დოლარად. წიგნი კერძო კოლექციონერმა შეიძინა.

## ბარდ ბიდლის ზღაპრები. ჯოან როულინგი



სანამ ეს წიგნი მოიპოვებდა მრავალრიცხოვან მკითხველს ბავშვთა რიგებში, ჯოან როულინგმა 7 ორიგინალური ეგზემპლარი შექმნა — ხელით დაწერილი. მათგან 6 მეგობრებს აჩუქა, მეშვიდე კი 2007 წელს აუქციონზე გაიტანა გასაყიდად. წიგნი 3,98 მლნ დოლარად გაიყიდა.

## „გეოგრაფია“ („კოსმოგრაფია“). კლავდიუს პტოლომეუსი



ეს არის მსოფლიოში პირველი დაბეჭდილი ატლასი და, ამასთანავე, მსოფლიოში პირველი ილუსტრირებული წიგნი. პტოლომეუსის 1477 წლით დათარიღებული „გეოგრაფია“ ლონდონის აუქციონზე თითქმის 4 მლნ დოლარად გაიყიდა.



## ტრაქტატი მსხმოიარე ხეების შესახებ

ამ ნაშრომის ავტორები არიან **ანრი ლუი დიუამელ დიუ მონსო, პიერ ანტუან პუატო, პიერ ჟან ფრანსუა ტერპინი.** ეს არის ხილის ხეებზე დაწერილი ყველაზე ძვირად ღირებული წიგნი. ამ 5-ტომიანი გამოცემის ასლი 2006 წელს 4,5 მლნ დოლარად გაიყიდა.



## გუტენბერგის ბიბლია

გუტენბერგის ბიბლიის ასლი 1987 წელს იმ პერიოდისთვის სარეკორდო თანხად 4,9 მლნ დოლარად გაიყიდა. ეს ერთ-ერთია მსოფლიოში არსებული 48 ასლიდან.




## შექსპირის პირველი ფოლიანტი

მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნის თავდაპირველი ფასი მხოლოდ 1 გირვანქა სტერლინგი იყო, დღეს მისი დაუზიანებელი ასლი შეუფასებელ წიგნად ითვლება ნებისმიერი კოლექციონერისთვის. 2001 წელს კომპანია „მაიკროსოფტის“ თანადამფუძნებელმა **პოლ ალენმა** ასეთი ასლი 6,16 მლნ დოლარად შეიძინა.



## კენტერბერიული ისტორიები. ჯეფრი ჩოსერი

ამ წიგნის პირველი გამოცემა, XV საუკუნით დათარიღებული, 7,5 მლნ დოლარად გაიყიდა ლონდონის აუქციონზე. შესადარებლად: ეს გამოცემა თავდაპირველად 6 გირვანქა სტერლინგად შეიძინა გრაფმა ფიტცვილიამმა 1776 წელს.




## ამერიკის ფრინველები. ჯეიმს ოდუბონი

ამ 4-ტომეულის პირველი გამოცემა 2010 წელს ლონდონის აუქციონზე 11,5 მლნ დოლარად გაიყიდა.

## ჰენრიხ ლოვის სახარება. წმინდა ბენედიქტეს ორდენი



საქსონიის ჰერცოგ **ჰენრიხ ლოვის** შეკვეთით ბრუნსვიკის ტაძრის ქალწულ მარიამის საკურთხევლისთვის დაწერნილი სახარება 1983 წელს ლონდონში გამართულ „სოთბის“ აუქციონზე გერმანიის მთავრობამ 11,7 მლნ დოლარად გამოისყიდა. ეს წიგნი, რომელიც 266 გვერდისგან შედგება, მათ შორის, 50 ილუსტრაციისგან, მე-12 საუკუნის მანუსკრიპტთა შორის შედევრად ითვლება.



## ლესტერის კოდექსი. ლეონარდო და ვინჩი

მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ წიგნად ითვლება **ლეონარდო და ვინჩის** მიერ დაწერილი ლესტერის კოდექსი. ამ წიგნის მფლობელია მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი ადამიანი, მულტიმილიარდერი **ბილ გეიტსი**, რომელმაც 1994 წელს ლესტერის კოდექსში 30,8 მლნ დოლარი გადაიხადა.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1986-მა წელმა მარადონას კიდევ ბევრი სასიამოვნო მოგონება დაუტოვა. სწორედ ამ წელიწადს დადგა მისი კარიერის პიკი მექსიკის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე. ამ ჩემპიონატის მეოთხედფინალში ინგლისის ნაკრების კარში გატანილი ორი გოლი ისტორიაში შევიდა — ერთი, როგორც სკანდალური, როდესაც მარადონამ ხელით გაიტანა ბურთი, შემდეგ კი განაცხადა, ამ გოლში „ღვთის ხელი ჩაერია“-ო; მეორე კი, ყველაზე ლამაზი, როცა მარადონამ ინგლისელთა ნახევარი გუნდი მოატყუა და ბურთი ბადეში გაახვია.**

# დიეგო მარადონა და «ღვთის ხელი»



**დიეგო არმანდო მარადონასა და პელეს ერთ საფეხურზე აყენებენ, საკმაოდ ბევრი კი მიიჩნევს, რომ ის პელეზე მაღლა დგას. კამათს ბოლო არ უჩანს, თუმცა ერთი რამ ცხადია — მარადონა შესანიშნავი ფეხბურთელია, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ფეხბურთის ისტორიაში.**

დიეგოსთვის ყველაფერი ადრეული ბავშვობიდან დაიწყო, როცა ძმამ ნამდვილი ტყავის ბურთი აჩუქა. 7 წლის დიეგო, რომელიც მანამდე მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენდა ფეხბურთის მიმართ, თითქოს უცებ მოიხიბლა ამ თამაშით და ყველგან, სადაც ხელსაყრელ ადგილს იპოვიდა, ცდილობდა ბურთის გაგორებას. ამის გამო ხშირად საყვედურობდნენ დედა და უფროსი დები, მაგრამ მამა ხელს უწყობდა ვაჟს — ასწავლიდა დრიბლინგის საიდუმლოს.

მამის გაკვეთილებს უკვალოდ არ ჩაუვლია — ბიჭი ყველაფერს იმახსოვრებდა და 10 წლისა ბავშვთა ნამდვილ საფეხბურთო გუნდში აიყვანეს. **„არგენტინოს ხუნიორსში“** დიეგო მეგობარმა გოიო კარისომ მიიყვანა. მწვრთნელმა მყისვე შეამჩნია სხარტი და ნიჭიერი ბიჭი და გუნდში თამაში შესთავაზა.

მარადონას ოჯახი თავდაპირველად წინააღმდეგი იყო, მაგრამ ვერ გაუძლო მწვრთნელ ფრანცისკო კორნეხოს შეტევებს. კორნეხოს მონდომება ჯეროვნად დაფასდა: **„არგენტინოს ხუნიორსის“ ბავშვთა გუნდმა ზედიზედ 136 მატჩში გაიმარჯვა და ამ წაუგებელი სერიის მთავარი გმირი, რა თქმა უნდა, მარადონა იყო.**

**„ჩვენ ყველას ვუგებდით, ზოგჯერ ანგარიში იყო 20:0,** — იხსენებს სახელგანთქმული ფეხბურთელი, — **არგენტინის იმჟამინდელ ჩემპიონს იუნიორთა შორის — „რივერ პლეიტს“ — 7:1 მოვუგეთ, მე 5 ბურთი გავიტანე. უნდა გენახათ, გაბრაზებული მეტოქეები როგორ დამდევდნენ“.** გავიდა 7 წელი და ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელზეც სრულიად არგენტინა ამყარებდა იმედს, ქვეყნის მთავარ გუნდში მიიწვიეს, ასეთი პატივი მანამდე არც ერთ არგენტინელს არ რგებია. არგენტინის ეროვნულ ნაკრებში მარადონას დებიუტი შედგა 1997 წელს უნგრეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში. ასეთი სწრაფი წინსვლის გამო, ბევრი ვარაუდობდა, რომ დიეგოს ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაჯავშნილი ჰქონდა, თანაც 1978 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს არგენტინა მასპინძლობდა, მაგრამ არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სესარ ლუის მენოტიმ** ჩათვალა, რომ მარადონა ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო სერიოზული საქმეებისთვის და ნაკრებიდან „ჩახსნა“ (1978 წელს არგენტინამ მენოტის ხელმძღვანელობით პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა). ამბობენ, რომ მარადონასთვის უარის თქმაში არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშა არგენტინის ნაკრების კაპიტანმა **დანიელ პასარელამ**, რომელსაც არ მოსწონდა ახალგაზრდა ფეხბურთელი. ორივე — მენოტიც და





პასარელაც — მყისვე იქცნენ მარადონას მტრებად.

სამაგიეროდ, დიეგო მოხვდა 1979 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იუნიორთა შორის, სადაც გაიბრწყინა მისმა ნიჭმა. ყმაწვილი ფეხბურთელის ფასი არა ყოველდღიურად, არამედ ყოველ საათში მატულობდა. იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე დიეგომ არგენტინის უძლიერეს კლუბ „ბოკა ხუნიორსის“ მაისური მოირგო. შემდეგ, როგორც იქნა, აუსრულდა ოცნება — წავიდა 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთში, მაგრამ არგენტინის ნაკრებმა ჩემპიონის ტიტულის დაცვა ვერ შეძლო — მეოთხედფინალურ ჯგუფში დამარცხდა იტალიელებთან და ბრაზილიელებთან, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, მარადონასთვის კონტრაქტი გაეფორმებინა კატალონიის „ბარსელონასთან“ და გადასულიყო ევროპის ერთ-ერთ ძლიერ გუნდში. აქ ის ძალიან შეიყვარა კატალონიელმა გულშემატკივარმა, რასაც ვერ ვიტყვით კლუბის ხელმძღვანელობაზე. დაწყებული მზარეულით, დასრულებული კლუბის პრეზიდენტ **ხოსეპ ლუის ნუნიესით,** ყველა ცდილობდა ჭირვეული ვარსკვლავის მორჯულებას. მარადონას ჭირვეულობამ ცნობილი გერმანელი მწვრთნელი **უდო ლატეკიც** კი შეიწირა, რომელიც იძულებული იყო, „ბარსელონა“ დაეტოვებინა. ლატეკის ნაცვლად კი მარადონას ნაცნობი მწვრთნელი მენოტი მიიწვიეს, მაგრამ დიეგოს ცხოვრება ესპანეთში კიდევ უფრო აუტანელი შეიქნა. როგორც მოგვიანებით თვითონ დიეგომ აღიარა, ბარსელონური პერიოდი ყველაზე საშინელი იყო მის კარიერაში, ხოლო მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ მატჩში ფეხი მოტეხეს, ესპანეთში აღარ გაჩერდა. დიეგო, პრაქტიკულად, დაუფიქრებლად გაიქცა იტალიურ „ნაპოლიში“, რომელმაც მას და „ბარსელონასაც“ კარგი კონტრაქტი შესთავაზა. იტალიაში მარადონა ნელ-ნელა ჩადგა ფორმაში და ძველებურად გაიბრწყინა — დიეგომ მყისვე დაიპყრო ნეაპოლელი გულშემატკივრების გულები — ასე ხდებოდა ყველგან და ყოველთვის, სადაც მარადონა გამოჩნდებოდა. „ნაპოლიმ“ მარადონასთან ერთად, რომელიც გუნდის კაპიტანი გახდა, ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად დაიწყო აღმასვლა და 1986-1987 წლებში სეზონში იტალიის ჩემპიონობა და თასი მოიპოვა.




1986-მა წელმა მარადონას კიდევ ბევრი სასიამოვნო მოგონება დაუტოვა. სწორედ ამ წელიწადს დადგა მისი კარიერის პიკი მექსიკის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე. ამ ჩემპიონატის მეოთხედფინალში ინგლისის ნაკრების კარში გატანილი ორი გოლი ისტორიაში შევიდა — ერთი, როგორც სკანდალური, როდესაც მარადონამ ხელით გაიტანა ბურთი, შემდეგ კი განაცხადა, ამ გოლში „ღვთის ხელი ჩაერია“-ო; მეორე კი, ყველაზე ლამაზი, როცა მარადონამ ინგლისელთა ნახევარი გუნდი მოატყუა და ბურთი ბადეში გაახვია.

1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მარადონას კარიერაში დაღმასვლის პერიოდი დაუდგა. იტალიაში სათაყვანებელი კერპიდან ლამის საძულველ ადამიანად გადაიქცა, შემდეგ დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს და რამდენიმე თვით ფეხბურთს ჩამოაშორეს. დაბრუნების შემდეგ ის თავის ძველ მეგობარ კარლოს ბილარდოსთან (არგენტინის ნაკრების მწვრთნელი 1986 წელს) გაეშურა „სევილიაში“, მაგრამ მათი ურთიერთობა ფეხბურთელის სახლში ჩხუბით დასრულდა. ცოტა ხნის შემდეგ მარადონა არგენტინაში დაბრუნდა და თამაში დაიწყო კლუბ „ნიუელზ ოლდ ბოიზში“, სადაც ძველებურად ათამაშდა, ისე, რომ ნაკრებშიც გამოიძახეს 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის.

არგენტინელმა საფეხბურთო ფუნქციონერებმა იცოდნენ დიეგო მარადონას დოპინგისადმი მიდრეკილების შესახებ, მაგრამ დაარწმუნეს ფეხბურთელი, რომ ხელს ვერავინ ახლებდა. ბერძნებთან მატჩის შემდეგ მარადონა დოპინგტესტზე გამოიძახეს და, რა თქმა უნდა, სისხლში აკრძალული პრეპარატის კვალი აღმოუჩინეს. სწორედ აქ დაესვა წერტილი მის კარიერას. მარადონამ ცოტა ხნით ითამაშა საყვარელი „ბოკა ხუნიორსის“ მაისურით, მაგრამ ეს ადრინდელი მარადონა აღარ იყო.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ დიეგო სულ უფრო ხშირად ეხვეოდა სკანდალურ ისტორიებში. ნარკოტიკების მოხმარების გამო ჯანმრთელობა შეერყა — 1997 წელს პირდაპირ სატელევიზიო ეთერში გულის შეტევა დაემართა. ის კიდევ რამდენჯერმე გამოიჭირეს ნარკოტიკების მოხმარებისას. მერე სამკურნალოდ მიდიოდა კლინიკაში და ამბობდა, რომ გამოჯანმრთელდა, შემდეგ კვლავ გამოიჭერდნენ და ა.შ. მერე იყო სასამართლოები, სულელური გამოხდომები, ზარალის ანაზღაურების პროცედურები და სხვ.

ბოლოს და ბოლოს, მარადონას მიანდეს პოსტი „ბოკა ხუნიორსის“ მმართველობაში და ცოტა დაწყნარდა. 2008-2010 წლებში კი არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დაიკავა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებში მესი ჰყავდა, არგენტინა სამხრეთ აფრიკაში გამართულ ჩემპიონატში მეოთხედფინალიდან გავარდა. 2011-2012 და 2017 წლებში წვრთნიდა გაერთიანებული არაბული საამიროების გუნდებს: „ალ-ვასლსა“ და „ალ-ფუჯაირას“.

2018 წლის 6 სექტემბრიდან დღემდე კი მუშაობს მექსიკის მეორე დივიზიონის კლუბის „დორადოს დე სინალოას“ ტექნიკურ დირექტორად.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

## მიღწევები

საკლუბო:
* არგენტინის ჩემპიონი — 1991 წ.
* ესპანეთის თასის მფლობელი — 1983 წ.
* ესპანეთის სუპერთასის მფლობელი — 1984 წ.
* იტალიის ჩემპიონი — 1987, 1990 წწ.
* იტალიის თასის მფლობელი — 1987 წ.
* უეფას თასის მფლობელი — 1989 წ.
* იტალიის სუპერთასის მფლობელი — 1990 წ.

სანაკრებო:
* მსოფლიოს ჩემპიონი (20 წლამდე) — 1979 წ.
* მსოფლიოს ჩემპიონი — 1986 წ.
* მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი — 1990 წ.

პირადი:
* არგენტინის საუკეთესო ბომბარდირი — 1978, 1979, 1980 წწ.
* ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე — 1979 წ.
* ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი El Mundo-ს ვერსიით — 1979, 1980, 1986, 1989, 1990, 1992 წწ.
* სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი — 1979, 1980 წწ.
* მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი — 1986 წ.
* ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი Onze d’or-ის ვერსიით — 1986, 1987 წწ.
* მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი World Soccer-ის ვერსიით — 1986 წ.
* ასწლეულის მოთამაშე ფიფას ვერსიით — 2000 წ.



# გერმანიის ყოფილმა კანცლერმა ამერიკის ელჩი საოკუპაციო ჯარის სარდალს შეადარა

**გერმანიის ყოფილმა კანცლერმა გერჰარდ შრედერმა მწვავედ გააკრიტიკა აშშ-ის სავაჭრო პოლიტიკა და ბერლინს მოუწოდა, სხვა მოკავშირეები მოძებნოს.**

„ჩვენ ვერ მოვითმენთ, ისე მოგვეპყრონ, როგორც ოკუპირებულ ქვეყანას. როდესაც ვუყურებ ამერიკის ელჩის მოქმედებას, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ის თავს უფრო მიიჩნევს საოკუპაციო ჯარის მეთაურად, ვიდრე აშშ-ის ელჩად სუვერენულ სახელმწიფოში", — დაიჩივლა გერმანიის მთავრობის ყოფილმა მეთაურმა. შრედერის აზრით, გერმანიამ თანმხვედრი ინტერესების მქონე ახალი მოკავშირეები უნდა ეძებოს. ასეთი მოკავშირის როლი კი შეიძლება ითამაშოს ჩინეთმა.

„შეუძლებელია იმის თავიდან აცილება, რომ ისინი, ვინც აშშ-ის მიერ გაჩაღებული კონფლიქტებით დაზარალდა, ერთმანეთთან დაახლოვდებიან", — აღნიშნა ყოფილმა კანცლერმა.

**«ჩვენ ვერ მოვითმენთ, ისე მოგვეპყრონ, როგორც ოკუპირებულ ქვეყანას. როდესაც ვუყურებ ამერიკის ელჩის მოქმედებას, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ის თავს უფრო საოკუპაციო ჯარის მეთაურად მიიჩნევს, ვიდრე აშშ-ის ელჩად სუვერენულ სახელმწიფოში»**

## აშშ-ის სავაჭრო ომები

სავაჭრო ომი ჩინეთსა და აშშ-ს შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც 2018 წლის 6 ივლისს ამოქმედდა მომატებული ორმხრივი საბაჟო გადასახადები ამ სახელმწიფოებს შორის, ვაშინგტონმა 25 პროცენტით გაზარდა გადასახადი 818 დასახელების ჩინურ პროდუქციაზე, რომელთა საიმპორტო ღირებულება წელიწადში 34 მილიარდი დოლარია. საპასუხოდ, კონტრზომის სახით, ჩინეთმა იმავე დღეს 25%-ით გაზარდა გადასახადი იმპორტირებულ ამერიკულ საქონელზე.

სექტემბრის ბოლოს ამოქმედდა ახალი ამერიკული გადასახადები, რომლებიც ჩინეთიდან შეტანილი პროდუქტის 10 პროცენტით გაძვირებას ითვალისწინებს. ეს შეეხო წელიწადში 200 მლრდ დოლარის მოცულობის პროდუქციას. პეკინმა ამას კონტრზომით უპასუხა და 60 მლრდ დოლარის მოცულობის ამერიკული საქონელი 10%-ით გააძვირა.

აშშ-სა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა გამწვავდა ირანთან ატომური გარიგებიდან გამოსვლის ფონზე, აგრეთვე, გადასახადების დაწესების გამო ალუმინსა და ფოლადზე; ევროკავშირმა 7 აგვისტოს აამოქმედა კანონმდებლობა, რომლის მიხედვით თავის ტერიტორიაზე გააუქმა აშშ-ის ექსტერიტორიული სანქციები ირანის მიმართ.

ამას გარდა, ტარიფების გაზრდის საპასუხოდ, ბრიუსელმა 25 პროცენტით გაზარდა გადასახადები აშშ-დან შემოტანილ საქონელზე.

# გერმანიის თავდაცვის მინისტრი ევროკავშირის გაერთიანებული არმიის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობს

**გერმანიის თავდაცვის მინისტრი ურსულა ფონ დერ ლაიენი ევროკავშირის გაერთიანებული არმიის აუცილებლობას განმარტავს. მისი აზრით, აღნიშნული არმიის არსებობა აუცილებელია ევროპული ინტერესების დასაცავად კრიზისების წარმოქმნის შემთხვევაში, რადგან ის აამაღლებს ევროპის შესაძლებლობებს სამხედრო ოპერაციებში შესაძლო მონაწილეობის შემთხვევაში.**



„ჩვენ, პოლიტიკოსებმა, გადაწყვეტილებების მიღების სტრუქტურების მოდერნიზება და ორგანიზება უნდა განვახორციელოთ, რათა ევროპამ სწრაფად იმოქმედოს სამხედრო ანტიკრიზისულ ოპერაციებში შესაძლო მონაწილეობისას", — განაცხადა მინისტრმა.

ფონ დერ ლაიენი არ მიიჩნევს, რომ გაერთიანებულმა ევროპულმა არმიამ, შესაძლოა, ნატოს ძალებს კონკურენცია გაუწიოს. „ნატო ყველა ევროპელისთვის ყოველთვის დარჩება პირველ ადრესატად თავდაცვის საკითხებში", — განაცხადა გერმანიის თავდაცვის მინისტრმა.

გაერთიანებული ევროპული არმიის შექმნის აუცილებლობაზე საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა 6 ნოემბერს ისაუბრა.

# სესხის განულების შემდეგ პირი «შავ სიაში» ნეგატიური სტატუსით არ დარჩება, მაგრამ ახალი სესხის აღება გარკვეულ გარემოებაზე იქნება დამოკიდებული

**ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა ხუციშვილის განცხადებით, სესხის განულების შემდეგ პირი კრედიტ ინფოს „შავ სიაში" ნეგატიური სტატუსით არ დარჩება, მაგრამ, შეძლებს თუ არა ის ახალი სესხის აღებას, გარკვეულ გარემოებაზე იქნება დამოკიდებული.**



ლაშა ხუციშვილის განმარტებით, ე.წ. შავ სიაში მოქალაქეების განმეორებით მოხვედრის თავიდან აცილებას ახალი რეგულაციები უზრუნველყოფს. ხუციშვილმა დააკონკრეტა ისიც, რომ ამა თუ იმ პირს ყველა სესხი ჩამოეწერება, განურჩევლად სესხის რაოდენობისა სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტში, რომელთა ძირიც 2000 ლარს არ აღემატება. როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ე.წ. შავ სიაში მოხვედრილ 600 ათასზე მეტ მოქალაქეს საბანკო დავალიანება გაუნულდება.

როგორც პრემიერმინისტრმა განმარტა, საუბარია მილიარდ-ნახევარი ლარის განულებაზე.

# რუსეთი კვლავ ლიდერია. როგორია ფულადი გზავნილების ქართული ბაზარი?

**სწრაფი ფულადი გზავნილების მიხედვით რუსეთი კვლავ ლიდერობს. გასული წლების მსგავსად, საქართველოში, როგორც გადმორიცხული თანხის, ისე ქვეყნიდან გადარიცხულის მიხედვით, რუსეთი პოზიციას არ კარგავს.**



საქართველოში ფულადი გადმორიცხვებით მეორე ადგილზეა **იტალია,** მას მოჰყვება **საბერძნეთი, ამერიკა, ისრაელი** და **თურქეთი.** ეს ის ქვეყნებია, რომლებშიც ქართველი ემიგრანტების ყველაზე დიდი რაოდენობაა. რაც შეეხება ფულად გადარიცხვებს, აქ პირველ პოზიციაზე **რუსეთია,** მეორე ადგილზეა **თურქეთი, მას მოჰყვება უკრაინა, აზერბაიჯანი** და **საბერძნეთი.** საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2018 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში 1 292 545 200 დოლარი გადმოირიცხა, რაც 173,5 მლნ დოლარით, ანუ 15%-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე, 2017 წლის იანვარ-ოქტომბერში უცხოეთიდან 1 119 015 000 დოლარი გადმოირიცხა. რაც შეეხება საქართველოდან გზავნილებს, აქაც ზრდა აღირიცხა. თუ 2017 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოდან 168 981 300 დოლარი გადაირიცხა, წელს 10 თვეში ქვეყნიდან ფულადი გზავნილების სახით 188 072 300 დოლარი გავიდა.

ბოლო წლების სტატისტიკა კი ასე გამოიყურება: 2015 წელს საქართველოში 1 079 952 100 დოლარი გადმოირიცხა, 2016 წელს — 1 151 236 200 დოლარი, 2017 წელს კი ფულადი გზავნილების მოცულობამ 1 379 462 500 დოლარი შეადგინა. რაც შეეხება გადარიცხვებს, 2015 წელს ქვეყნიდან ფულადი გზავნილების სახით 170 843 800 დოლარი გადაირიცხა, 2016 წელს — 194 026 800 დოლარი, 2017 წელს კი 208 678 200 დოლარი გავიდა. სწრაფი ფულადი გზავნილების ბაზარზე 20-მდე საფინანსო სისტემა მოქმედებს, მათი უმრავლესობა ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებშია ინტეგრირებული.

ფულადი გზავნილების მთლიან ბრუნვაში ბაზრის ლიდერია Zolotaia Korona, წელს 10 თვეში ამ სისტემით განხორციელებულმა გზავნილებმა მთლიანი გზავნილების 21% შეადგინა, მეორე პოზიციაზეა Western Union-ი (17%-ით), ხოლო მესამეზე — Unistream-ი (8,9%-ით).

**2015 წელს საქართველოში 1 079 952 100 დოლარი გადმოირიცხა, 2016 წელს — 1 151 236 200 დოლარი, 2017 წელს კი ფულადი გზავნილების მოცულობამ 1 379 462 500 დოლარი შეადგინა. რაც შეეხება გადარიცხვებს, 2015 წელს ქვეყნიდან ფულადი გზავნილების სახით 170 843 800 დოლარი გადაირიცხა, 2016 წელს — 194 026 800 დოლარი, 2017 წელს კი 208 678 200 დოლარი გავიდა**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894